 პრემიერ-მინისტრობა ტიმოშენკოს რუსული მართლმსაჯულებისგან ვერ დაიცავს?

A5

ქართული თეატრი დიდ მსახიობს ეთხოვება

B2

დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები

B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 27 იანვარი, 2005 წელი. №18 (878)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

ბრალდება "მარჯვნიდან" და პასუხი მთავრობიდან

მაია ნადირაძე "მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერს" კონტრდარტყმით პასუხობს

A4

უცხოეთი

ლუკაშენკო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტზე პირად კონტროლს აწესებს

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან თათბირისას განაცხადა, რომ უშიშროებასა და სხვა ძალოვან სამსახურებზე ის მკაცრ კონტროლს აწესებს, ისეთს, როგორიც ქვეყანას ჯერ არ ახსოვს.

A5

პოლიტიკა

გურჯაანელი ნაციონალები პარტიული დაპირისპირების მოლოდინში

გუშინ, გურჯაანის გამგეობის გაყინულ დარბაზში "ნაციონალები" ერთი საათის განმავლობაში ელოდნენ შეხვედრას, მაგრამ მიხეილ მაჭავარიანმა და დავით კირკიტაძემ რაიონი ისე დატოვეს, რომ პარტიის წევრებს არ გასაუბრებიან.

A2

სერიოზულ საუბარს წინ უნდა უძღოდეს სერიოზული მუშაობა

დღის შეკითხვა: არსებულ ვითარებაში რამდენად რეალურად გესახებათ, რომ ოსური მხარე საქართველოს ხელისუფლებასთან რეალურ მოლაპარაკებებზე წამოვა?

A3

ამინდი

	27/1	28/1
თბილისი	9	12
ქუთაისი	13	16
ბათუმი	16	17
სოხუმი	13	14
ფოთი	15	16
თელავი	7	11
ზუგდიდი	15	16
გორი	7	10
ახმეტა	7	11
ჭიათურა	9	12
გაგრა	12	12
სამტრედია	14	16

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8250
ევრო	2.3696
გირვანქა სტერლ.	3.4009
რუბლი	0.0648

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
უცხოეთი	A5	სპორტი	B4
ეკონომიკა	A4	სპორტი	B5
საზოგადოება	A6	ავტომობილი	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

გრძელვადიანი ხედვა და კონფლიქტები საქართველოში

გაყინული ჰეიზაყი ენგურზე.

მამუკა წერეთელი

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებამ მყარი გადაწყვეტილება მიიღო, არ შეურიგდეს საქართველოში არსებული კონფლიქტების "გაყინულ" სტატუსს და მათი მოგვარების სხვადასხვა გზების ძიებაშია. ეს უდავოდ მისასალმებელი გადაწყვეტილება შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას და ამ სტრატეგიის თანმიმდევრულ განხორციელებას მოითხოვს. საქართველოს ხელისუფლების დიდი სურვილი, რაც შეიძლება მალე მოაგვაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, წარმატებას ვერ მოიტანს, თუ პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ასპექტი სრულად არ იქნება გათვალისწინებული. ზაფხულში ცხინვალის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ აჩქარებამ ამ საქმეში შეიძლება, ზიანი უფრო მეტი მოგვიტანოს, ვიდრე სიკეთე.

აფხაზეთს და ცხინვალს მოკლევადიანი ერთჯერადი გადაწყვეტილებებით ვერ დავიბრუნებთ. ეს უკეთეს შეთხვევაში საშუალოვადიანი, რეალისტურად კი, გრძელვადიანი, მრავალწლიანი პროექტია, რომელიც რწმენას, სიმამაცეს, რესურსებს, დიდ შრომას, სიბრძნესა და მოთმინებას მოითხოვს. ამასთან, საქართველოს რეინტეგრაციის საკითხი არ შეიძლება, განიხილებოდეს ქვეყნის განვითარების ზოგადი სტრატეგიისაგან მოწყვეტით. უფრო მეტიც, ჯერ ამგვარი სტრატეგია უნდა განისაზღვროს, და მხოლოდ ამის მერე უნდა დაიწყოს ქვეყნის კონფლიქტების მოგვარებაზე და ყველა სხვა კონკრეტულ საკითხზე საუბარი.

გაგრძელება A3 გვერდზე

ჩვენს თაობას გაიხსენებენ, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელს

ნინო გომართელი

"ჩემს ინაუგურაციაზე პირობა დავდე, რომ საქართველოს ძლიერ ქვეყნად ვაქცევდი. დავპირდი ჩემს მოსახლეობას, რომ გავაერთიანებდი საქართველოს. და ჩვენს თაობას გაიხსენებენ ისე, რომელმაც ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებული კონფლიქტები მშვიდობიანად გადაეწყვიტა," - ეს სიტყვები წარმოთქვა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნაზე გამოსვლისას, სადაც სამხრეთ ოსეთისათვის სამშვიდობო ინიციატივა წარმოადგინა. "სააკაშვილის გეგმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში ვითარების გართულების მცდელობაა. მის წინადადებებში კონსტრუქციულს ვერაფერს ვხედავთ," - ასეთი იყო სააკაშვილის შეთავაზებაზე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების პასუხი.

"საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთს სთავაზობს იმაზე გაცილებით ფართო ავტონომიას, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას აქვს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში," - ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

შეთავაზებული სამშვიდობო ინიციატივით კი, როგორც სააკაშვილი განმარტავს, ცხინვალის მოსახლეობას საკუთარი მთავრობა და პარლამენტი ეყოლება. პარლამენტს ექნება სერიოზული დატვირთვა და თავად განსაზღვრავს ეკონომიკის, განათლების, ენის, კულტურის, ჯანდაცვის განვითარების პოლიტიკას. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები აქტიურად იქნებიან ჩართული საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში და სასამართლო სისტემაში.

გაგრძელება A2 გვერდზე

"ჩვენი რეალური სურვილი მთელმა მსოფლიომ დაინახა"

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პირველ შეფასებებს აკეთებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით. სპიკერის თქმით, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენი ქვეყნის ლიდერმა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში საქართველოს ხელისუფლების პოზიცია წარმოაჩინა და მაგიდაზე დადო გეგმა, თუ რას სთავაზობს ქართული მხარე ოსურ მოსახლეობას.

გიორგი ასანიშვილი

"ჩვენი რეალური სურვილი მთელმა მსოფლიომ დაინახა, ახლა ჯერი სხვებზეა", - აცხადებს ნინო ბურჯანაძე. იგი მიესალმება ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, ამჟამად საქართველოში სტუმრად მყოფი ვენეციის კომისიის წევრების ძალისხმევას, თუ ისინი ოფიციალურ თბილისს სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით კონსტრუქციულ წინადადებებს შესთავაზებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

რევაზ ადამიას მიმართვა გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს

ორიოდე დღის წინ ნიუ-იორკში გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოისმინეს გენერალური მდივნის, კოფი ანანის მოხსენება აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის ჰაიდი ტალიავინის ანგარიში აღნიშნული მისიის მუშაობაზე. გაერო-ს უშიშროების საბჭომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს უმოკლეს ვადებში დიალოგის განახლებისკენ მოუწოდა. გთავაზობთ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლის რევაზ ადამიას მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი გუშინ გაგზავნილ მიმართვას, რომელშიც იგი ღიად სდებს ბრალს რუსეთს აფხაზეთის ე.წ. არჩევნებზე მანიპულაციებში.

ნიუ იორკი,
2005 წლის 26 იანვარი

გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, მის აღმატებულება ბატონ სეზარ მაიორალს

თქვენო აღმატებულებავ,

პატივი მაქვს, მოგმართოთ და თქვენი მეშვეობით, მივაპყრო უშიშროების საბჭოს ყურადღება აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოგვარების პროცესში განვითარებულ მოვლენებს.

თავდაპირველად მსურს, გამოვხატო გულითადი მადლიერება გენერალური მდივნის, ბატონი კოფი ანანისადმი აფხაზეთში (საქართველო) მდგომარეობის შესახებ მისი მოხსენებისათვის და განსაკუთრებით აღვნიშნო მისი სპეციალური წარმომადგენლის, ქალბატონი ჰაიდი ტალიავინის დაუღალავი ძალისხმევა აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის გრძელვადიანი, მშვიდობიანი მოგვარების საქმეში.

სრულიად ნათელია, რომ დღეისათვის კონფლიქტის მოგვარების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ახალი ელემენტი. პირველი და უახლესი გახლავთ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში (საქართველო). სრულიად ცხადია, რომ ეს ე.წ. "არჩევნები" უკანონოდ და არალეგიტიმურად უნდა ჩაითვალოს.

გაგრძელება A6 გვერდზე

ფუხაევი - ცხინვალში, ხალხი - ქუჩაში

სოფელ თამარაშენის მოსახლეობამ გუშინ საპროტესტო აქცია მათი ორი თანასოფლელის - ყავლაშვილისა და ვახტანგაშვილის მკვლელობაში ბრალდებული ალიკ ფუხაევის ცხინვალში გადაყვანასთან დაკავშირებით გამართა.

"ფუხაევის ცხინვალში, შერეული სამშვიდობო ძალების იზოლატორში გადაყვანა საკუთარ სახლში მისი დაბრუნების ტოლფასია," - აცხადებს მოკლული თამაზ ყავლაშვილის მეუღლე ქეთევან ყავლაშვილი.

მეორე საპროტესტო აქცია კონფლიქტის ზონის სოფელ კეხვში მიმდინარეობდა, სადაც მეხუთე დღეა, გადაკეტილია ცხინვალი-ჯავის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი. სამი თვის წინ უგზო-უკვლოდ დაკარგული ელდარ კახნიაშვილის ახლობლები ხელისუფლებას გულგრილობაში ადანაშაულებენ და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრას მოითხოვენ.

ოსი ეროვნების ალიკ ფუხაევი წუხელ, გვიან ღამით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თბილისის პირველი საპყრობილედან ცხინვალში გადაიყვანეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

"ჩვენი რეალური სურვილი მთელმა მსოფლიომ დაინახა"

ირინ ლიზერიდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

"თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ წინადადებებს ავტომატურ რეჟიმში მივიღებთ," - დასძენს პარლამენტის თავმჯდომარე. მისივე განცხადებით, მომავალში რაც არ უნდა დაერქვას ყოფილ სამხრეთ ოსეთს, მას არ ექნება ისეთი სტატუსი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დაეზარალებს.

პარლამენტის სპიკერს სავსებით ბუნებრივად მიაჩნია კონფლიქტის მოსაგვარებლად სამწლიანი გარდამავალი პერიოდის დადგენა. **"ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობების დალაგება შესაძლებელია, მაგრამ თუ მეორე მხარეს იგივე სურვილი არ ექნება, სამშვიდობო ინიციატივებზე საუბარი ბევრად უფრო გართულდება,"** - ვარაუდობს ნინო ბურჯანაძე.

მისი აზრით, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების პირველი პირები პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლას რუსეთის დედაქალაქში ისმენდნენ და, საერთოდ, მოსკოვში მათი ვიზიტები ტრადიციად იქცა. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარის რეაქცია ასეთია: **"სეპარატისტთა ლიდერების მოსკოვურ ვოიაჟებს დადებითი შედეგები რომ მოსდევდეს, ამ სტუმრობებში დასაძრახი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ასეთ ვიზიტებს მოსკოვის მხრიდან, როგორც წესი, ისეთი რეკომენდაციები მოჰყვება ხოლმე, რომლებიც კონფლიქტების მოგვარების საქმეს სულაც არ უწყობს ხელს".**

ფუხაევი - ცხინვალში, ხალხი - ქუჩაში

პირველი გვერდიდან

"ალიკ ფუხაევი ქართული სასამართლოს წინაშე წარდგება," - განაცხადა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ.

მისი თქმით, საუბარი იმაზე, რომ ალიკ ფუხაევი ქართველ პოლიციელ ლადო ჩალაურზე გაიცვალა, არასწორია და ამ თემით მანიპულირება არ უნდა ხდებოდეს.

"ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა არ მოხდა საქმის მიფუჩჩება, მით უფრო, რომ ეს საქმე მკვლელობებს ეხება," - ირწმუნებოდა გუშინ პრემიერი.

ზურაბ ჟვანიას ეს განცხადებები მოჰყვა მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას მოხსენებას, რომელიც ცხინვალის რეგიონში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში შექმნილ ვითარებას ეხებოდა.

ხაინდრავა იმედოვნებს, რომ უახლოეს საათებში გატაცებული ელდარ კახნიაშვილის ახლობლების მიერ გადაკეტილი გზა ცხინვალის რეგიონში გაიხსნება.

ხაინდრავას თქმით, გზის გადაკეტვა დაუშვებელია, ვინაიდან იგი არის ერთადერთი სამოძრაო არტერია სოფლის მცხოვრებთათვის.

ჟვანიამ ხაინდრავას და ქართველ სამართალდამცავებს გაწეული მუშაობისათვის მადლობაც გადაუხადა.

გუშინ საღამოს შიდა ქართლში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ჩავიდა. მან ჯერ გორში, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის შენობა დაათვალიერა.

მოგვიანებით კი, მერაბიშვილმა სოფელ ერედვის პოლიციის ქვეგანყოფილება მოინახულა და სოფელ კოშკში, ცხინვალის ციხიდან ორი დღის წინ დაბრუნებულ პოლიციელს, ლადო ჩალაურს ესტუმრა.

მერაბიშვილი გათავისუფლებულ პოლიციელს დახურულ კარს მიღმა ესაუბრა.

მინისტრის განცხადებით, შეიარაღებული ოსების მიერ ლადო ჩალაურის გატაცების სანაცვლოდ, ქართულ მხარეს თითქმის ყველა ოსი ჩინოვნიკის აყვანა შეეძლო, მაგრამ ასეთი გზა ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავდა.

შს მინისტრის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ორი ქართველის მკვლელობისთვის დაკავებული, სამშვიდობო ძალების საპატიმროში გადაყვანილი ალიკ ფუხაევის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ობიექტურად არ იქნა გამოძიებული, ქართული მხარე უკიდურეს ზომებს მიმართავს. თუმცა, დაკონკრეტებისგან მინისტრმა თავი შეიკავა.

■ ■ ■

ევროკავშირის სპეცწარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჰაიკი ტალვიტიე გუშინ სახელმწიფო მინისტრს გოგა ხაინდრავას დახურულ კარს მიღმა შეხვდა. ტალვიტიე სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ გუშინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გახმოვანებულ სამშვიდობო ინიციატივას "ძალზედ სერიოზულ წინადადებად" აფასებს.

სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრის წინ, ჟურნალისტებთან საუბარში ტალვიტიემ აღნიშნა, რომ იგი მზადყოფნას გამოთქვამს, საქართველოში ვენეციის კომისიის წევრებთან ერთად განიხილოს სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის წინადადებები.

■ ■ ■

მოსკოვი აგრძელებს სეპარატისტ ლიდერთა მასპინძლობას. გუშინ არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ახლად არჩეული პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში და არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ერთმანეთს რუსეთის დედაქალაქში შეხვდნენ და რეგიონში გართულებულ ვითარებაზე იმსჯელეს.

სხვადასხვა წყაროების მტკიცებით, ბაგაფშისა და კოკოითის შეხვედრის ინიციატივა რუსეთის სახელისუფლებო წრეებს ეკუთვნით. შეხვედრისას, მხარეებმა საქართველოს ხელისუფლებასთან ბრძოლის იმ ერთობლივ გეგმაზე იმსჯელეს, რომელიც მათ რუსეთის ხელისუფლებამ შესთავაზა.

კოკოითი სამხრეთ ოსეთის მომავალს მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში ხედავს. "ჩვენ საკუთარ მომავალს რუსეთთან ვხედავთ, ამიტომ ჩვენს ტერიტორიაზე რუსული კანონები მოქმედებს," - აცხადებს იგი მოსკოვიდან.

ბაგაფშის თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება გადახედავს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. "ეს წინადადებები ახალი არ არის, ამის შესახებ ჩვენ დიდი ხნის წინ გვსმენია, მაგრამ დღეს ამას სააკაშვილის ინიციატივად ასაღებენ," - აცხადებს ბაგაფში და დასძენს: "ყველამ ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს: 1999 წელს აფხაზეთის მოსახლეობამ გამოხატა თავისი პოზიცია რეფერენდუმზე - ჩვენ დამოუკიდებლობა გვინდა."

სხვათა შორის, მოსკოვში ამ დღეებში ვიზიტით იმყოფება ასევე დნესტრისპირეთის სეპარატისტი პრეზიდენტი იგორ სმირნოვი.

24 საათი

ჩვენს თაობას გაიხსენებენ, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელს

პირველი გვერდიდან

ოს ხალხს თავისი კულტურული ტრადიციების განვითარებისა და ენის შენარჩუნების საშუალება ექნება, რისთვისაც ქვეყნის ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხები გამოიყოფა.

როგორც პრეზიდენტი აცხადებს, საქართველოს მთავრობა სათანადოდ იზრუნებს რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის. დაფინანსდება სპეციალური ეკონომიკური პროექტები და შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

"შეიძლება საუბარი ისეთ იდეებზე, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას ითვალისწინებს," - ამბობს პრეზიდენტი.

გეგმა გულისხმობს შესაბამისი კანონის მიღებას საკუთრების რესტიტუციის თაობაზე.

პრეზიდენტმა ასევე ცხინვალის რეგიონში ეკონომიკის, მცირე და დიდი ბიზნესის განვითარების, კონფლიქტის დროს საქართველოდან წასული ადამიანების დაბრუნების აუცილებლობაზე ისაუბრა.

მთავრობა მზადაა, სამაჩაბლოს მოსახლეობას საპენსიო დავალიანებები აუნაზღაუროს.

"სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა იმსახურებს ეკონომიკურ წინსვლას და სტაბილურობას, რაც დღეს დანარჩენ საქართველოს აქვს.

იმსახურებენ ინვესტიციებს და იმ შესაძლებლობებს, რაც დღეს საქართველოში ყვავდება," - ხაზს უსვამს პრეზიდენტი.

მან ყურადღება შეიარაღებულ ძალებზეც გაამახვილა და განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები მთლიანად იქნება ინტეგრირებული საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, რაც, მისივე თქმით, მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს.

"მშვიდობისკენ გზა არ იქნება მოკლე და არ იქნება ადვილი. ამის გამო, აღნიშნული ინიციატივა კონფლიქტის მოგვარების გარდამავალ 3-წლიან პერიოდს აწესებს," - განმარტა მიხეილ სააკაშვილმა და მოუწოდა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს, უფრო აქტიურად ჩაერთონ ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, განახორციელონ სამშვიდობო პროცესის მონიტორინგი.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ კი მან ასამბლეის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

შეკითხვაზე, რამდენად გაამართლა ახალმა ხელისუფლებამ ამომრჩეველთა მოლოდინი, ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ **"საქართველოში მოვლენები საოცრად წარმატებულად ვითარდება, სამთავრობო გუნდი ყველაზე მეტად შეკრულია და გარდამავალი პერიოდის მართვა შეძლო."**

პრეზიდენტის თქმით, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ბევრი ეჭვობდა, რომ ახალი მთავრობა პროცესების მართვას თავს ვერ გაართმევდა, მაგრამ, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ყველაზე დემოკრატიული არჩევნები სწორედ საქართველოში ჩატარდა.

მიხეილ სააკაშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ყველასთვის მოულოდნელად, ახალმა ხელისუფლებამ პრობლემის მოგვარება ერთი გასროლის გარეშე შეძლო.

რაც შეეხება ეკონომიკურ რეფორმებს, საქართველოს პრეზიდენტს მთავარ წარმატებად სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების გაორმაგება მიაჩნია, რაც, მისი თქმით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებამ განაპირობა.

რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხს, ამ მხრივ, სააკაშვილმა ყურადღება რუსეთის ფაქტორზე შეაჩერა და განაცხადა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში რუსეთის როლი ნეიტრალური უნდა გახდეს.

"ჩვენ გვყავს 325 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი. აფხაზებს არ სურთ დიალოგზე წამოსვლა, რუსეთის ხელისუფლება კი არ იჩენს ნებას, ამ დიალოგის წარმართვას შეუწყოს ხელი," - განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, ყველანაირი სამართლებრივი ნორმების დარღვევით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთის ფედერაციის პასპორტები გადასცა.

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა კი ავტონომიის უფლებების გაფართოების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გეგმა დაიწუნა და აღნიშნა, რომ ამჟამად სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. **"სამხრეთ ოსეთის სტატუსი მოსახლეობამ 1992 წლის რეფერენდუმზე განსაზღვრა, სადაც 99,8 პროცენტმა საქართველოსგან დამოუკიდებლობას მისცა ხმა,"** - აღნიშნა კოკოითმა.

ცხინვალი თბილისს სთავაზობს **"ნორმალურ, ღია და პატიოსან ურთიერთობას, შექმნილი რეალობის გათვალისწინებით."**

"შექმნილი რეალობა კი ასეთია - სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთა 95 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე კი რუსეთის კანონმდებლობა მოქმედებს," - განაცხადა კოკოითმა.

დე ფაქტო პრეზიდენტი სკეპტიკურად უყურებს მიხეილ სააკაშვილის წინადადებას, კომპენსაცია გადაუხადოს სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს, რომლებმაც კონფლიქტის შედეგად საცხოვრებელი სახლები დაკარგეს. **"თუ თავად საქართველოში ადამიანები თვეობით ვერ იღებენ ხელფასს, საინტერესოა, როგორ აპირებს საქართველოს ხელმძღვანელობა ამ ზარალის ანაზღაურებას. ეს, უბრალოდ, პიარ-ნაბიჯია,"** - აცხადებს კოკოითი.

მისივე თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, იმის ნაცვლად, რომ მოცემულ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის წინადადებები განიხილოს, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების მონიტორინგი უნდა განახორციელოს. კოკოითის განცხადებით, საქართველო არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის თაობაზე.

გურჯაანელი ნაციონალები პარტიული დაპირისპირების მოლოდინში

გუშინ გურჯაანის გამგეობის გაყინულ დარბაზში "ნაციონალები" ერთი საათის განმავლობაში ელოდნენ შეხვედრას, მაგრამ მიხეილ მაჭავარიანმა და დავით კირკიტაძემ რაიონი ისე დატოვეს, რომ პარტიის წევრებს არ გასაუბრებიან.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

გურჯაანელ "ნაციონალებში" პოლიტიკური დაპირისპირების ახალი ტალღა გორდება. მიზეზი კვლავ შიდაპარტიული უთანხმოებაა. პარტიის ცენტრალური აპარატის კანდიდატი აღმასრულებელი მდივნის პოსტზე როინ ქოჩორაშვილი გურჯაანელი "ნაციონალებისთვის" მიუღებელია, რადგან გურჯაანის ორგანიზაციაში მომხდარი უთანხმოების (რომელსაც მანდატების დახევა მოჰყვა) მიზეზად ისინი სწორედ ამ პიროვნებას ასახელებენ. როინ ქოჩორაშვილი ის ადამიანია, რომელმაც რაიონის გამგებლის მოადგილედ ყოფნის დროს, გამგებლის კაბინეტში მუშტი-კრივი გამართა და თანამდებობასაც გამოემშვიდობა. თუმცა მომხდარიდან რამდენიმე დღეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქოჩორაშვილს ასეთი ქმედება ძვირად კი არ დაუჯდებოდა, არამედ მას დააწინაურებდნენ.

გადაწყვეტილება, იოსებ კარდენახიშვილის კვლავ "ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის ლიდერად დარჩენის, ხოლო ქოჩორაშვილის მდივნად დანიშვნის შესახებ, გუშინ, დილით ადრე, პარლამენტის ვიცე-სპიკერის და სახელისუფლებო პარტიის რეგიონული მდივნის მიხეილ მაჭავარიანის და პარტიის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის დავით კირკიტაძის სტუმრობის შემდეგ გახდა ცნობილი. თათბირი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. მოგვიანებით, მედიის გამოჩენით დაბნეული პარლამენტარები, ურთიერთგამორიცხავ კომენტარებს აკეთებდნენ. მიხეილ მაჭავარიანი პარტიის წევრთა უმრავლესობისთვის მოულოდნელ ვიზიტს იმით ხსნიდა, რომ ასეთი საქმიანი შეხვედრები ყველა რეგიონში მიმდინარეობდა. **"მართალია, ჩვენი შეხვედრები პარტიის რეგიონულ ხელმძღვანელებთან თბილისში იმართება ხოლმე, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, რომ ამ რაიონში ჩამოვსულიყავით. ეს ყველაფერი კი უკავშირდება რაიონებში პარტიული კონფერენციების ჩატარებისთვის მზადებას. აქვე უნდა გითხრათ, რომ თავმჯდომარეობის კანდიდატი იოსებ კარდენახიშვილია, რა თქმა უნდა, თუ ორგანიზაციის წევრებს არ ექნებათ რაიმე პრეტენზია მის მიმართ,"** - ამბობს მიხეილ მაჭავარიანი და იმასაც აღნიშნავს, რომ ამ დროისთვის გურჯაანში შიდა პარტიული დაპირისპირება აღარ არსებობს.

სხვაგვარად ფიქრობენ თვით პარტიის წევრები. ისინი აცხადებენ, რომ პარტიის ხელმძღვანელი იოსებ კარდენახიშვილი მათ კვლავინდებურად ატყუებს. ამის დასტურად მათ, გურჯაანის გამგეობის გაყინულ საკონფერენციო დარბაზში გუშინდელი ერთსაათიანი ლოდინი მოჰყავთ. **"ასე გვითხრეს, ხვალ მაჭავარიანი და კირკიტაძე მოდიან და ადრევე მოდითო, მაგრამ დეპუტატები რაიონიდან ისე გააპარეს, რომ ვერც კი გავიგეთ. კარდენახიშვილის გამოსწორება არ იქნება,"** - ამბობდნენ გურჯაანელი "ნაციონალები".

თავად დეპუტატი სოსო კარდენახიშვილი კი ასეთ კომენტარს აკეთებს: **"მიხეილ მაჭავარიანის და დავით კირკიტაძის ჩამოსვლის მიზეზი იყო პარტიის რაიონული ორგანიზაციის ახალი თავმჯდომარის ანუ ჩემი - სოსო კარდენახიშვილის და აღმასრულებელი მდივნის - როინ ქოჩორაშვილის წარდგენა."**

პარლამენტარი დავით კირკიტაძე კი ამბობს, რომ თვმჯდომარის და მდივნის დანიშვნა მას შემდეგ მოხდება, როცა მათ პარტიის წევრთა უმრავლესობა აირჩევს, თებერვალში დაგეგმილ კონფერენციაზე. **"წესდებით, პარტიის თავმჯდომარეს პარტიის რაიონული ორგანიზაცია ირჩევს. ჩვენ გაერთიანებულ კონფერენციას ვამზადებთ და ამ სამზადისისთვის ვიყავით ჩამოსული. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება დავავალეთ ბატონ სოსოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უკვე რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა,"**- ამბობს კირკიტაძე.

ამ ინტრიგის კვანძის გახსნას გურჯაანელი "ნაციონალები" თებერვლის პარტიულ კონფერენციაზე აპირებენ, რისთვისაც საგანგებოდ ემზადებიან.

მოკლედ

საქართველოს ხელისუფლებასთან ბრძოლის ერთობლივი გეგმა

მოსკოვში ვიზიტით მყოფმა, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა და თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა რეგიონში გართულებულ ვითარებაზე იმსჯელეს. სხვადასხვა წყაროების მტკიცებით, ბაგაფშისა და კოკოითის შეხვედრის ინიციატივა რუსეთის სახელისუფლებო წრეებს ეკუთვნით. შეხვედრისას, მხარეებმა საქართველოს ხელისუფლებასთან ბრძოლის იმ ერთობლივ გეგმაზე იმსჯელეს, რომელიც მათ რუსეთის ხელისუფლებამ შესთავაზა. დაზუსტებული ინფორმაციით, მოსკოვში ვიზიტით ასევე იმყოფება დნესტრისპირეთის პრეზიდენტი იგორ სმირნოვი.

დამკვირებელთა შეფასებით, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსა და მოლდოვას სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლის წინ საგანგებოდ მიიწვია.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო საქართველოში 2005 წელს ქართულ საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის სერიოზულ პროგრამებს განახორციელებს. ამის შესახებ სააგენტოს სათავო ოფისის ხელმძღვანელის ნიკ ჰიგინსისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას გუშინდელი შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი. ხაინდრავას განცხადებით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო მზადაა, სერიოზული პროექტები განახორციელოს ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქართული ენის შესასწავლად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ხაინდრავას ინფორმაციით, სააგენტოს ხელმძღვანელობა, ქართული ენის შესწავლის გარდა, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ეროვნული უმცირესობებისათვის განათლებისა და მასმედიის განვითარების პროგრამის განხორციელებასაც გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის მარტში, ბათუმში გაფორმდება. მემორანდუმის ხელმოწერის თაობაზე გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ და აჭარის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელმა მიხეილ მახარაძემ დღევანდელ შეხვედრაზე მიიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ იგი არის რუსეთის საგარეო და თავდაცვის უსაფრთხოების საბჭოს წევრი. მისი თქმით, აღნიშნული საბჭო პოლიტოლოგთა და ეკონომისტთა კლუბია, რომელიც უკვე დიდი ხანია, არსებობს და იგი ამ კლუბში 6-7 წლის წინათ გაწევრიანდა. "ჩვენ ვიკრიბებით წელიწადში ერთხელ და ვატარებთ კონფერენციებს. ეს არის და ეს. ეს ინფორმაცია მხოლოდ საქართველოსთვის არის ახალი," - აღნიშნა კახა ბენდუქიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ლეიბორისტთა ეროვნული კავშირი ცხინვალის რეგიონისთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ სტრასბურგში გაკეთებულ განცხადებას აპროტესტებს. კავშირის წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე ქვეყანაში რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. მათი თქმით, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო პროგრამა მსგავს მოსაზრებებს არ შეიცავდა. ამდენად, საქართველოს მოსახლეობას მისთვის მსგავსი ინიციატივით გამოსვლის მანდატი არ მიუცია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ზუგდიდი. აფხაზმა კრიმინალებმა 26 იანვარს ზუგდიდან გალის რაიონის სოფლების მიმართულებით მოძრავი ათამდე სამგზავრო ავტობუსი დააყაჩაღეს. ავტობუსების მგზავრები, რომელთა შორის ბავშვებიც იყვნენ, ხუთკაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა გაძარცვას. გატაცებულია მათი კუთვნილი ფული, ძვირფასი ნივთები და თხილი. მგზავრები ვარაუდობენ, რომ თავდამსხმელები ვალმერ ბუთბასა და როზა მირცხულავას კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ, რომლებიც ქართველ მოსახლეობას ხშირად აწიოკებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვში ვიზიტით მყოფი, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი თავის რუს კოლეგას იგორ ივანოვს შეხვდა. მან რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს მიხეილ სააკაშვილის მიერ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე წარდგენილი ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სამშვიდობო გეგმის პროექტი გააცნო. საუბარი შეეხო, აგრეთვე, ორ ქვეყანას შორის "ჩარჩო" ხელშეკრულების გაფორმებისა და რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხს. **მედია-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

გრძელვადიანი ხედვა და კონფლიქტები საქართველოში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამდენად, უპირველეს ამოცანას ჩვენ საქართველოს განვითარების გრძელვადიანი მიზნების და სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ვხედავთ, სადაც ტერიტორიული რეინტეგრაცია დანახული იქნება მომავლის ზოგად სურათში, სახელმწიფო მშენებლობის და განვითარების კონტექსტში.

სამწუხაროდ, საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს გრძელვადიანი, სტრატეგიული აზროვნება, და ეს უსერიოზულესი პრობლემაა. ცალკეული ექსპერტების ძალისხმევა ამ მიმართულებით ამინდს ვერ ქმნის. სტრატეგიული აზროვნების ჩამოყალიბებას ორწლიანი მაგისტრატურის სკოლის დამთავრება, ან პარტიული ფუნქციონერობა ვერ უზრუნველყოფს. ამას წლების მუშაობა სჭირდება, როგორც ინტელექტუალების, ისე სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც დააფასებს ამგვარ აზროვნებას და ტალანტს. იქნებ მაშინ მაინც გამოირიცხოს ბევრი უცნაური, ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება თუ არგუმენტირება ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე.

სტრატეგიული აზროვნების ნაკლებობაა, როცა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი დღეს დასაშვებად მიიჩნევს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რუსული სახელმწიფო მონოპოლიის, "გაზპრომისთვის" მიყიდვას (ამ საკითხისადმი მიძღვნილ მთავრობის სხდომაზე საქმე ისე წარმოჩინდა, რომ მე მგონი აქეთ უნდა მივცეთ ფული რუსებს, რომ გადაიბარონ ჩვენი "გაუბედურებული" გაზსადენი), თუმცა თითქოს ყველა ნიშანი არსებობს იმისა, რომ ეს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისთვის საზიანოა. უფრო მეტიც, ეს საზიანოა აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული კორიდორის განვითარებისთვის, ამ პროცესში თურქმენეთის ჩართვისთვის, და პოტენციურად ევროპისთვის კასპიური გაზის მიწოდების ალტერნატიული პროექტისთვის. ანუ, ეს საზიანოა ევროპული და ამერიკული, ზოგადად ევროატლანტიკური ინტერესებისთვის, რომელიც თითქოს საქართველოსთვის ასე მნიშვნელოვანია. "გაზპრომის" საქართველოში შემოყვანის ლიბერალური საბაზრო პრინციპებით გამართლება სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. გაუგებარია, რატომ უნდა მივებათ სამუდამოდ მონოპოლისტს, მონოპოლისტური ფასებით, როცა სულ მალე ალტერნატიული გაზის მიღების საშუალება გვექნება აზერბაიჯანიდან? ამგვარი მიდგომით საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა კიდევ უფრო ვიწროვდება, და ბუნებრივია, რომ ფულს ჩვენში მხოლოდ საბჭოური სივრცის, ანუ უპირატესად მოძველებული ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის მქონე ორგანიზაციები აბანდებენ. ბალტიის ქვეყნებს რომ თავისი სტრატეგიული ობიექტები რუსებისთვის გადაებარებინათ, დღეს ნატო-სა და ევროგაერთიანების წევრები ვერ იქნებოდნენ.

სწორედ ასეთ, გრძელვადიან ხედვას მოკლებული გადაწყვეტილების მაგალითად გვესახება აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებისთვის დამოუკიდებელი ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული წინაპირობები, რომელიც საქართველოს მთავრობამ უნდა დაუდოს მოლაპარაკების მაგიდაზე აფხაზურ მხარეს. ამ წინაპირობების ძირითადი არსი ქართული მხარის მიერ აფხაზების მიმართ თავისი დანაშაულის აღიარებაა (ავტორებს ალბათ დაავიწყდათ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას, რუსეთის ჩათვლით, ეუთო-ს სამიტებზე აღიარებული აქვს აფხაზეთში ქართველების ეთნიკური წმენდის ფაქტი).

მე მგონი, ამ პოზიციაშიც კარგად ჩანს გრძელვადიანი ხედვის ნაკლებობა. ვიდრე რამეს ვაღიარებთ და ყველა ცოდვას ჩვენს თავზე ავიღებთ, ალბათ აჯობებდა დავფიქრებულიყავით იმაზე, თუ ვინ იღებს დღეს გადაწყვეტილებებს აფხაზეთში, და რა პოტენციალი არსებობს იმისა, რომ აფხაზები რაიმე, ჩვენთვის სასიკეთო პოლიტიკურ ნაბიჯზე დავითანხმოთ. აფხაზები დღეს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ და რუსეთიდან ნაკარნახევი გადაწყვეტილება ჩვენთვის სასიკეთო ვერ იქნება. ვკითხოთ ჩვენს თავს, რატომ არის, რომ რუსეთი თავის რეგიონებს ამსხვილებს და ფაქტობრივად ეთნო-ფედერაციულ მოწყობაზე უარს ამბობს მაშინ, როცა საქართველოსა და მოლდოვაში აქტიურად უჭერს მხარს ამგვარ ეთნიკურ პრინციპზე დაფუძნებულ ფედერალიზაციას.

ხელისუფლების და ექპერტების განცხადებები იმის შესახებ, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აფხაზეთის ინტერესები, მისასალმებელია, ოღონდ ერთი საკითხია ჯერ გასარკვევი: ჩვენი ინტერესები თუ გვაქვს გარკვეული? ჩვენ მომავალს თუ ვხედავთ 25 ან 50 წლის პერსპექტივაში? ჩვენ გარშემო სამყარო ძალიან სწრაფად იცვლება. ის, რაც მიუღწევლად და საოცნებოდ გვეჩვენება დღეს, ხვალ შეიძლება, რუტინულ რეალობად იქცეს. საქართველოს ბოლო 15 წლის ისტორია ამის კარგი მაგალითია. რატომ უნდა ავჩქარდეთ ახლა, როცა ჩვენი პოზიცია არც ისე მომგებიანია და როცა დასავლეთთან ინტეგრაციის გაცილებით ფართო პერსპექტივებია? ჩვენი ინტერესებისთვის საზიანო ნაბიჯები რატომ უნდა გადავდგათ?

განა არ სჯობს, ქვეყნის განვითარების სტრატეგია ჩამოვაყალიბოთ? იმაზე ვიფიქროთ, ეკონომიკა როგორ გავაძლიეროთ, თანაც არა მარტო აფხაზეთის მოსაზღვრე რეგიონებზე გავაკეთოთ აქცენტი, არამედ მთელს საქართველოზე, ისე, რომ ყველას, აფხაზსაც, ქართველსაც, ინგლისელსაც და რუსსაც მოუნდეს საქართველოში ცხოვრებაც და საქმის კეთებაც? როგორ ვაქციოთ საქართველო ყველაზე სწრაფი კომუნიკაციის, ახალი იდეების და ტექნოლოგიების ქვეყნად, სადაც მთელი მსოფლიოდან მილიონობით ტურისტი ჩამოვა ქართული კულტურის გასაცნობად და საუკეთესო ბუნებაში საუკეთესო ღვინოებს გასინჯავს? ყველაზე სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა როგორ შევქმნათ, რომელიც საკონტრაქტო პირობების დაცვის მყარ გარანტიებს შექმნის და კანონების აღსრულებას უზრუნველყოფს? ადამიანს როგორ ვაგრძნობინოთ, რომ ის დიდი ფასეულობაა ქვეყნისთვის, და რომ მის შვილებს აღარ დასჭირდებათ ქვეყნიდან წასვლა ნათელი მომავლის ძიებაში?

ამგვარი ქვეყნის აშენება შესაძლებელია და, საბედნიეროდ, არსებობს სხვათა მაგალითები. ოღონდ მათ წინსვლას ფიქრი და განსჯა უძღოდა წინ, და მომავლის ხედვა.

ჩვენ რომ აფხაზებთან ომი არ გვინდა, ეს სიმართლეა, და ყველგან უნდა ვილაპარაკოთ ამის შესახებ. დანარჩენი, ანუ კონფლიქტის ისტორიის შეფასება, ამ შეფასების ლეგალური და ფინანსური მხარეები, აფხაზეთის სტატუსი, და ასე შემდეგ, მოლაპარაკებების საგანი უნდა იყოს და ყველაფერზე წინასწარ დათანხმებით და ყველა ბრალის ჩვენს თავზე აღებით ძალაუნებურად ისევ წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში ვიგდებთ თავს: თუ აფხაზები ყველაფერში მართლები არიან, თუ ომი მარტო ჩვენ წამოვიწყეთ და რუსები და აფხაზები არაფერ შუაში არიან, და თუ ისტორიაც მართლა ისე უნდა წავიკითხოთ, როგორც მას დღევანდელი აფხაზები კითხულობენ, მაშინ რაღას ვემართლებით მათ? ვაღიაროთ მათი დამოუკიდებლობა და დავამყაროთ კეთილმეზობლური ურთიერთობა. ალბათ ლტოლვილებსაც დააბრუნებენ მაშინ, სამუშაო ძალა ხომ სჭირდებათ? ერთია ოღონდ, რუსეთი გაგვინაწყენდება, პრეცედენტს შევქმნით და თვითონაც მოუწევს ჩეჩნეთის და სხვათა დამოუკიდებლობის აღიარება.

თუ ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი, ვთქვათ თამამად. თუ ეს ასე არ არის, და გულუბრყვილობით, ან გამოუცდელობით, ან სიბეჩავის, ანდა წინდაუხედაობის გამო ვაპირებთ ამ გზით წასვლას, სჯობს დროზე შევჩერდეთ, გავაანალიზოთ მდგომარეობა, და სანამ რაიმე სისულელე ჩაგვიდენია, ეგებ ცოტა წინ გავიხედოთ და სხვა მიმართულებით დავიწყოთ ფიქრი.

მამუკა წერეთელი ვაშინგტონში მდებარე ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღმასრულებელი დირექტორია და ამერიკის უნივერსიტეტში (ვაშინგტონი) საერთაშორისო ურთიერთობებს ასწავლის.

ᲤᲝᲢᲝ-ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲔᲑᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲢᲐᲚᲦᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲘᲓᲐᲜ

რადიო „მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო 107.4

„ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ“ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲓᲐ 7-ᲓᲐᲜ 8 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

რევოლუციის წლისთავზე ეთნიკური უმცირესობების პრობლემები კვლავ უცველია

წამოწყებან: სოფო გელოვანი და რაგი ჯარსეველიშვილი

სტუმრებს: არარაგ ესოიანი,დემოკრატიული განვითარებისა და რეფორმების ხელშეწყობის ცენტრი

მუბარის კარაევი,საქართველოს ეთნიკური უმცირესობები ევროპისათვის კავშირი პროევროპა

არარან ესოიანი: ვარდების რევოლუციის შემდეგ არჩევნები კვლავ ძველებურად გაგრძელდა. ამის შემდეგ კი პრეზიდენტმა საკაშვილმა სომხეთის პრეზიდენტს ჯავახეთში ამომრჩეველთა აქტიურებისათვის მადლობა გადაუხადა. გამოდის რომ კოსარიანიც ჩვენი პრეზიდენტი ყოფილა. მაღე ალბათ პუტინიც ჩვენი პრეზიდენტი გახდება. უმცირესობების რესურსს რატომ ვუგდებთ ხელში შესამე ქვეყანის? ჩემთვის,როგორც საქართველოს მოქალაქისათვის,მსგავსი განცხადება შეურაცხყოფილია.

ჯავახეთში ახალი ხელისუფლება ამაზე კლანურ დაყოფილნი, რომლებიც შეკარდნაძესთან თანამშრომლობდნენ. ამ მხრივ ადგილზე არაფერი შეცვლილა.

რევოლუციის შემდეგ ჯავახეთში ფასები 20-120 პროცენტით გაიზარდა. მაგალითად,პური 50%-ით გაძვირდა.

მუბარის კარაევი: ღღეს რეგიონში ახალგაზრდა რომ არ არის დაგებული,პასუხისმგებელი ქვეყნის პრეზიდენტი გამოდის,ამიტომ თვითმმართველობა ეთნიკური უმცირესობების პრობლემების და მოლიარად რეგიონებისა და ცენტრის დაპირისპირების გადაჭრის საუკეთესო გზისაგალია. ხელისუფლება ხმარად აცხადებს,რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში თვითმმართველობა სეპარატიზმის ბრდის გამოწვევს. ეს უბრალოდ სიბაბაია,რომ ძალაუფლება ხელიდან არ გაეშვან. საერთოდ არ გვაინტერესებს ამ ფენომენებში ჩაეწერეთ,რომლებიც ცენტრის ბუნებრივი პროგრესიაა.ჩვენ უბრალოდ ვეუბნებოთ ამ პრობლემებზე,რომელთა გადაწყვეტაც ადგილობრივი ძალებით შესაძლებელია. ღღეს კი ყველაზე პრობლემებზე პასუხისმგებლობა ცენტრს ეკისრება.

სერიოზულ საუბარს წინ უნდა უძღოდეს სერიოზული მუშაობა

ᲕᲔᲠᲘᲙᲝ ᲗᲔᲗᲕᲖᲐᲫᲔ

დღის შეკითხვა: არსებულ ვითარებაში რამდენად რეალურად გესახებათ, რომ ოსური მხარე საქართველოს ხელისუფლებასთან რეალურ მოლაპარაკებებზე წამოვა?

ვასილ მაღლაფერიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:

ძნელი სათქმელია. გააჩნია, როგორი იქნება საერთაშორისო ვითარება. საერთაშორისო მხარდაჭერაზე ძალინ ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

გამიჭირდება პასუხის გაცემა. შეთავაზება არის კეთილი ჟესტი, მაგრამ თუ ოსური მხარე საერთაშორისო ინსტიტუტების და რუსეთის ზემოქმედების ქვეშ არ მოექცა, თუ მას არ დავანახეთ, რომ მისი სიჯიუტე და პოზიორობა საქმეს არ წაადგება, შედეგს ვერ მივაღწევთ.

მოცემულ სიტუაციაში ძალინ რთული იქნება ოსების მოდრეკა. ოსეთში არის ასეთი სიტუაცია: იქ წარმოდგენილია საზოგადოება და ხელისუფლება, რომელთაც ერთმანეთისა ეშინია. მათ ასევე ეშინიათ მოსკოვში თავიანთი "პატრონების". აქედან გამომდინარე, სერიოზული საერთაშორისო წნეხია საჭირო, რათა მათ მოსკოვისკენ არ მიიხედონ. ამასთანავე, მოსკოვიც უნდა გაჩერდეს. ამ ეტაპზე ყველაფერ ამის მიღწევა ძნელად წარმომიდგენია.

შეთავაზებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს სერიოზული ეკონომიკური პროექტების განხორციელება. ამის შემდეგ ხალხი დაინახავს, რომ საქართველოს ხელისუფლება მას წინადადებასაც სთავაზობს და საქმესაც აკეთებს. ამგვარმა თანმხვედრმა პროცესებმა შეიძლება, შედეგები გამოიღოს.

არჩილ გეგეშიძე, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:

დღევანდელ ვითარებაში ეჭვი მეპარება, რომ ეს შესაძლებელი იყოს. ამისთვის გარკვეული პირობები უნდა შეიქმნეს, რასაც, თავის მხრივ, განსაზღვრული დრო, მოსამზადებელი სამუშაოები სჭირდება.

გარკვეული პროცესების განვითარების შემდეგ უნდა შეიქმნას შესაბამისი კონიუნქტურა საიმისოდ, რომ ოსურმა მხარემ სერიოზულად იფიქროს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინადადების განხილვაზე.

ყოველივე ამისათვის აუცილებელი წინაპირობაა რუსეთის ფაქტორის, როგორც მინიმუმ, ნეიტრალიზება. ეს, თავისთავად, ძალიან რთული ამოცანაა. ვეჭვობ, საამისოდ საქართველოს ხელთ არსებული პოლიტიკური და დიპლომატიური რესურსი საკმარისი აღმოჩნდეს. აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მეტი აქტიურობა, რათა რუსეთი ამ პროცესში კონსტრუქციული ფაქტორი გახდეს.

თუ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით ინიციატივის გახმოვანება დიდი ჩანაფიქრის ნაწილი იქნება, მაშინ ვისურვებდი, რომ ეს ჩანაფიქრი იყოს გააზრებული და ზუსტ სტრატეგიაზე აგებული. მაგრამ, თუ ამას უკან არაფერი მოსდევს და მხოლოდ ერთჯერადი აქტია, პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. ერთადერთი, შეიძლება, ეს გამოსვლა ახლო პერსპექტივის კონიუნქტურული მომენტებისთვის, ვიღაცის ან რაღაცისთვის მომგებიანი იყოს.

თუ პრობლემის მოგვარება გვინდა, სერიოზულ საუბარს წინ უნდა უძღოდეს სერიოზული მუშაობა, მათ შორის, ქართულ საზოგადოებაშიც, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი სეპარატისტული რეგიონების სტატუსთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლება კი ცდილობს, გააჟღეროს თავისი შეხედულება, მაგრამ ამ შეხედულებას არა აქვს სრული მხარდაჭერა ქართულ საზოგადოებაში. ეს, თავისთავად, პრობლემაა, რომელიც უნდა მოგვარდეს.

ყველა ჩამოთვლილი საკითხის წარმატებულად გადაწყვეტის შემთხვევაში, ოსები დაინახავენ, რომ სხვა გამოსავალი არა აქვთ და იძულებული გახდებიან, სერიოზულად განიხილონ ჩვენ მიერ შეთავაზებული წინადადებები.

გიორგი ხელაშვილი, ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში:

აფხაზეთისგან განსხავებით, ეს უფრო რეალურად მესახება. იმიტომ რომ, ოსები ამ შემთხვევაში ჩიხში არიან მოქცეული, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და, პრინციპში, გეოგრაფიულადაც კი. გარდა ამისა, იქაურ ხელისუფლებას, კოკოითს, მოსახლეობაში ძალინ დაბალი ნდობის ფაქტორი ჰქონდა შარშან ზაფხულამდე. საერთოდ, ოსური მოსახლეობის მობილიზაცია ცხინვალის ხელისუფლების გარშემო შეიმჩნევა ისეთ შემთხვევებში, როდესაც თბილისთან კონფლიქტი მწვავდება. აქედან გამომდინარე, სავსებით რეალური იქნება მათი წამოსვლა მოლაპარაკებებზე, თუკი კონფლიქტი აღარ გამწვავდება და იგი დაბრუნდება, დაახლოებით, იმ მდგომარეობაში, როგორშიც იყო შარშან ზაფხულის პერიოდამდე.

ვახტანგ ხმალაძე, პარლამენტარი:

გამიჭირდება პასუხის გაცემა. იმის გარდა, რაც ზედაპირზე დევს, დამატებითი ინფორმაცია ნაკლებად მომეპოვება. მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რასაც ყველანი ვხედავთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოსები მოლაპარაკებაზე წამოვიდნენ. ყველაზე კარგ ვარინტში, შეიძლება, მოლაპარაკება შედგეს, მაგრამ იგი უშედეგო აღმოჩნდება.

გიორგი ხაინდრავა, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში:

ამ მომენტში შეიძლება, ოსები გაჯიქდნენ, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ისინი აუცილებლად წამოვლენ მოლაპარაკებაზე. ამ მხრივ ძალინ დიდი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო ორგანიზაციების და რუსეთის პოზიციას. ისინი უშუალო ზემოქმედებას მოახდენენ ოსურ მხარეზე.

ერთი რამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია - ოსები მოლაპარაკებისთვის შინაგანად მზად არიან, ამაში დარწმუნებული ვარ. უბრალოდ, ჩვენ არ გვინდა, ეს იყოს ცალმხრივი აქცია. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ კონსტრუქციის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც სამომავლოდ იქნება გარანტიის მატარებელი, როგორც ქართული, ასევე, ოსური მოსახლეობისთვის.

ვის ხელში აღმოჩნდა "საქართველოს საზღვაო სანაოსნო"

პრივატიზაციასთან დაკავშირებული ტრადიციული სკანდალი გუშინ ისევ შედგა. თუმცა, ეს სკანდალი უკვე ნაკლებად იყო დამოკიდებული "საქართველოს საზღვაო სანაოსნოსთვის" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ვინაობაზე. უბრალოდ, მედიას ხელისუფლების მოქმედების ხელწერა უკვე თავისთავად აღუძრავს ეჭვებს და უნდობლობას. ალბათ ამიტომ, "24 საათი" შეეცადა, დამატებითი წყაროებიდან შეეკრიბა მედიისთვის ხელისუფლების მიერ გამომეტებული მწირი ინფორმაცია და აი, რა შედეგი მიიღო.

ნიკა მარიამიძე
დიანა ჩაჩუა

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პრივატიზაციაში მონაწილე კომპანიათა შესახებ ინფორმაციები საკმაოდ მწირია. საზღვაო სანაოსნოს პრივატიზაციაში გამარჯვებული ავსტრალიურ-ბრიტანული Armstrong Holdings Corporation (AHC), სულ რაღაც, ერთი წლის წინ დაფუძნდა და თავიდანვე საკმაოდ ამბიციური მიზნები დაისახა. კერძოდ, კომპანიის დაფუძნების მთავარ მიზანს მსოფლიოს მასშტაბით უკვე დაძიებული თუ მხოლოდ ნავარაუდევი ენერგორესურსების ათვისება და დისტრიბუცია წარმოადგენს.

კომპანიის ნაჩქარევად შექმნილ, საკმაოდ მარტივი არქიტექტურის მქონე ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, AHC ოფშორულ ზონაში, დასავლეთ ინდოეთში რეგისტრირებული კერძო კომპანიაა და მის საქმიანობის მთავარ სფეროს საერთაშორისო ბაზარზე ნახშირწყლების მარაგების გაზრდა და რეალიზაცია წარმოადგენს.

სხვათა შორის, იგი ასევე გაზის და ნავთობის სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობს. ეს მის მიერ "საქართველოს საზღვაო სანაოსნოსადმი" გამოჩენილ ინტერესს დამატებითაც ხსნის (როგორც ცნობილია, სანაოსნოს ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტს "გრინოკს" ხელისუფლება ამ კომპანიასთან ერთად ბათუმის ნავმისადგომების მართვის უფლების მოწილეობასაც სთავაზობდა, თუმცა, მოგვიანებით, მისთვის "სანაოსნოს" მიყიდვა გადაიფიქრა).

როგორც AHC-ის ოფიციალურ ვებსაიტზეა ნათქვამი (თუ ქართველი ჩინოვნიკების მიერ კომპანიის შესახებ გაგონილ მითებს სათვალავში არ ჩავაგდებთ, ეს ვებსაიტი ამ კომპანიის შესახებ არსებული ინფორმაციის ერთადერთი წყაროა), **"კომპანიის გლობალურ სტრატეგიას სამხრეთ ატლანტიკის აუზში, აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის - კასპიის ზღვის რეგიონში, არსებული რესურსები განსაზღვრავს."**

როგორც მოსალოდნელი იყო, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური აღმოჩნდა. პრინციპში, საეჭვოა, ხელისუფლების წარმომადგენელთაგან რომელიმეს მაინც გასჩენოდა იმის ილუზია, რომ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია მათ საკუთარ ანგარიშებში ჩაახედებდა. "24 საათისთვის" ამ ეტაპზე უცნობია, თუ რომელი ბანკისგან წარმოადგინა კომპანიის ხელმძღვანელმა ბატონმა ჯერემი ეი ლიდლმა ნასყიდობისთვის აუცილებელი წინაპირობა - ფინანსური გარანტია. ერთი კი ფაქტია, რომ ხელისუფლება კომპანიის მენეჯერებს, ჯერჯერობით, სიტყვაზე ენდო, რადგან ოფიციალურ კომენტარებში ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ძველი ნაცნობი "გრინოკისა" არ იყოს, ამ ოფშორულ კომპანიასაც "ბრიტანულად" მოიხსენიებენ.

თუმცა, შესაძლოა, ამ უსაზღვრო ნდობის გარანტად ტენდერში გამარჯვებული ამ ახლადგამოჩეკილი კომპანიის ბიზნეს-პარტნიორი და გარიგების თანამონაწილე ავსტრალიური ASP Ship Management იქცა.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ავსტრალიური კომპანია საქართველოს აკვატორიის "მიმდებარე ტერიტორიით", კერძოდ კი, ფოთის გემთსაშენით პირველად 1997 წელს დაინტერესდა, ანუ მაშინ, როცა ASP Ship Management დაფუძნდა. მაშინ ავსტრალიელებს საკმაოდ საინტერესო წინადადებები ჰქონდათ საქართველოს მთავრობისათვის, მაგრამ ხელისუფლებამ გემთსაშენის გასხვისება გადაიფიქრა.

რაც შეეხება ავსტრალიურ კომპანია ASP Ship Management-ს, მას დღეისთვის უკვე კომპანიების საკმაოდ განვითარებული ქსელი გააჩნია და შვილობილ კომპანიათა მთელ ინფრასტრუქტურას ფლობს როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე ავსტრალიასა და სხვადასხვა ოფშორულ ზონებში. კომპანიის ოფისების მისამართები მსოფლიოს რუკაზე საკმაოდ ბევრგან შეიძლება იპოვოთ, კერძოდ - მალაიზიაში, სინგაპურში, იაპონიაში, აშშ-ში, სკანდინავიაში, ფინეთსა თუ ნორვეგიაში.

კომპანიის ოფიციალურ ვებსაიტზე წერია, რომ ASP Ship Management მთელი მსოფლიოს მასშტაბით საკუთარი გემებისა და ეკიპაჟების სოლიდურ რაოდენობას ფლობს. **"ამ ჰოლდინგის საოკეანოსაზღვაო ფლოტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია მსოფლიოში,"** - ასე ეცნობა ASP Ship Management ინტერნეტ-დამთვალიერებლებს თავის საპრეზენტაციო გვერდზე.

ბუნებრივია, არანაირი ინფორმაცია გახსნილი არ არის არც ამ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე. თუმცა, შესაძლოა, მთავრობისთვის ამ კომპანიისადმი ნდობის მაღალ ხარისხს სწორედ ის გასაიდუმლოებული ინფორმაციები წარმოადგენდეს, რომელთა მასმედიისთვის წარდგენის სიამოვნებას ხელისუფლება სამომავლოდ ინახავს.

დაბოლოს - ის, რაც ხელისუფლებამ მედიას უკვე აცნობა: "საქართველოს საოკეანო სანაოსნო" ბრიტანულ-ავსტრალიურ კონსორციუმზე Armstrong Holding ISP 161 მლნ აშშ დოლარად გაიყიდა. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განუცხადა.

მისი თქმით, ამ თანხიდან 72 მლნ აშშ დოლარი გერმანიის ბანკების მიმართ "საოკეანო სანაოსნოს" ვალის დაფარვას მოხმარდება, ხოლო 89 მლნ აშშ დოლარი ქვეყნის ბიუჯეტში შევა. გარიგების პირობების მიხედვით, სანაოსნოს ახალი მეპატრონე 12 წლის მანძილზე შეუნარჩუნებს მეზღვაურებს სამუშაო ადგილებს და 30-მდე გაზრდის გემების რაოდენობას (ამჟამად "საქართველოს საოკეანო სანაოსნო" 15 გემს ფლობს).

ამასთან, ჟვანიას თქმით, "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" ყველა გემი ქართული დროშით იცლის.

Armstrong Holding ISP-ის სათავო ოფისი ბათუმში განთავსდება.

ბრალდება "მარჯვნიდან" და პასუხი მთავრობიდან

დავით გამყრელიძე: "ჟვანიამ და ბენდუქიძემ მაფიოზური დაჯგუფება შექმნეს"

"საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე და ეკონომიკის მინისტრი ალექსი ალექსიშვილი თანამდებობიდან უნდა გადადგნენ, ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უნდა შეისწავლოს პრივატიზაციის პროცესში მონაწილე პასუხისმგებელი პირების საქმიანობა და საზოგადოებრიობას შედეგები გააცნოს," - საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ ეს მოთხოვნა გუშინ, საგანგებო ბრიფინგზე გააჟღერა.

თამარ მჟედლიშვილი

დავით გამყრელიძე დარწმუნებულია, რომ პრივატიზაციის პროცესი საქართველოში ფარულად, გარიგებების გზით ხდება და ვაჭრობა ზურაბ ჟვანიასა და მისი გარემოცვის კაბინეტებში მაშინაც გრძელდება, როცა კონკურსი დამთავრებულია, ხოლო კონვერტები - გახსნილი.

ამ მოსაზრების გასამყარებლად გამყრელიძეს საქართველოს საოკეანო სანაოსნოს ბრიტანულ-ავსტრალიურ კონსორციუმზე მიყიდვის ფაქტი მოჰყავს: **"ყველაფერი ზურაბ ჟვანიას და კახა ბენდუქიძის წყალობით მოხდა, რომლებმაც ამ კონსორციუმის წარმომადგენლებთან დანაშაულებრივ-მაფიოზური გარიგება დადეს."**

ამას გარდა, დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" პრივატიზების პროცესიც აკშარა კანონდარღვევებით წარიმართა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზურაბ ჟვანიასა და კახა ბენდუქიძეს სურდათ.

დავით გამყრელიძე ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვს პრივატიზაციის დროს კანონის სრულ დაცვას და პროცესის გამჭვირვალობას: **"პრივატიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ ეს ქონება მისაწვდომი იყოს არა მხოლოდ ბენდუქიძის ახლობელი და მეგობარი ოლიგარქებისთვის, არამედ საზოგადოების ფართო ფენებისთვის, ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის. ეს ფორმები არსებობს, თუნდაც იგივე აქციების საფონდო ბირჟაზე გამოტანა ან ვაუჩერები."** ამასთან, "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი ხელისუფლებას სამომავლოდაც აფრთხილებს: **"შევახსენებ საქართველოს პრეზიდენტსაც და ბატონ ბენდუქიძესაც, რომ კანონი პრივატიზაციის შესახებ პირდაპირ კრძალავს ამ მაგისტრალური მილსადენის პრივატიზაციის ფორმით გასხვისებას. მინდა გავაფრთხილო ბენდუქიძე და ყველა ის ადამიანი, ვინც მონაწილეობას მიიღებს ან გადაწყვეტს მის გასხვისებას - თავის საქმიანობას გისოსებს მიღმა დაასრულებენ."**

გუშინ დავით გამყრელიძე არ მორიდებია სააკაშვილის მისამართით მკვეთრი შეფასებების გაკეთებასაც. "მემარჯვენეთა" ლიდერმა პრეზიდენტი ხელისუფლების უზურპაციაში დაადანაშაულა და როგორც მან განაცხადა, სწორედ სააკაშვილის დამსახურებაა, რომ ქვეყანაში ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი მოშლილია. **"ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესი კანონდარღვევებით მიმდინარეობს. საქართველოში ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. აღარაფერს ვამბობ ეკონომიკურ სტაგნაციაზე. მთელი პასუხისმგებლობა კი საქართველოს ხელისუფლებას და პრეზიდენტს ეკისრება,"** - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

მოგვიანებით, დავით გამყრელიძის ბრალდებებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძე გამოეხმაურა. მისი თქმით, "საოკეანო სანაოსნო" ხელისუფლებამ **"საკმაოდ სარფიანად გაყიდა და პრეტენზიები, რომლებსაც ზოგიერთი დეპუტატი ხელისუფლების მისამართით გამოთქვამს, დაუსაბუთებელი და არაკომპეტენტურია."**

ბენდუქიძის განცხადებით, დავით გამყრელიძის ბრალდებები აბსურდულია. **"გამყრელიძეს ინვესტორების მოძიების პროცესში აქტიური მონაწილეობა არაერთხელ შევთავაზეთ, მაგრამ მან ეს წინადადება არ მიიღო. ახლა უმჯობესია, მან თავის ბიზნესს მიხედოს, თუ ასეთი აქვს, ან თავისი უშუალო ვალდებულებების შესრულებით, ანუ კანონშემოქმედებით დაკავდეს,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

მაია ნადირაძე "მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერს" კონტრდარტყმით პასუხობს

იაკობ ლეზოვიჩის ფოტო

დავით გამყრელიძის მიერ პრივატიზაციის საკითხებში მთავრობის გუშინდელი კრიტიკა უპასუხოდ არ დარჩენილა. ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარე მაია ნადირაძე "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერს კონტრდარტყმით პასუხობს.

"საერთოდ, სიბრიყვეს პასუხი არ უნდა გასცე, მაგრამ გამყრელიძემ ისეთი სიცრუე თქვა, რომ სერიოზულ კომენტარს საჭიროებს," - ასე ახსნა საგანგებო ბრიფინგის გამართვის საჭიროება საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელმა.

ნადირაძის მტკიცებით, საპრივატიზაციო ობიექტები იდეალურ ფასებში იყიდება, მაგრამ ამის მიუხედავად, ოპოზიცია მაინც ცდილობს ხელისუფლების დისკრედიტაციას. სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ "მემარჯვენეებს" საქართველოს საოკეანო სანაოსნოს შეძენის საკითხში ვიღაცები ჰყავდათ შეგულებული, რომელთა კომპანიონობასაც აპირებდნენ, მაგრამ ისინი მთავრობის მიერ ნავარაუდევი გასაყიდი ფასის ჩარჩოებში ვერ ჩაჯდნენ და ამიტომ გაბოროტდნენ.

"ზურაბ ტყემალაძის მიერ შემოთავაზებული ვიღაც ბერძნები სანაოსნოში სულ რაღაც 60 მილიონს იძლეოდნენ," - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

იმას, რომ დავით გამყრელიძე "არაადეკვატურ განცხადებებს" აკეთებს, მაია ნადირაძე "მემარჯვენე ოპოზიციის" თავკაცის "ინტელექტის ნაკლებობით" ხსნის. "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარე ახლო წარსულსაც იხსენებს და "მემარჯვენეთა" ლიდერს საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს უყენებს: **"ის და მისი ჯგუფი, შევარდნაძის ხელისუფლებასთან გარიგების გზით, ოთვისებდა დიდ პაკეტებს სრული მონოპოლიის ნიშნით და პრივატიზაციის პროცესში კარგად ლავირებდა. დღეს მას თავისი "კოზა ნოსტრას" დაშლა აწუხებს".**

მაია ნადირაძე არ უარყოფს, რომ საოკეანო სანაოსნო ერთი წლის შემდეგ, შესაძლოა, დღევანდელთან შედარებით, 20 მილიონი დოლარით უფრო ძვირად გაყიდულიყო. **"თუმცა, ამ ერთ წელიწადში უფრო მეტს დავკარგავდით იმით, რომ ამჟამინდელი პრივატიზაციის დროს შემოსული მნიშვნელოვანი თანხები ქვეყნის გაძლიერების საქმეს ვერ მოხმარდებოდა,"** - აცხადებს ნადირაძე.

გიორგი ასანიშვილი

მთავრობა ქუთაისში საკონსტიტუციო სასამართლოს ამგზავრებს

საქართველოს მთავრობა, უკვე მეორე სხდომაა, რეგიონების განვითარებაზე და, ამ მიზნით, სახელმწიფო უწყებების ქუთაისში "გადასროლაზე" მსჯელობს. იდეა ეროვნული ბანკის ქუთაისში გადატანისა და, შესაბამისად, თბილისში ამ ბანკის უნიკალური შენობის გამოთავისუფლების შესახებ ჯერ მხოლოდ იდეად რჩება, თუმცა უკვე შეიქმნა კომისია ეკონომიკის მინისტრის ლექსო ალექსიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მსგავსი "გადასროლების" სტრატეგიას განსაზღვრავს. სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ უახლოეს პერიოდში ეს კომისია ან მთლიანად მთავრობა გადაწყვეტს, რომ ეროვნული ბანკის ქუთაისში გადასატანად საჭირო უზარმაზარი თანხების მისაღებად თბილისის შენობის გაყიდვაა მიზანშეწონილი. შესაძლო მყიდველის თაობაზე ვარაუდების გამოთქმა, პრინციპში, უმადური საქმეა.

თამარ ივანიძე

თუმცა მანამ, სანამ ქართველ ბანკირთა და საბანკო ექსპერტთა პოზიციის საწინააღმდეგოდ, ეროვნულ ბანკს ადგილს ქუთაისში მიუჩენდნენ, პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბედი. ზურაბ ჟვანიას შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანის თაობაზე ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს, რომ აღნიშნული ღონისძიება, როგორც ქუთაისის, ასევე მთლიანად დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ რეაბილიტაციას წაადგება.

პრემიერის თქმით, უახლოეს მომავალში ქუთაისში ახალი საავადმყოფო გაიხსნება, რომელიც თავისი ტექნიკური ბაზით და სპეციალისტებით მთელ კავკასიაში უნიკალური იქნება. დაახლოებით, 12 მილიონი ლარი ქუთაისის გზების რეაბილიტაციისთვის დაიხარჯება.

მთავრობის სხდომაზე გუშინ არ ყოფილა საუბარი სხვა ბერკეტებზე, რომლის განხორციელებასაც ხელისუფლება გეგმავს და რომელმაც რეგიონებში არა მხოლოდ ორი სტრუქტურა, არამედ საქმიანი ადამიანებიც შეიძლება გადაანაცვლოს. სავარაუდოა, რომ კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანითა და ეროვნული ბანკის საკითხის განხილვით არ შემოიფარგლება.

თუმცა მანამ, სანამ ქუთაისს ისტორიული ხიბლი და ფუნქცია დაბრუნებია (რაც იდეაში უდავოდ მისასალმებელი გახლავთ), მთავრობა კადეტთა კორპუსის ბედს წყვეტს: საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გადაწყვეტილებით, ხელისუფლება თანხებს გამოყოფს კადეტთა სასწავლებელში, მიმდინარე წელს, სასწავლო პროცესის დასასრულებლად.

შესაბამისი დავალება მთავრობის დღევანდელ სხდომაზე პრემიერმა ფინანსთა სამინისტროს მისცა. თუმცა, როგორც ზურაბ ჟვანია აცხადებს, გასარკვევია, სჭირდება თუ არა სახელმწიფოს არსებული ფორმით კადეტთა კორპუსის ფუნქციონირება.

პრემიერ-მინისტრს დაუშვებლად მიაჩნია, შუა სასწავლო პროცესში მოსწავლეების ქუჩაში დატოვება და ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მითითებები განათლების მინისტრს ალექსანდრე ლომაიასაც მისცა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსი, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის N405 ბრძანების საფუძველზე, გასული წლის 29 დეკემბერს გაუქმდა.

კადეტთა კორპუსი ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, 1992 წელს დაარსდა. დღემდე სასწავლებელმა 800-ზე მეტი კადეტი გამოუშვა. მოსწავლეთა უმეტესობას მიუსაფარი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები წარმოადგენენ, რომლებიც სამხედრო ხელოვნებას საკუთარი სურვილით სკოლის პერიოდიდანვე ეუფლებოდნენ. გასულ წელს კადეტთა კორპუსი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 500 ათასი ლარით დაფინანსდა.

და კიდევ ერთი - მას შემდეგ, რაც პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ "საოკეანო სანაოსნოს" გაყიდვის ფაქტით უსაზღვრო კმაყოფილება გამოთქვა, პრივატიზაციის თემაზე საუბარმა დარბაზს მიღმაც გადმოინაცვლა. სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ სხდომის დასრულების შემდეგ ჯერ დავით გამყრელიძის განცხადებებს უპასუხა, შემდეგ კი დაადასტურა, რომ ამერიკული და ბრიტანული მხარეები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან რუსული კომპანია "გაზპრომისთვის" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო გადაცემას.

თუმცა, ბენდუქიძის განმარტებით, მას ნაკლებად აღელვებს, საქართველოსა და "გაზპრომის" თანამშრომლობით შეექმნება თუ არა პრობლემები შაჰ-დენიზის მილსადენის მშენებლობას. ბენდუქიძეს მიუღებლად მიაჩნია საქართველოს მიმართ ამერიკულ-ბრიტანული მხარეების მხრიდან დიქტატის განხორციელება.

მისი აზრით, მაგისტრალური გაზსადენების მიმართ ინტერესების გაზრდის შემთხვევაში, კონკურენტული გარემოს შექმნის და, შესაბამისად, ეკონომიკური მოგების გაზრდის შესაძლებლობა საქართველომ უნდა გამოიყენოს.

სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, მაგისტრალური გაზსადენი ამერიკულ და ბრიტანულ მხარეებს მიჰყიდოს, თუკი ისინი ასეთ სურვილს გამოთქვამენ, რაც, ჯერჯერობით, არ მომხდარა. აქვე ბენდუქიძე აცხადებს, რომ ჯერჯერობით, მილსადენის გაყიდვა არ იგეგმება. ამასთანავე, ამისთვის პარლამენტის თანხმობაა საჭიროა.

კ ო ნ კ უ რ ს ი

ს.ს. "თბილგაზი" აცხადებს ღია კონკურსს გაზის გადახდის ბარათების (მონო-ბარათების ტიპი) დამზადებაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიასას საპრეზენტაციო მასალები 4 თებერვლის დღის 12.00 საათამდე უნდა წარუდგინონ დახურული კონვერტით. სარეკლამო სააგენტოებსა და პოლიგრაფიულ სტამბებს ვთხოვთ საკვალიფიკაციო მონაცემები მოგვაწოდონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 18 ა. ტელ. 387625.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1. ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
3. ცნობა შსს-დან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან კონტრაქტის დადების მომენტისათვის, მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მოქალეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
4. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს გიორგი მიქელაძეს tenderi@tbilgazi.ge

სს"თბილგაზის" საკონკურსო კომისია

ახალი წიგნი ჟურნალისტებისთვის

"საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ" გუშინ სასტუმრო "მარიოტში" ახალი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გამართა. სახელმძღვანელო, რომელიც, ძირითადად, მასმედიის წარმომადგენლებისთვის არის გათვალისწინებული, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას შეიცავს.

მარიამ ჯაჭვაძე

თავად ფინანსისტებიც კი ხშირად აღნიშნავენ, რომ ბიუჯეტი ერთ-ერთი ყველაზე რთული იურიდიული დოკუმენტია, რომლის ბოლომდე გაგება და აღქმა რიგითი მოქალაქეებისთვის შეუძლებელია. არადა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საზოგადოების მონაწილეობა სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, ფორმირებისა და შესრულების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.

ახალი სახელმძღვანელო "სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი მონიტორინგის მეთოდები," ჟურნალისტების გარდა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებშიც უფასოდ გავრცელდება. გარდა ამისა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ანი ქათამაძის განმარტებით, გზამკვლევი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **"გზამკვლევი დიდ დახმარებას გაუწევს ყველა იმ პირს, რომელიც დაინტერესებულია საბიუჯეტო სისტემით,"** - აცხადებენ "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში."

გზამკვლევში ასახულია საბიუჯეტო სისტემის ყველა ძირითადი ეტაპი და პროცედურა, ასევე ბიუჯეტის მონიტორინგისა და ანალიზის მეთოდები.

გუშინვე, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ" 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებსა და პარამეტრებზე იმსჯელა. ასოციაციის წევრის კახა იმერლიშვილის შეფასებით, ახალი ბიუჯეტი გასული წლების ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონებისგან რადიკალურად განსხვავდება. მისივე თქმით, 2005 წლის ბიუჯეტი უფრო მეტად გამჭვირვალე და გაშლილია. **"უფრო მეტი ინფორმაციაა ამ ბიუჯეტში და თანხები, ხშირ შემთხვევაში ბოლო თეთრამდეა გაწერილი."**

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის განმარტებით, "2005 წლის ბიუჯეტში არის რამდენიმე ლაფსუსი, რომლის გამოსწორების რეკომენდაციას მომავალი წლის ბიუჯეტში ისინი მთავრობას აძლევენ.

"რამდენიმე სახელმწიფო უწყების, მაგალითად, იუსტიციისა და კულტურის სამინისტროების ხარჯები არ არის დეტალურად გაწერილი, რაც ბევრ კითხვას ბადებს," - გვითხრა კახა იმერლიშვილმა.

2005 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებს - ენერგეტიკა, თავდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია" დადებითად აფასებს.

სემინარი საგადასახადო საკითხებზე

ახალი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სიახლეები, ძველი და ახალი საგადასახადო კოდექსების შედარებითი ანალიზი, საგადასახადო ვალდებულებები, საგადასახადო ანგარიშება და პასუხისმგებლობა, საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, აღრიცხვის და ანგარიშგების თავისებურებები ორგანიზაციებისთვის - ახალი საგადასახადო კოდექსის ამ და სხვა საკითხების განხილვისა და შეფასების მიზნით ფონდში "ღია საზოგადოება-საქართველო" მიმდინარეობს ტრენინგი-სემინარი სახელწოდებით: "ახალი საგადასახადო კოდექსი და ფონდის პროცედურები ფონდის საქმიანობის ეფექტურობისათვის."

როგორც ფონდში აღნიშნავენ, **"ახალი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლა მნიშვნელოვნად ცვლის დაბეგვრის სისტემას, ასევე გადასახადების განაკვეთებს. ამდენად, მისი საფუძვლიანი და დროული გაცნობა მნიშვნელოვანია ფონდის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის და გამოყოფილი ორგანიზაციებისათვის, ასევე გრანტის მიმღები ორგანიზაციებისათვისაც."**

მათივე შეფასებით, აუდიტორია, რომლისთვისაც სემინარია განკუთვნილი, მიზნობრივად და სწორად იქნა შერჩეული. კერძოდ, მასში პროგრამების კოორდინატორები, ფონდის სხვა ორგანიზაციების თანამშრომლები, აღმასრულებელი საბჭოს წევრები, კომისიის წევრები, "სპინ ოფფი" -ორგანიზაციები და გრანტიორები მონაწილეობენ.

24 საათი

უკრაინის პრემიერ-მინისტრობა ტიმოშენკოს რუსული მართლმსაჯულებისგან ვერ დაიცავს?

"ნარინჯისფერი რევოლუციის" ერთ-ერთი ყველაზე რადიკალი ლიდერი, როგორც ჩანს, კრემლს სერიოზულად აღიზიანებს. მიუხედავად იმისა, რომ იულია ტიმოშენკოს რეალური შანსი აქვს, უკრაინის ხელისუფლების მეორე პირი გახდეს (ორშაბათს იგი პრემიერ-მინისტრის მოვალეობების შემსრულებლად დაინიშნა), მეზობელ "მუდმივ სტრატეგიულ პარტნიორ" ქვეყანაში მას კვლავ დაპტიმრებით ემუქრებიან.

უკრაინელ "ყანა დ'არკს" მოსკოვში დაპატიმრებით ემუქრებიან.

რუსეთის გენერალური პროკურატურა იულია ტიმოშენკოს წინაღმდეგ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას არ აპირებს. ამის შესახებ, გუშინ, რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმირ უსტინოვმა განაცხადა. "საქმე რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად იქნება გამოძიებული," - აცხადებს უსტინოვი. იგი არ გამორიცხავს, რომ იულია ტიმოშენკო, რუსეთში ჩასვლის შემთხვევაში, შეიძლება, დაეპატიმრონ კიდეც, რადგანაც ამის შესახებ გადაწყვეტილება სანკტ-პეტერბურგის სასამართლოს უკვე გამოტანილი აქვს.

"ტიმოშენკო მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის სახით ფიგურირებს. მას ბრალად ედება თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებისთვის ქრთამის მიცემის ორგანიზება, მათ მიერ "უკრაინის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის" სასარგებლოდ უკანონო გადაწყვეტილების მიღების მიზნით", - აზუსტებს რუსეთის გენერალური პროკურატურის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო.

როგორც უფრო ადრე რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურორი იუწყებოდა, ტიმოშენკო კერძო კომერციული სტრუქტურის ხელმძღვანელად მუშაობისას ქრთამს აძლევდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მატერიალური რესურსებისა და საგარეოეკონომიკური კავშირების ხუთ ოფიცერს. მისივე სიტყვებით, ქრთამის სანაცვლოდ, შესყიდული სამშენებლო მასალების ფასი 80 მლნ დოლარით იქნა გაზრდილი.

აღსანიშნავია, რომ იგი მოსკოვში ორჯერ იყო დაკითხვაზე გამოძახებული, თუმცა უშედეგოდ. 2004 წლის შემოდგომაზე იულია ტიმოშენკოზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

24 საათი

ლუკაშენკო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტზე პირად კონტროლს აწესებს

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან თათბირისას განაცხადა, რომ უშიშროებასა და სხვა ძალოვან სამსახურებზე ის მკაცრ კონტროლს აწესებს, ისეთს, როგორიც ქვეყანას ჯერ არ ახსოვს.



ლუკაშენკო უკვე დიდი ხანია უშიშროების კომიტეტის მუშაობით უკმაყოფილოა

"მე, როგორც ქვეყნის მეთაურს, კონსტიტუციის თანახმად ძალოვანი სტრუქტურების და მათ შორის "კაგებე"-ს კონტროლის უფლებაც მაქვს," - განაცხადა ლუკაშენკომ 25 იანვარს. ქვეყნის მეთაური უშიშროების ჯერ კიდევ 2003 წლის მუშაობის შედეგებით იყო უკმაყოფილო. მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთხელ გამოუხატავს უკმაყოფილება, ლუკაშენკოს აზრით მდგომარეობა დღემდე უცვლელია. თუმცა, აღნიშნულ სტრუქტურაში საკადრო ცვლილებები ხშირად ხდება.

უშიშროების სამსახურის თავჯდომარედ ახლახანს გენერალ-მაიორი სტეფანე სუხარენკო დაინიშნა. მანამდე ამ თანამდებობას ლეონიდ ერინი იკავებდა. 2004 წლის ნოემბერში ის თავჯდომარის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამის მიზეზებს ანალიტიკოსები მის ბელორუსის ოპოზიციასა და რუსეთთან ძველ კავშირში ეძებდნენ. აღსანიშნავია, რომ ერინის წინამორბედი, მაკკევიჩი და გენერალური პროკურორი ოლეგ ბოჟელკო ერთ დღეს გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც მათ ქვემდებარე ორგანოებმა ბელორუსის ოპოზიციის წევრთა და ჟურნალისტთა გაუჩინარებასთან ლუკაშენკოს პირადი სპეცდანაყოფის კავშირი აღმოაჩინეს. თუმცა აღნიშნული სპეცდანაყოფის ხელმძღვანელის დიმიტრი პავლიჩენკოს გენერალური პროკურატურის სანქციით დაკავების შემდეგ, მაკკევიჩი საქმეს ჩამოაშორეს. რამდენიმე საათში, ლუკაშენკოს მითითებით დაკავებულიც გაათავისუფლეს. მოგვიანებით მას პოლკოვნიკის ჩინი მისცეს. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებით დიმიტრი პავლიჩენკოს, როგორც ლუკაშენკოს პოლიტიკური ოპონენტების გაუჩინარებაში ეჭვმიტანილს, გაერთიანებული ევროპის ქვეყნებში შესვლა ეკრძალება.

ლუკაშენკო აღნიშნავს, რომ უშიშროების კომიტეტში განხორციელებული უკანასკნელი საკადრო ცვლილებების მიზეზი არაერთია, მათ შორის ცენტრალური აპარატის მუშაობის ხარისხით უკმაყოფილება. **"თქვენ იქ უნდა იმუშაოთ, სადაც ვერ იმუშავებს ვერც პოლიცია, ვერც პროკურატურა და საერთოდ ვერც ერთი უწყება,"** - განაცხადა ქვეყნის მეთაურმა "კგბ"-ს თანამშრომლებთან საუბრისას.

აღნიშნული უწყების საქმიანობის შესახებ მიღებული კანონი განუსაზღვრელად ზრდის მის შესაძლებლობებს. კანონის თანახმად, შესაძლებელი ხდება სპეცსამსახურის მუშაკების "შეგზავნა" ნებისმიერი საკუთრების ფორმის საწარმოში, ხოლო აგენტის გამოაშკარავება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. **"მე არ გადამიცია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ეგრეთწოდებული სამოქალაქო საზოგადოების კონტროლქვეშ, როგორც ეს მიღებულია ზოგიერთ ქვეყნებში. სამოქალაქო საზოგადოების კონტროლი ძალოვანი სტრუქტურების ნგრევას ნიშნავს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ლუკაშენკომ.

ამავდროულად, მინსკში ახლად დაარსებულმა ორგანიზაციამ - "ზაშიტნიკი ოტეჩესტვა" - თავისი არსებობის შესახებ განაცხადა. მასში გაერთიანდნენ სპეცსამსახურების ყოფილი ოფიცრები და გადამდგარი სამხედროები. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ოლეგ ვოლჩეკმა განაცხადა, რომ სტრუქტურა იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირებას არ აპირებს. **"ხელისუფლება არ დაუშვებს იმათ ლეგიტიმურ არსებობას, ვისი მიზანიც მის წინააღმდეგ ბრძოლაა,"** - აცხადებს ვოლჩეკი. აღნიშნული ორგანიზაცია მზადაა, ლუკაშენკოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციების განმავლობაში, სისხლისღვრისა და შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით, მოქმედი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ითანამშრომლოს. **"ბელორუსის პრეზიდენტი შეშინებულია უკრაინაში მომხდარი მოვლენებით. სწორედ ეს არის ძალოვან უწყებებზე კონტროლის გაძლიერების მიზეზი,"** - აცხადებს ლუდმილა გრაზნოვა, "პრავოზაშიტნი ალეანსის" ხელმძღვანელი. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, ლუკაშენკო გამუდმებით იმეორებს, რომ ბელორუსიაში რევოლუცია არ მოხდება. უკრაინული ვარიანტი არ ივარგებს, ამიტომ ოპოზიციურ პარტიებს ისღა დარჩენიათ, რომ საკუთარი ვარიანტი შეიმუშაონ.

ბი ბი სი

საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია რუსეთის უკმაყოფილებას იწვევს

"იუკოსის საქმესთან" დაკავშირებით მოხსენების მოსმენის შემდეგ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, სანავთობო კომპანიასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი არაობიექტურად, უსამართლოდ და გაუმჭვირვალედ მიიჩნია, რასაც რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის წევრის, "ედინაია როსია"-ს დეპუტატის ვალერი გრებენიკოვის განცხადებით, სავარაუდოდ, გაზაფხულზე რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ევროპის საბჭოში რუსეთის ყოველწლიური შენატანის ოთხჯერ შეკვეცის შესახებ კანონს მიიღებს, რაც ამჟამინდელი 24 მლნ აშშ დოლარის 6 მლნ. დოლარამდე შემცირებას ნიშნავს.

მოხსენება საპარლამენტო ასამბლეაზე გერმანიის ყოფილი იუსტიციის მინისტრმა საბინა ლოიტჰოიზერ-შნარენბერგერმა გააკეთა. "იუკოს"-ის საქმესთან დაკავშირებით დეტალების გასაცნობად გასულ წელს რუსეთში იგი ორჯერ იყო ჩასული. მისი თქმით, სასამართლო პროცესზე დაშვებული დარღვევები პირდაპირ მიუთითებს ხელისუფლებისადმი სასამართლო შტოს დაქვემდებარებაზე. სასამართლო პროცესზე დაშვებულ დარღვევებში კი, უმთავრესად, დაცვის ყოლის უფლების ხელყოფა იგულისხმება. საპარლამენტო ასამბლეის დასკვნით, "იუკოს"-ის საქმით რუსეთის ხელისუფლება სხვა ოლიგარქების დაშინებასა და სტრატეგიულ ეკონომიკურ აქტივებზე კონტროლის დაბრუნებას ცდილობს.

საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციით უკმაყოფილება, პირველ რიგში, საპარლამენტო დელეგაციის მეთაურმა კონსტანტინ კოსაჩევმა გამოხატა. "ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რუსეთის კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, რაიმე რეკომენდაციებს გასცემდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ასეთი რეკომენდაციები მოხსენებაში, პრაქტიკულად, არც ყოფილა. მოხსენების მთელი არსი მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება იყო,"- აღნიშნა კოსაჩევმა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, ბრიტანელი პარლამენტარი ბრიუს მალკოლმი, რომელიც "იუკოსის საქმესთან" დაკავშირებით მოხსენების მომზადებაში მონაწილეობდა, აცხადებს, რომ სანავთობო კომპანიის ხელმძღვანელობამ დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი უკვე ითხოვა. აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარისაგან თავი შეიკავეს მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საელჩოში. "ეს ერთ-ერთი ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენ ინფორმაციას არ გავცემთ,"- განაცხადა დიპლომატიური მისიის წარმომადგენელმა. რაც შეეხება "იუკოს"-ს, კომპანიის პრესსამსახურმა ხელმძღვანელობის მიერ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის ფაქტი არ დაადასტურა.

მიხეილ ხოდორკოვსკის ადვოკატის განცხადებით კი, სანავთობო კომპანიის მენეჯმენტის რამდენიმე წარმომადგენელმა მართლაც ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისინი ბორის ბერეზოვსკისა და ახმედ ზაკაევის ბედს გაიზიარებენ.

რუსულ საინფორმაციო სივრცეში კი აქტიურად განიხილავენ "იუკოს"-ის შვილობილი კომპანიის "სამარანეფტეგაზ"-ის მომავალს. ექსპერტთა შეფასებით, ეს უკანასკნელი "იუგანსკნეფტეგაზ"-ის ბედს გაიზიარებს. "სამარანეფტეგაზ"-ის წინააღმდეგ გადასახადებისაგან თავის არიდების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, კერძოდ, საუბარია 4.5 მლრდ. რუბლზე. ვინაიდან დიდია იმის ალბათობა, რომ კომპანია აღნიშნული თანხის გადახდას ვერ შეძლებს, იგი გამოცხადდება გაკოტრებულად და აუქციონზე გაიყიდება. ზოგიერთი ექსპერტი არ გამორიცხავს იმისაც, რომ ამ კომპანიის ბედი, შესაძლოა, მიმდინარე წლის გაზაფხულზევე გადაწყდეს. "სამარანეფტეგაზ"-ის პოტენციურ მყიდველად კი ტრანსნაციონალურ კომპანია "BP"-ს ასახელებენ.

24 საათი

კუბის სპეცსამსახურების აგენტებს ვენესუელაში კარტ-ბლანში ეძლევათ

კუბისა და ვენესუელის ხელისუფლებების მიერ გაფორმებულმა ხელშეკრულებამ ვენესუელის აკადემიურ წრეებში შეშფოთება გამოიწვია. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, კუბის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, პოლიციის თანამშრომლებსა და სახელმწიფო უშიშროების აგენტებს ვენესუელის ტერიტორიაზე მოქმედების სრული კარტ-ბლანში ეძლევათ. მათ შეუძლიათ არა მარტო ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი კუბის მოქალაქეების ძიება, დაპატიმრება და დაკითხვა, არამედ იგივე ქმედებების ვენესუელის მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებაც. ექსპერტთა შეფასებით, ასეთი მასშტაბებით უფლებამოსილების გაზრდა, შესაძლოა, რეპრესიების ინსტრუმენტად იქცეს იმ კუბელი ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რომლებიც ვენესუელას აფარებენ თავს. ოფიციალური მონაცემებით, ვენესუელაში კუბის დიასპორა 30 000 ადამიანისაგან შედგება.

"ეს დოკუმენტი უხეშად არღვევს ვენესუელის სუვერენიტეტს, რადგან მისი მეშვეობით კუბის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს უფლება ეძლევათ, უგო ჩავესის ხელისუფლების ვენესუელელი ოპოზიციონერების მოღვაწეობაზე აწარმოონ მოკვლევა და გაასამართლონ კიდეც ისინი კუბაზე, თუკი ამ უკანასკნელის ხელისუფლება მათ სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხის წყაროდ მიიჩნევს",- აცხადებს ცნობილი ვენესუელელი აკადემიკოსი, ადვოკატი ტულიო ალვარესი.

"ამიერიდან ნებისმიერი ვენესუელელი, რომელიც ფიდელ კასტროს რეჟიმის წინააღმდეგ საჯაროდ გამოხატავს უკმაყოფილებას, შესაძლოა, კუბის სპეცსამსახურების დევნის ობიექტად იქცეს, რაც მათი კუბაზე ექსტრადაციით დასრულდება",- აღნიშნავს ვენესუელის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი ხესუს კინტერო.

სიალისი – ერექციული დისფუნქციის ეფექტური მკურნალობა შაქრიანი დიაბეტის დროს

სიალისი
ტადალაფილი – 20მგ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შაქრიანი დიაბეტი განსაზღვრულია, როგორც არაინფექციური დაავადების ეპიდემია, რომელიც სწრაფად ვრცელდება მთელს პლანეტაზე და აქვს მძიმე გამოსავალი, მნიშვნელოვნად მოქმედი სიცოცხლის ხარისხზე. ძნელია გამოყო მედიცინის სფერო, რომლის სპეციალისტებიც არ აწყდებიან ამ პათოლოგიას.

როგორც ცნობილია, შაქრიანი დიაბეტი ვითარდება ინსულინის სეკრეციის დარღვევის ან ამ ჰორმონის მიმართ ქსოვილების მგრძნობელობის დაქვეითების შედეგად. შაქრიანი დიაბეტი ხასიათდება სისხლში გლუკოზის მაღალი შემცველობით (ჰიპერგლიკემია), რაც არასასურველად მოქმედებს სისხლძარღვებსა და ნერვულ ბოჭკოებზე და იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების მხრივ. მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტის დროს ხშირია სქესობრივი ფუნქციის მოშლა, რომელსაც აღნიშნავენ ტერმინით "ერექციული დისფუნქცია".

საქართველოში ერექციული დისფუნქციის გავრცელების სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ძლიერი სქესის მაღალ ტრავმატიზმს, ალკოჰოლიზმ და დაბალხარისხიანი თამბაქოს ბოროტად გამოყენებას, შეიძლება ვივარაუდოთ ამ დაავადების მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ეს პრობლემა მამაკაცებში აქტუალური ხდება უკვე 21 წლის ასაკიდან.

ერექციული დისფუნქციის მქონე პაციენტების 50-75%-ს აქვს შაქრიანი დიაბეტი. ამ დაავადების ფონზე სექსუალური სფეროს მოშლილობანი ვითარდება სამჯერ უფრო ხშირად და 10-15 წლით ადრე, ვიდრე ჯანმრთელ მამაკაცებში.

ასაკოვან პაციენტებში არცთუ იშვიათად ერექციული დისფუნქცია არის შაქრიანი დიაბეტის პირველი გამოვლინება, რის გამოც მდგომარეობა ითხოვს გამოკვლევის ჩატარებას. დღესდღეობით აღიარებულია, რომ ასაკი არ წარმოადგენს სექსუალური აქტივობის განმსაზღვრავ ფაქტორს. ჯანმრთელ მამაკაცს სქესობრივი აქტის ჩატარების უნარი შენარჩუნებული აქვს ღრმა სიბერემდე.

პრაქტიკოს დიაბეტოლოგთა უმრავლესობა დიდი ხნის მანძილზე გაურბოდა ამ საკითხის გაღრმავებას. მიზეზი გახლდათ უკვე არსებული მეჭნიკური და ფარმაკოლოგიური სამკურნალო საშუალებების დაბალეფექტურობა.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1993 წლიდან, როდესაც კლინიკურ პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ერექციული დისფუნქციის სამკურნალო ახალი ქიმიური ჯგუფის პრეპარატები, რომელთა ანალოგები მანამდე არ არსებობდა. სამწუხაროდ, ამ მედიკამენტთა ზოგიერთი გვერდითი მოვლენა ზღუდავდა მათ ფართო გამოყენებას დიაბეტით პაციენტებში. უკუჩვენებათა შესამცირებლად მრავალი კვლევა ჩატარდა, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი გენერაციის პრეპარატები. სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენელია სიალისი, მისი აქტიური ნივთიერება არის ტადალაფილი – მოლეკულა შექმნილი ამერიკული ფარმაცევტული კორპორაცია "ელი ლილი"-ის მიერ.

სიალისის კლინიკურმა აპრობაციამ ცხადყო, რომ იგი ეფექტურია ნებისმიერი ეტიოლოგიისა და სიმძიმის ხარისხის ერექციული დისფუნქციის დროს და იგი უფრო ფართოდ დაინერგება მომავალში. მისი მოქმედება იწყება 16 წუთში და გრძელდება 36 საათი; პრეპარატი უსაფრთხო და მისაღებად მოსახერხებელია; შაქრიანი დიაბეტის(I და II ტიპი), თირკმლებისა და ღვიძლის დისფუნქციის მქონე ავადმყოფებში, ასევე ხანდაზმულ პაციენტებში არ საჭიროებს დოზის კორექციას; მნიშვნელოვნად დაყვანილ გვერდით მოვლენებს აქვს მსუბუქი და ტრანზიტორული (გარდამავალი) ხასიათი; მედიკამენტთან ერთად დასაშვებია ალკოჰოლის ზომიერი მიღება.

სიალისის დანიშნა შეიძლება ნებისმიერ ანტიდიაბეტურ საშუალებასთან ერთად, იქნება ეს ინსულინი, თუ რომელიმე სხვა ჯგუფის აბები. რეკომენდებული სადღეღამისო დოზა შეადგენს 20მგ-ს ერთჯერადად.

სიალისით წარმატებული მკურნალობის აუცილებელი პირობაა დიაბეტის სწორი მოვლა. ამ პირობის დაცვით შესაძლებელია მრავალი პრობლემის მოგვარება ექიმთან შეთანხმებით და მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ქობა პოპლატაძე
მედიცინის მეცნ. დოქტორი,
თბილისის ხალხმეურნეო სამედიცინო
უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის კათედრა

Lilly

აშრიგად, თუ თქვენ შაქრიანი დიაბეტი გაქვთ და ინტიმურ ცხოვრებაში გარკვეული სირთულეები შეგექმნათ, არ შეშინდეთ!

გახსოვდეთ:

– თქვენ არ ხართ პირველი, ვისაც ეს პათოლოგია აწუხებს. მსოფლიოს მილიონობით მამაკაცი შავე დღეს ამ პრობლემის წინაშე და მილიონებმა უკვე გადაწყვიტეს იგი;

– ეს არ არის წატალური. თანამედროვე მედიცინა გთავაზობთ საუკეთესო საშუალებას სიალისის სახით თქვენი სექსუალური ფუნქციის აღსადგენად. მკურნალობა ეფექტურია შემთხვევათა 95%-ში;

– მედიკამენტის გაჯლენა ორგანიზმზე ინდივიდუალურია, არის გარკვეული შეზღუდვები, ამიტომ არ ეცადოთ ჩაიტაროთ თვითმკურნალობა. ეს შეიძლება აღმოჩნდეს არა მარტო არაეფექტური, არამედ საშიშიც თქვენი ჯანმრთელობისთვის;

– აუცილებლად კითხეთ რჩევა თქვენს მკურნალ ექიმს, რადგან მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია გაარკვიოს შექმნილ პრობლემაში და იპოვოს მისი გადაჭრის ოპტიმალური გზა.

სიალისი აღადგენს სექსუალური ცხოვრების ბუნებრივ სპონტანურობას!
სიალისი (ტადალაფილი) – მამაკაცური თავდაჯერებულობის ახალი ფორმულაა!

პრეპარატის მიღებამდე გაეცანით ანოტაციას

ფარმაცევტული კომპანია "ელი ლილი"-ს (აშშ)
დისტრიბუტორის - ფირმა "პე-ეს-პე"-ს
საინფორმაციო სამსახური ტელ.: 91 10 22
ცხელი ხაზი: 91 11 01

ორი სიტყვით

ერაყი. არჩევნებამდე 4 დღეა დარჩენილი და უსაფრთხოების ზომებიც სულ უფრო მკაცრდება. 28 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით 19:00-დან 06:00 საათამდე კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრმა ფალაჰ ან-ნაკიბმა გუშინ განაცხადა. იკრძალება საარჩევნო უბნებთან მიტინგების ჩატარება და ავტომანქანებით მისვლა, განსაკუთრებით 30 იანვარს, არჩევნების დღეს. განკარგულების თანახმად, არჩევნების დღეს ბაღდადსა და სხვა მსხვილ ქალაქებში საავტომობილო მოძრაობა "მკვეთრად შეიზღუდება". მინისტრის მტკიცებით, "სამართალდამცავები ყველაფერს გააკეთებენ არჩევნების ნორმალურ პირობებში ჩატარების უზრუნველსაყოფად". ან-ნაკიბმა ასევე ისაუბრა ბაღდადში, მოსულში, თიქრითში, კირკუკსა და სხვა ქალაქებში ბოევიკთა წინააღმდეგ წარმატებულ პრევენტიულ ღონისძიებებზე. მისი თქმით, უკვე აღკვეთილია ტერაქტების განხორციელების მცდელობები და დაკავებულია აბუ მუსაბ აზ-ზარქავის ტერორისტული დაჯგუფების რამდენიმე წევრი. **24 საათი**

■ ■ ■

აშშ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის განცხადებით, მიმდინარე წელს ჩინეთისათვის იარაღის მიწოდებაზე დაწესებული ემბარგოს მოხსნის ევროკავშირის გეგმებს ამერიკის შეერთებული შტატები არ იზიარებს.

ემბარგო 1989 წელს ტიანანმენის მოედანზე განვითარებული მოვლენების, კერძოდ, სტუდენტთა მიტინგის დარბევის შემდეგ იქნა დაწესებული. რიჩარდ ბაუჩერის განცხადებით, მას შემდეგ ადამიანთა უფლებების დაცვის მხრივ, ჩინეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. "ჩვენ წინააღმდეგი ვართ ემბარგოს მოხსნისა, რადგან ჩინეთში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი მეტისმეტად გვაღელვებს,"- აღნიშნა ბაუჩერმა. სახელმწიფო ადმინისტრაციის ოფიციალურ წარმომადგენელს არ დაუკონკრეტებია, განიხილა თუ არა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ემბარგოს მოხსნის საკითხი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჯეკ სტროსთან და გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან იოშკა ფიშერთან შეხვედრების დროს. ბაუჩერმა ასევე თავი შეიკავა ევროკავშირის მიერ ზემოაღნიშნული ემბარგოს შესაძლო მოხსნის ტექნიკურ პირობებზე საუბრისაგან. **იტარ-ტასი**

რევაზ ადამიას მიმართვა გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს

ჰირველი გვერდიდან

საერთაშორისო სამართლის ყველაზე ძირეული ნორმებიც რომ დავივიწყოთ, როგორ შეიძლება, საარჩევნო პროცესი ვინმემ ჩათვალოს სამართლიანად ან დემოკრატიულად, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ძალით იქნა განდევნილი საქართველოს ამ რეგიონიდან. აქ მსურს აღვნიშნო, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, დღეისათვის აფხაზეთში (საქართველო) ცხოვრობს დაახლოებით ასი ათასი მოსახლე, მაშინ, როდესაც კონფლიქტამდე რეგიონის მოსახლეობა ხუთასი ათასს აჭარბებდა.

მეტად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დამატებითი ასპექტი, რომელიც, თუმცა არ ხვდება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ იურიდიულ კაზუსს. აფხაზური და რუსული წყაროების მიხედვით, სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს მიღებული აქვს რუსეთის მოქალაქეობა. ეს სწორედ ის ხალხია, რომელმაც მიიღო მონაწილეობა "არჩევნებში", სხვებისაგან, კერძოდ კი გალის რეგიონის მოსახლეობისაგან განსხვავებით, რომელთა "საარჩევნო უბნებთან" არდასაშვებად ყველა საშუალებას მიმართავდნენ, მათ შორის ფიზიკურ ძალადობას, დაშინებას, გატაცებებს და ა.შ. (მსგავსმა ძალადობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ისეთი ოდიოზური ფიგურის გაცხარებაც კი გამოიწვია, როგორიც რუსეთის დუმის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ბაბურინია). რას ნიშნავს ყოველივე ეს? "რუსეთის მოქალაქეებმა" "აირჩიეს" საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის "ხელმძღვანელობა"!

არის თუ არა ეს აბსურდი?

ძალზე საინტერესო იყო პირველი "არჩევნების" შემდგომ განვითარებული მოვლენები. ნათელია, რომ რუსეთის, და თავად პრეზიდენტ პუტინის, რჩეულმა - ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებდნენ "საარჩევნო" სტენდები - ვერ გაამართლა თავისი ბატონების ნდობა და დამარცხდა ამ "რბოლაში". ამას მოჰყვა მეტად საინტერესო ჯაჭვური რეაქცია. კანდიდატებს შესაშური სისტემატურობით იძახებდნენ კრემლის მაღალ კაბინეტებში. როდესაც დაშინების არგუმენტებმა ვერ გაჭრა, მოსკოვმა დაანახა მთელ მსოფლიოს, მათ შორის აფხაზეთის მოსახლეობას, თუ ვინ მართავს სიტუაციას რეგიონში: ე.წ. ინაუგურაციის წინა დღეს რუსეთმა გადაკეტა გამშვები პუნქტი მდინარე ფსოუზე, ანუ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა 1996 წლიდან დსთ-ს გადაწყვეტილებების შესაბამისად. ამის შემდეგ მოფიქრებული იქნა "ბრწყინვალე" სვლა - ე.წ. კონსტიტუციური შეთანხმება, რომელსაც, სხვათა შორის, ხელს აწერს რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილე!

არის თუ არა ეს აბსურდი?

როგორც კი მოსკოვმა მიაღწია სასურველს (სხვათა შორის, რეგიონში ამან სტაბილურობა არ მოიტანა), გამშვები პუნქტი გახსნილ იქნა და განახლდა სარკინიგზო მიმოსვლა სოხუმსა და მოსკოვს შორის. რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება, პრეზიდენტ პუტინის ჩათვლით, ოფიციალურად ამ ნაბიჯებს ხსნის, როგორც "სამოქალაქო დაპირისპირებისა" და სისხლისღვრის თავიდან აცილების ერთადერთ გზას. რასაკვირველია, ჩვენ მთლიანად ვემხრობით კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ ნუთუ შეუძლებელი იყო იგივე ნაბიჯები გადადგმულიყო თბილისთან შეთანხმებით? თუ დღესდღეობით ცუდ ტონად ითვლება მეზობელი, მეგობარი სახელმწიფოს დედაქალაქის ინფორმირება ამ ქვეყნის რეგიონში ემისრების გაგზავნის შესახებ? რა უნდა ვუწოდოთ დამკვირვებელთა მისიებს, რომლებიც წარგზავნილი იყვნენ "არჩევნებზე", რომელიც, თავისთავად, არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად? მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ პროცესში სრულიად იგნორირებულია ყოველგვარი დემოკრატიული პრინციპები.

აქ, თქვენო აღმატებულებავ, მსურს, გავიმეორო, რომ მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მზადაა, განაახლოს მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან, მათ შორის ნებისმიერ პიროვნებასთან, ვინც შეცვლის ბატონ არძინბას. პრეზიდენტმა საკაშვილმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ე.წ. არჩევნების მიმდინარეობას და მზად ვართ, ნებისმიერ დროს ვესაუბროთ ნებისმიერ ახალ ლიდერს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვხედავთ აფხაზური მხარის ასეთ მზადყოფნას. იქაური ახალი ლიდერების განცხადებებში სრულიად არ ჩანს მოლაპარაკებათა სურვილი. აფხაზური მხარე დაჟინებით უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს მოთხოვნებსაც. კერძოდ, ისინი კვლავაც უარს აცხადებენ "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილების ძირითადი პრინციპების" შესახებ ე.წ. ბოდენის დოკუმენტის მიღებაზე, არ იძლევიან გალში ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის ნებართვას, იგნორირებას უკეთებენ ქართველი ბავშვების მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხს და კვლავაც ეწინააღმდეგებიან გაეროს დამკვირვებელთა მისიის სამოქალაქო პოლიციის კონტინგენტის სრულ განლაგებას, რომელიც, როგორც ეს აღნიშნულია გენერალური მდივნის მოხსენებაში, მოქმედებს მხოლოდ ქართულ მხარეს, სადაც ის "დადებითად თანამშრომლობს სამართალდაცვის ადგილობრივ სტრუქტურებთან".

სამწუხაროა, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ, ამავე დროს, რეალობაა ის, რომ ჩვენ ყველანი უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ფარატინა ქაღალდებად გადაქცევის მოწმენი ვხდებით. როგორც ჩანს, მხოლოდ ქართული მხარისთვის რჩება ისინი სერიოზულ დოკუმენტებად, ხოლო აფხაზები მათ სრულ იგნორირებას ახდენენ (რატომაც არა - მათ თავხედობას ხომ არანაირი პასუხისმგებლობა არ მოჰყვება).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. არჩევნების მოლოდინში მოლაპარაკებათა საერთაშორისო ფორმატიც პრაქტიკულად პარალიზებული იყო. ჟენევის პროცესი, რომელმაც, თავის დროზე, კონფლიქტის მოგვარების საკითხში წინსვლის იმედი გააჩინა, ჩვეულებრივ სადისკუსიო კლუბად გადაქცევის საშიშროების წინაშე დგას. მოვლენათა ასეთი საშიში განვითარების სიმპტომები უკვე სახეზეა - ამ ფორმატში აღმოცენებული სამუშაო ჯგუფები უბრალოდ გაქრნენ, ხოლო ბოდენის დოკუმენტის აფხაზებისათვის გადაცემის აუცილებლობა უკანასკნელ შეხვედრაზე ნახსენებიც კი აღარ იქნა.

ჟენევის პროცესი ბევრად უფრო ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. დაუშვებელია ამ ფორუმის გაუფასურება.

მე იძულებული ვარ, კვლავ შეგახსენოთ, რომ არსებობს ადამიანთა უზარმაზარი ერთობლიობა, რომლებიც ყველას უნდა გვახსოვდეს; ეს გახლავთ ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები - ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი - რომლებიც უკვე ათწლეულზე მეტია, რაც ელიან მათი ძირეული უფლების - საკუთარ სახლში ცხოვრების უფლების - რეალობად ქცევას. ისინი ჯერაც გაუსაძლის მდგომარეობაში არსებობენ და სრულად დაუცველი და მოწყვლადი არიან. მიმდინარე თვეში გალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს ის უკანონობა, რომელთანაც მათ უხდებათ შეჯახება. ვგონებ, უშიშროების საბჭოს წევრებისათვის ცნობილია "არჩევნების" დღეს მომხდარ გატაცებათა შესახებ. საგულისხმოა, რომ ეს გატაცებები მოხდა დსთ-ს სამშვიდობო ძალების თვალწინ და მათ არაფერი იღონეს მშვიდობიანი სამოქალაქო პირების დასაცავად - სხვათა შორის, არცთუ პირველად. 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ გალის უსაფრთხოების ზონაში, რომელიც დსთ-ს სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობაში შედის, 2000-ზე მეტი ქართველი იქნა მოკლული. მე კვლავ უნდა განვაცხადო, რომ დსთ-ს სამშვიდობო ძალები შორს არიან მიუკერძოებლობისაგან და ხშირად მხარს უჭერენ აფხაზი სეპარატისტების გასამხედროებულ შენაერთებს. დროა, დავიწყოთ სამშვიდობო ოპერაციის ახალ ფორმატზე ფიქრი, რამეთუ იმას, რასაც აკეთებენ რუსული სამხედრო შენაერთები - რასაც, რეალურად, წარმოადგენს დსთ-ს სამშვიდობო ძალები - ძნელად შეიძლება, ეწოდოს "სამშვიდობო ოპერაცია".

მსურს, თქვენი ყურადღება კიდევ ერთ შემაშფოთებელ მოვლენას მივაქციო. რუსეთის სამხედრო სასწავლებლები ღიად - აფხაზური და რუსული საინფორმაციო საშუალებებით - აცხადებენ სეპარატისტული რეჟიმისათვის სპეციალური კვოტების გამოყოფისა და მათი სამხედროების მომზადების შესახებ. მსურს, შეგახსენოთ, რომ უშიშროების საბჭოს 1993 წლის 876-ე რეზოლუცია მსგავს საქმიანობას ცალსახად კრძალავს. როგორც ჩანს, რუსეთში არცთუ ყველა სცემს პატივს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს.

გუდაუთაში (აფხაზეთი, საქართველო) არსებული რუსული სამხედრო ბაზა, ანუ, უცხოური სახელმწიფოს სამხედრო ბაზა კონფლიქტის ტერიტორიაზე, უნდა დაშლილიყო და დახურულიყო 2001 წელს. საერთაშორისო ვალდებულებების მიუხედავად, ეს ბაზა, თუმცა შემცირებული კონტინგენტით, კვლავაც განაგრძობს ფუნქციონირებას. ჩვენ რამდენჯერმე წამოვაყენეთ ამ ბაზის საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიისათვის გადაცემის წინადადება, რაც, ცხადია, დაეხმარებოდა მისიას მისი საკმაოდ რთული საქმიანობის აღსრულებაში. სამწუხაროდ, ამ საკითხის გადაწყვეტა მუდმივად ჭიანურდება.

დასასრულს, თქვენო აღმატებულებავ, მსურს, გაგიზიაროთ ჩვენი შეშფოთება - რაც უფრო დიდხანს რჩება გადაუწყვეტელი ეს გაჭიანურებული "გაყინული" კონფლიქტი, მით უფრო რთული იქნება გრძელვადიანი მშვიდობიანი კომპრომისის გამოძებნა. შესაბამისად, ჩვენ მოვუწოდებთ უშიშროების საბჭოს, გააძლიეროს თავისი მოღვაწეობა აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელიც უშიშროების საბჭოს შეუძლია ამ ეტაპზე გადადგას, გახლავთ საქართველოში - განსაკუთრებით კი, სოხუმში - ვიზიტის განხორციელება, რათა უშიშროების საბჭო თავად, საკუთარი თვალით გაეცნოს რეალობას ადგილზე და სცადოს, გამოძებნოს კონფლიქტის მოგვარების პროცესში არსებული სტაგნაციიდან გამოსვლის გზები.

გთხოვთ, წინამდებარე წერილის ტექსტი გაავრცელოთ, როგორც უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტი.

პატივისცემით,

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი გაერო-ში

რევაზ ადამია

65 ოჯახის ხელმეორე დევნილობა

თელავში მცხოვრები დევნილების სასტუმროდან გამოსახლება უპრობლემოდ არ ჩაივლის

ზვიად რუაძე
კახეთიდან

თელავში, სასტუმრო "კახეთში" მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი 65 ოჯახი რუსეთის ხელისუფლებისგან მოქალაქის სტატუსის მინიჭებას მოითხოვს. სასტუმროთი, რომელშიც ლტოლვილები არიან განთავსებული, უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, თითოეულ ოჯახზე ინვესტორი ორი ათას დოლარზე მეტს არ გადაიხდის, რადგან აღნიშნული ობიექტი, როგორც ცნობილი ხდება, ძველმა მთავრობამ რამდენიმე წლის წინ გაყიდა და მას უკვე კერძო მფლობელი ჰყავს. ლტოლვილები ამბობენ, რომ იძულებული გახდებიან, თავშესაფარი რუსეთს სთხოვონ, რათა აფხაზეთში შეუშვან.

ზვიად რუაძის ფოტო

სასტუმრო "კახეთის" ბინადარ ლტოლვილებში ვნებათაღელვა მას შემდეგ დაიწყო, რაც სასტუმროს ინვესტორი გამოუჩნდა და დღის წესრიგში მათი გასახლება დადგა. გავრცელებული ინფორმაციით, თითოეული ოჯახი ორი ათას დოლარზე მეტს ვერ მიიღებს. **"ჯერ უსამსახუროდ დარჩენილ თელაველებს უჭირთ ცხოვრება და რა უნდა ვქნათ ჩვენ, მაშინ, როცა აქ ერთმანეთის გვერდით დგომით ვირჩენთ თავს. კოვზი რომ კოვზია, ამ საგანსაც ერთმანეთისგან ვთხოულობთ, იმიტომ, რომ უმრავლესობის ოჯახი უმუშევარია და ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ ლტოლვილის შემწეობაა. ორი ათას დოლარად კი რომელ ერთს ვიყიდი, როცა სახლიც საზუნავი მაქვს, ჭურჭელიც და ავეჯიც?"** - კითხულობს დევნილი ნორა უგრეხელიძე.

სასტუმრო "კახეთის" მიმართ ინტერესი საქართველოს მთავრობამ გასული წლის ივნისში გამოიჩინა, როცა საქართველოში "მილენიუმ ჩელენჯ კორპორეიშენის" წარმომადგენლობა ჩამოვიდა და პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ისინი კახეთში ჩამოიყვანა. პრემიერ-მინისტრმა სასტუმრო "კახეთში" მცხოვრები ლტოლვილები კორპორაციის ხელმძღვანელებასთან შეახვედრა. კორპორაციის მთავარმა აღმასრულებელმა პირმა პოლ ეპელგარტმ დევნილებს პროგრამის ის მუხლები გააცნო, რომლის მიხედვითაც ლტოლვილთა დროებითი განსახლება და კეთილმოწყობა მოხდებოდა. დევნილები მთავრობას ამ პირობებს ახსენებენ.

"იმის მაგივრად, რომ დაგვაიმედონ და რაიმე შეღავათები დაგვიწესონ, პირიქით ხდება, კახეთის გუბერნატორი მასხრადაც კი გვიგდებს. ასე გვეუბნება, ახლა მანდარინის პლანტაციების გაშენება არ მოგვთხოვთო. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ვიცით, გუბერნატორს რა პლანტაციებს გავუშენებთ," - ამბობს ლტოლვილი ეკა უგრეხელიძე.

ყველაზე მეტად კი ლტოლვილებს გული იმაზე სწყდებათ, რომ მთავრობას მაშინ ახსენდება ისინი, როცა არჩევნებია ან უბრალოდ სჭირდებათ მათი ხელი. **"ამ შენობაში ოთხმოცი პროცენტი მებრძოლი ადამიანია. ისინი ომში წასვლას არ თაკილობენ. აფხაზეთის დაცემის ბოლო დღემდე იქ იდგნენ. ახლა ვართ არა, გაუნათლებელი და ბნელი ხალხი?! რა განსხვავებაა თბილისელ და თელაველ ლტოლვილებს შორის? ჩვენ არ გვინდა საარსებო წყარო?"** - ამბობენ დევნილები.

ლტოლვილების პრეტენზიებს თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მისი თქმით, აღნიშნული ობიექტი კერძო პირების საკუთრებაა, მთავრობა კი აქ მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებს. **"სახელმწიფოს აქ ის ინტერესი აქვს, რომ უხელმძღვანელოს იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთი ობიექტის პატრონები არიან და სასტუმრომ დაიბრუნოს მაღალი რანგის ობიექტის იერი. აქ შეიქმნება უამრავი სამუშაო ადგილი. არსებობს ვარაუდი, რომ ეს იყოს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, სავაჭრო ცენტრებით. ამით კი თელავის ეკონომიკაც გაძლიერდება,"** - მიაჩნია მამაცაშვილს.

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ მათი ინტერესები არ გაითვალისწინა, დევნილები საპროტესტო აქციებს ენგურის ხიდზე გამართავენ. ზოგიერთი კი, იძულებით გამოსახლების შემთხვევაში, ძალის გამოყენებასაც არ გამორიცხავს. **"როგორც არძინბამ გამოგვყარა, ისე გვაძევებს საქართველოს მთავრობა ჩვენი ქვეყნიდან. თუ ძალით გაგვყარეს, ჩვენც ძალას გამოვიყენებთ. თუ მაინც გვაიძულებენ გასვლას, აქ მონად ყოფნას, ისევ აფხაზეთში ტყვიის ქვეშ სიცოცხლე მირჩევნია. რუსეთის მოქალაქეობას მივიღებ. თუ მესვრიან და მოვკვდები, სული მაინც დამშვიდებული მექნება, ჩემს მიწაზე რომ მოვკვდები,"** - ამბობს ერთ-ერთი ყოფილი მეომარი.

საქალაქო სამსახური

დამტკიცებული პროგრამები

თამარ დვალი

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის წლევანდელი ბიუჯეტი 21 მილიონ 21 ათასი ლარით განისაზღვრა. გასულ წელს ეს თანხა 17 მილიონ ლარს შეადგენდა. თუ რა პროგრამები გამოცხადდა წელს პრიორიტეტად ჯანდაცვის სფეროში და რა სიახლეებს უნდა ელოდნენ მოალაქეები გაზრდილი ბიუჯეტისგან, ამის შესახებ "24 საათი" ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსს ზაზა გოროზიას ესაუბრა, რომელმაც გვითხრა:

თამარ დვალის ფოტო

- წლევანდელ ბიუჯეტში პრიორიტეტები განსაზღვრულია: დიალეზის პროგრამისთვის 3 მილიონ 355 ათასი ლარია გამოყოფილი; კარდიოქირურგიული ოპერაციებისთვის - 4 მილიონ 300 ათასი ლარი. თუკი, შარშან მთელი რესპუბლიკის მასშტაბით კარდიოქირურგიული ოპერაციის პროგრამისთვის 4 მილიონ 800 ათასი ლარი იყო განსაზღვრული, წელს მისმა ოდენობამ 7 მილიონ 300 ათას ლარს მიაღწია. ბავშვებისთვის ეს ოპერაცია იქნება აბსოლუტურად უფასო. დიდების 75 პროცენტს დავაფინანსებთ, ხოლო 25 პროცენტი თანადაფინანსება იქნება. რაც შეეხება უმწეოთა დამატებით სამედიცინო დახმარების პროგრამას, მის ფარგლებში 3 000 გაჭირვებული ადამიანი მთელი წლის განმავლობაში 100 ლარის მედიკამენტს მიიღებს.

- რა კრიტერიუმებით შეირჩევიან გაჭირვებული ადამიანები და როგორ მოხდება დახმარების გაცემა?

- არსებობს საკრებულოს №8-8 გადაწყვეტილება, სადაც განსაზღვრულია, თუ ვინ მოიაზრება შეღავათებით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორიაში. სულ 19 კატეგორიაა. დახმარების მისაღებად, მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ ფორმა 27 და მედიკამენტების ჩამონათვალი, რომელიც პოლიკლინიკის ექიმმა უნდა გამოწეროს. ამის შემდეგ, "ავერსის" აფთიაქიდან გამოიტანონ ხარჯთაღრიცხვის ფურცელი, რის საფუძველზეც გადავურიცხავთ ფულს. მედიკამენტების გარდა, 1000 ლარით დავეხმარებით ადამიანებს, რომლებსაც ქირურგიული ჩარევა ესაჭიროებათ. გეგმიური ოპერაციების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. მასში არ შედის ონკოლოგია და ქიმიოთერაპია.

- გაზრდილი ბიუჯეტი მოქალაქეების ყოფაზე თუ აისახება?

- იმისათვის, რომ დავინახოთ შედეგი, საჭიროა მეტი დაფინანსება. უმწეოთა დახმარების პროგრამებისთვის 2 მილიონ 700 ათასი ლარი კი არ უნდა იყოს გამოყოფილი, არამედ 10 მილიონი. თუმცა, თუ იქნება დაზღვევის სისტემა, უმწეოთა დახმარების პროგრამის არსებობაც აღარ იქნება საჭირო. ზოგიერთს ჰგონია, რომ ჩვენ შეგვიძლია საზღვარგარეთ ოპერაციების დაფინანსება, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სამწუხაროდ ვერ ვაფინანსებთ ძვირადღირებულ ოპერაციებსაც. 150 ათასი ლარი არის გათვალისწინებული ოფთალმოლოგიაზე-კატარაქტაზე. თითო ოპერაციისთვის 300 ლარი იქნება გამოყოფილი. წინამდებარე ჯირკვლის სამკურნალოდ კი, 150 ათასი ლარია გათვალისწინებული. აბსოლუტურად უფასო იქნება ონკოდისპანსერში გამოკვლევა. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში ახალი ონკოდისპანსერი დაიწყებს ფუნქციონირებას. მისი გახსნა ლიცენზიის მიღებისთანავე მოხდება. ჩვენ გვაქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიაც, სადაც ეპიდემიების შესწავლა ხდება. ბავშვთა თავშესაფრების ასაშენებლად, თანადაფინანსების სახით 200 ათასი ლარია გათვალისწინებული. პროექტის განსახორციელებლად მინიმუმ 500 ათასი ლარი მაინცაა საჭირო. საბედნიეროდ, გვყავს სპონსორები. ალბათ გამოვაცხადებთ ტენდერს და საუკეთესო პროექტს შევარჩევთ.

- ბიუჯეტიდან რა პროგრამები ამოიღეს და რომლის დაფინანსება გაიზარდა?

- უსინათლოთა პროგრამა მთლიანად იქნა ამოღებული ბიუჯეტიდან. უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების პროგრამას 100 ათასი ლარი მოაკლდა. სულ 1 მილიონ 687 ათასი ლარით შემცირებული ბიუჯეტი დაგვიმტკიცდა. პროგრამების შემცირება ჩვენთან შეთანხმებით მოხდა. რაც შეეხება გაზრდილ პროგრამებს, მათ შორისაა ახალი პროზექტურის კაპიტალურად შეკეთების ხარჯები - 200 ათასი ლარი, ზუბალაშვილების პედიატრიული კლინიკის კაპიტალური ხარჯებისთვის - 300 ათასი ლარი. "არამიანცის" საავადმყოფოში ამ წელს პედიატრიული კლინიკის მშენებლობა დაიწყება.

ნევროლოგიის ინსტიტუტი რამდენიმე ხნის წინათ თვალის კლინიკაში გადავიდა. მაშინ ქალაქის მერიამ აიღო ვალდებულება, რომ მათ დახმარებას გაუწევდა. წელს მოხერხდა მათი შენობის რემონტი, რისთვისაც 200 ათასი ლარია გამოყოფილი. შარშან 100 წელს გადაცილებულ ადამიანების 300 ლარი დავურიგეთ, წელს ეს თანხა 500 ლარამდე გაიზარდა. ჰემოფილიის ცენტრი 50 ათასით იქნება დაფინანსებული. ეს არის საკურორტო მკურნალობის პროგრამა, რომელიც კომპლექსურია.

მინდა აღვნიშნო, რომ აპრილის თვიდან, "03"-ის მომსახურება მთელს რესპუბლიკაში უფასო იქნება. პრეზიდენტის დავალებით ახლო მომავალში გერმანიაში გავემგზავრები. იქიდან მერსედესის ფირმის 16 სასწრაფო სამედიცნო მანქანას ჩამოვიყვანთ, რომლებიც კომპიუტერული ტექნიკით იქნებიან აღჭურვილი.

- თქვენი აზრით, რომელი პროგრამის გაუქმება არ შეიძლებოდა?

- ჩემი აზრით, სახელმწიფო დაზღვევის ფონდი არ უნდა დახურულიყო. ფონდი ერთადერთი წყარო იყო, რომლის მეშვეობითაც გაჭირვებულ ადამიანებს ვეხმარებოდით. ადრე ინდივიდუალური დახმარების პროგრამაზე 10 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული, წელს აღარაფერი არ არის, რაც დიდ შეცდომად მიმაჩნია.

- რა შეღავათები ექნებათ მრავალშვილიან დედებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს?

- მრავალშვილიანი ოჯახები ყოველ დაბადებულ ბავშვზე იმდენ 100 ლარს მიიღებენ, მერამდენე შვილიც შეეძინებათ. მინდა ყველამ გაიგოს, რომ ჩვენი სამსახური ფულად დახმარებებს არ იძლევა. მრავალშვილიანთათვის თვეში 5 ლარის დარიგება გამგეობების პრეროგატივაა.

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს დასასვენებლად გავგზავნით. ამ პროგრამისთვის 300 ათასი ლარია გამოყოფილი. შარშან 214 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, რაც არ გვეყო. წელს ყველა ბავშვი 14 დღით დაისვენებს. იმისათვის, რომ ვინმე არ დარჩეს წაუსვლელი, საჭიროა მშობლებმა განცხადება შემოიტანონ ჩვენს სამსახურში. მათ თან უნდა იქონიონ ცნობა, რომ თბილისში არიან ჩაწერილები და ავადმყოფობის დამადასტურებელი საბუთი.

ფოსტა

შემცირებული პენსიონერის გასაჭირი

საქართველოში შემცირებები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. არავინ იცის ე.წ. კომისიები რა კრიტერიუმებით უშვებენ თანამშრომლებს, ან რამდენად კანონიერია მათი შესარჩევი წესი. საშიმშილოდ გამეტებული ადამიანები კი გაოგნებულები ტოვებენ ისედაც მწირშემოსავლიან სამსახურებს და სრულ სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. დღეს გაგაცნობთ რუსუდან გიორგობიანის წერილს, რომელიც სულ ახლახანს მოხვდა შემცირებაში. იგი სამართლიანობას ითხოვს.

1982 წელს მუშაობა დავიწყე ჩუღურეთის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში ზონის ინსპექტორის თანამდებობაზე. 2002 წლის იანვრიდან, რაიონების გაერთიანებასთან დაკავშირებით, განყოფილების ყოფილმა გამგემ ქალბატონმა მ. კიკნაველიძემ ჩუღურეთის რაიონის განყოფილებას შეუმცირა ინსპექტორის 1 საშტატო ერთეული და ჩემი სამოქმედო ზონა გადაანაწილა სხვა დანარჩენ ინსპექტორებზე. ამ დროს ზონის მომსახურე ინსპექტორებად დატოვა ისეთი თანამშრომლები, რომელთაც სავალდებულო დაწყებითი განათლებაც არ ჰქონდათ და გამართულად წერაც კი არ შეეძლოთ, ასევე - ტექნიკუმდამთავრებულები. მე კი უარი მითხრა იმ მოტივით, რომ არ მქონდა უმაღლესი იურიდიული, ან ეკონომიკური განათლება. ყველაფრის მიუხედავად, მისი ასეთი არაობიექტური მოქმედება არ გამიპროტესტებია, ვინაიდან მთლად უადგილოდ მაინც არ ვიყავი. ვემსახურებოდი ისევ ჩემს ზონას, ოღონდ როგორც ბუღალტერი 20 ლარით ნაკლები ხელფასით.

ვარ უმაღლესი განათლებით - ისტორიკოსი, ვიყავი მუშა, მაქვს პედაგოგიური მუშაობის სტაჟი და ბოლოს, 24 წელია, უმწიკვლოდ ვმუშაობ ამ სისტემაში. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ სამინისტროს პროგრამით გავდიოდი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს და ვლებულობდი სათანადო სერტიფიკატს. განყოფილებაში მოსულ ახალ კადრებს ყოველთვის ჩემთან ამაგრებდნენ და მათთვის არ დამიშურებია ჩემი ცოდნა და გამოცდილება.

ამასობაში მოვიდა საპენსიო ასაკი, მაგრამ წლებმა ვერაფერი დამაკლეს. ისევ ისეთი შემართებით ვმუშაობ, როგორც ადრე. მიყვარს ხალხი და სამსახური, რომელიც ბოროტად არასოდეს გამომიყენებია. მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მომაყოლეს შემცირებაში. მოტივი - ასაკი და არაიურიდიული, არაეკონომიკური განათლება. განყოფილების გამგის ბატონ ა. კერესელიძის მიდგომა ამ საქმისადმი შეიცავს სუბიექტურობის ელემენტებს საკმაო დიდი დოზით. იგი დაეყრდნო სუბიექტურ განწყობილებებს და წარმოგვიდგინა დეპრივაციის მოდელი, სადაც არაა გათვალისწინებული შემოსავლის დონე, მუშაობის სტაჟი, პროფესიონალიზმი, განათლება, კეთილსინდისიერება. მან ჩვენი განყოფილების თანამშრომლების ხარჯზე სამუშაოზე დატოვა სოციალური დაზღვევის 5 თანამშრომელი, რომელთა განყოფილება გაუქმებულია. პირადი შეხედულებებითა და სიმპათიებით, აქაოდა განყოფილება უნდა გავაახალგაზრდავოო, სამუშაოზე დატოვა ქიმიკოსი, უცხო ენის სპეციალისტი, ტექნიკუმდამთავრებულები. ამჟამად ოთახში სხედან ადამიანები, რომლებიც ჩვენს წასვლას ელოდებიან, რომ სამუშაო მიიღონ.

მაქვს მძიმე ოჯახური პირობები - მწოლიარე მეუღლე და გულის მანკით დაავადებული შვილი. მიჭირს ეკონომიკურად და მორალურად. ვიმყოფები სიღარიბის ზღვარს მიღმა. განყოფილებას როგორ დააბერებს ერთი პენსიონერის შემცირება?

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შექმნილი მდგომარეობა და შეისწავლოთ საქმის ობიექტურობა. კერძოდ, კომისიის წევრთა მიერ შედგენილი დასკვნა.

რუსუდან გიორგობიანი

გახდება თუ არა მოსამართლის დაჭრის ფაქტი სასამართლო ხელისუფლების წმენდის კატალიზატორი

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გაიოზ სინჯიკაშვილი დაკავებულია და მის საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს. უახლოეს დღეებში მოსამართლეებს განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული კოლეგის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე მოუწევთ მსჯელობა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ზურაბ რუხაძე კი კვლავ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. მას, საკუთარი თანამშრომლების დაცვის მიზეზით, სინჯიკაშვილმა მუცლის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ ესროლა. ექიმთა განცხადებით, რუხაძის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. გენპროკურატურა კი ამ ეტაპზე მკვლელობის მცდელობის მიზეზთან ერთად, ადგენს იარაღის წარმომავლობას, ანუ ჰქონდა თუ არა მოსამართლეს მისი ტარების უფლება. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება უარაყოფით დასკვნამდე მივა, არ არის გამორიცხული, რომ სინჯიკაშვილის ბრალდებას კიდევ ერთი მუხლი დაემატოს.

თამარ კაკიტაძე

ტრაგედია სახეზეა, რამაც ქართულ სასამართლო ხელისუფლებაში არსებული კრიტიკული სიტუაცია კიდევ ერთხელ გააშიშვლა. თავისთავად ცხადია, მოსამართლის მხრიდან სასამართლოს თავმჯდომარის დაჭრის ფაქტი უპრეცედენტოა არა მარტო ქართული სინამდვილისთვის, არამედ მსოფლიო მართლმსაჯულების ისტორიაშიც და იგი, სამართლებრივი რეაგირების გარდა, საზოგადოებრივ შეფასებასაც საჭიროებს. თუმცა, მომხდარი ტრაგედია, არამც და არამც არ უნდა იქცეს სპეკულაციის საგნად.

რაიონულ სასამართლოში მომხდარი ინციდენტი გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კემულარიამ შეაფასა და, ფაქტობრივად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსამართლის ლობირებაში დაადანაშაულა.

"გაიოზ სინჯიკაშვილი ცნობილი იყო, როგორც კანონდამრღვევი მოსამართლე. იგი ლოთი იყო და საქმეებს გამუდმებით აჭიანურებდა," - ასეთია კემულარიას ერთპიროვნული და, ცოტა არ იყოს, პიროვნების ღირსების შემლახველი შეფასება. სხვათა შორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, მისმა უწყებამ დღეს საბრალდებო სკამზე მჯდომ მოსამართლესთან დაკავშირებით იუსტიციის საბჭოს ჯერ კიდევ 2004 წელს კერძო დადგენილებით მიმართა და მის საკითხზე მსჯელობა სთხოვა.

"თუმცა, საბჭოში ზოგიერთი უღირსი წარმომადგენლის ლობირების გამო, სინჯიკაშვილმა თანამდებობა შეინარჩუნა," - განაცხადა კემულარიამ და მიზეზად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლებით დაკომპლექტება დაასახელა. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პრიორიტეტად საქართველოში სასამართლო რეფორმის უმოკლეს ვადებში გატარებას მიიჩნევს, რომელიც, ალბათ, ნაკლებად შეეხება ცოტა ხნის წინ თავად პრეზიდენტის ხელდასმით დაკომპლექტებულ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ერთი სიტყვით, კოტე კემულარიამ, რომლის საკურატორო სფეროც უზენაესი სასამართლოა, გუშინდელი, საკმაოდ მკაცრი და მიზანმიმართული განცხადებებით, კიდევ ერთხელ დაადასტურა საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფარული დაპირისპირების შესახებ.

კოტე კემულარიას გუშინდელ განცხადებებს არაკორექტულად თვლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი პალიკო კუბლაშვილი და მისთვის შეფასებების მიცემას იუსტიციის საბჭოს უახლოეს სხდომაზე გეგმავს.

რაც შეეხება გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოში მომხდარ ტრაგედიას და, საერთოდ, სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ მდგომარეობას, იუსტიციის საბჭოს მდივნის პოზიცია ასეთია.

- ბატონო პალიკო, რა შეფასებას მისცემთ გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მომხდარ ინციდენტს?

- ზუსტად რა მოხდა გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოში, გამოძიების დასრულების შემდეგ თავად პროკურატურის წარმომადგენლები გასცემენ პასუხს.

რაც შეეხება შეფასებას - ამ ფაქტზე არანაირი შეფასების და კომენტარის გაკეთება არ შეიძლება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. თუმცა, ამ ფაქტის განზოგადება არ იქნება მართალი, რადგან ყველა სისტემაში არის როგორც კარგი, ასევე ცუდი თანამშრომელი. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც მოსამართლეები იქნებიან გამონაკლისი. მომხდარი ინციდენტი კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ამ მიმართულებით, ანუ საკადრო კუთხით სასამართლო ხელისუფლებაში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. გარკვეული თვეების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება გვქონდა გადატანილი იმ არაკვალიფიციური მოსამართლეების გამოვლენისკენ, რომლებიც შეუსაბამო გადაწყვეტილებებით, განაჩენებით თუ განჩინებით მოქალაქეთა უფლებებს არღვევდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ და უფრო მეტი ყურადღება უნდა გადავიტანოთ იმ დისციპლინურ საქციელზე, რაც მოსამართლის მორალურ მხარეს უკავშირდება. არ მინდა ვინმემ ჩათვალოს, რომ იუსტიციის საბჭოს ან რომელიმე პოლიტიკურ თანამდებობის პირს უხარია იმის გაგება, რომ სასამართლო ხელისუფლებაში ბევრი უღირსი მოსამართლეა, ან ის, რომ მოსამართლეები თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდნენ. ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი, მაგრამ ასეთი წმენდა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ნებისმიერი პიროვნება, რომელიც თავისი საქციელით, მორალური მახასიათებლებით არცხვენს მოსამართლის მანტიას, დატოვებს სასამართლო ხელისუფლებას. ეს მოხდება სისტემატური მოკვლევების შედეგად, რომელსაც განახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახური და მასზე იუსტიციის საბჭოს სხდომა იმსჯელებს.

- გავრცელებული ინფორმაციით, გაიოზ სინჯიკაშვილის მიმართ იუსტიციის საბჭოში დაწყებული იყო დისციპლინური დევნა.

- ამ პიროვნების მიმართ დისციპლინური დევნა მართლაც აღძრულია და იგი მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში. აღნიშნული საქმე სადისციპლინო საბჭომ უნდა განიხილოს. თუმცა, განხილვა დღემდე ობიექტური მიზეზის გამო ვერ მოესწრო. კანონი პირდაპირ ითვალისწინებს: თუ მოსამართლე იმყოფება შრომის უუნარობის ფურცელზე, მისი დისციპლინური გადაცდომის განხილვა არ შეიძლება. სინჯიკაშვილი კი ერთი თვის განმავლობაში ბიულეტენზე იმყოფებოდა. უღირსი მოსამართლე უნდა დაისაჯოს, მაგრამ, ამავდროულად, ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა ხდებოდეს. სამწუხაროა, რომ კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, სადისციპლინო საბჭომ გადაწყვეტილება ვერ მიიღო. თუმცა, მიმაჩნია, რომ მისი საქმის შესწავლის შედეგად საკმაოდ დიდი საფუძველი იყო იმისა, რომ იგი თანამდებობიდან გათავისუფლებულიყო.

- რატომ იყო სინჯიკაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის საკითხი აღძრული?

- მართალია, უზენაესი სასამართლოდან სინჯიკაშვილის მხრიდან გარკვეულ დარღვევებზე მართლაც შემოვიდა მასალები, მაგრამ მას ჩვენ უფრო სერიოზული "ბრალდებები" დავუმატეთ. თუ რატომ იყო აღძრული დისციპლინური დევნა, მისი დასახელება კანონით არ შეიძლება და ამიტომ, ჩვენც თავს შევიკავებთ. თუმცა, გეტყვით, რომ საქმე მხოლოდ ერთ კანონდარღვევას არ ეხება.

- დღეისათვის რამდენი მოსამართლის საქმეა გადაცემული დისციპლინურ დევნაზე?

- იუსტიციის საბჭოში მოსამართლეთა დისციპლინურ დევნასთან დაკავშირებით, 2004 წლის აგვისტოდან დღემდე სულ შემოსულია 47 საქმე. აქედან, სადისციპლინო საბჭოს კოლეგიამ უკვე განიხილა 20 მოსამართლის საქმე, საიდანაც სადისციპლინო საბჭოში გასაჩივრდა მხოლოდ ოთხი საქმე. ამ ხნის განმავლობაში, დისციპლინური დევნის საბაბით, სასამართლო სისტემას დაემშვიდობა ოთხი მოსამართლე. თუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დისციპლინური დევნის საკითხის დაყენებისთანავე მოსამართლეები საკუთარი ნებით ტოვებენ სისტემას. ამით ისინი მომავალში მართლმსაჯულებაში დაბრუნების შანსს იტოვებენ.

- მომხდარი დანაშაული დააჩქარებს თუ არა სასამართლოში დაწყებულ საკადრო ცვლილებებს?

- ჩვენ გულხელდაკრეფილები არც აქამდე ვიყავით. სასამართლო ხელისუფლებაში ბევრი რამე იცვლებოდა საკადრო კუთხითაც, თუმცა, რა თქმა უნდა, მომხდარი ინციდენტი კატალიზატორის როლს აუცილებლად შეასრულებს. სხვათა შორის, სასამართლოში ძალიან ხშირია დაპირისპირება თვითონ კოლეგებს შორისაც, რასაც ეს ფაქტიც ადასტურებს. ამიტომ, სასამართლო ხელისუფლებაში სასწრაფოდ დასაწყებია ცვლილებები. მხოლოდ საკადრო ცვლილებები არ ნიშნავს იმას, რომ მართლმსაჯულებაში სხვა პრობლემები არ არსებობს. სამწუხაროდ, ძალიან ხშირია არაკვალიფიციური, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, რაც დიდი მსჯელობის საგანი ხდება და რაც ისევე აღიზიანებს საზოგადოებას, როგორც ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომები. როდესაც საზოგადოებას ესმის ასეთი ფაქტები, როდესაც ხალხი იგებს, რომ რამდენიმე მოსამართლე ქრთამის აღების ფაქტზე დაიკავეს, არ შეიძლება ასეთ სიტუაციაში სასამართლო ავტორიტეტული გახდეს. არადა, უღირსი კოლეგებისგან გათავისუფლებით, საზოგადოებასთან ერთად, თავად მოსამართლეთა ჯანსაღი ნაწილიც არის დაინტერესებული. სასამართლო ხელისუფლებისთვის ღირსების დაბრუნებას კი უახლოეს მომავალში აუცილებლად შევძლებთ.

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში ხანძარი გაჩნდა. შენობის მეცხრე სართულზე, სადაც დედაქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილია განთავსებული, დაახლოებით 4 კვადრატული მეტრი ფართი დაიწვა. მეხანძრეებმა ცეცხლი 10 წუთში ჩააქრეს. ხანძრის გამომწვევი მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. ერთ-ერთი ვერსიით, ხანძარი ელექტროსადენების გაუმართაობამ გამოიწვია. ხანძრის გაჩენის ზუსტი მიზეზი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გაირკვევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. გუშინ სამართალდამცველებმა ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში განლაგებული, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის მოსამსახურე, ბათუმში მცხოვრები ავთანდილ აბაშიძე დააკავეს, რომელსაც საბრძოლო მასალების დატაცება ედება ბრალად. იმერეთის სამხარეო პოლიციის ცნობით, 20 წლის ავთანდილ აბაშიძემ ვარციხის სამხედრო ნაწილის საბრძოლო მასალების საცავიდან 23-მილიმეტრიანი "П.Ч.Ж"(О.Ф.З. - осколочно-фугасный заряд) სისტემის ერთეული საბრძოლო მასალა მოიპარა. დაკავებულის განმარტებით, იგი აღნიშნული მასალების დაშლას და სანადირო თოფის ვაზნების დასატენად დენთის გამოღებას აპირებდა. აღნიშნულ ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ქუთაისის პროკურატურა იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 25 იანვარს, გვიან ღამით, თბილისში გამომცემლობა "საქართველოსთან" გაზეთ "ასავალ-დასავალის" მთავარი რედაქტორის პირადი მძღოლი ბესარიონ უნგიაძე დაჭრეს. დაზარალებული პირად ანგარიშსწორებას გამორიცხავს და აცხადებს, რომ მას გამომცემლობასთან მოკამათე ახალგაზრდების ჯგუფმა ჯერ სცემა, შემდეგ კი, დანით მხარსა და ზურგის არეში ოთხი ჭრილობა მიაყენა. მძღოლი გადაყვანილია ე. წ. მიხეილის საავადმყოფოში. ექიმების ინფორმაციით, უნგიაძის მდგომარეობა სტაბილურია. **მედია-ნიუსი**

ქართველი მეზღვაურები საბერძნეთიდან გამოაძევეს

საბერძნეთის მართლმსაჯულების მიერ ტრეფიკინგის ბრალდებით გასამართლებული ოთხი ქართველი მეზღვაური საბერძნეთიდან გამოაძევეს. მათი კაპიტანი საქართველოს მხრიდან კეთილი ნების გამოვლენას ელის.

შარშან, 13 იანვარს ღამით, საბერძნეთის ტერიტორიულ წყლებში ბერძენმა სამართალდამცველებმა დაიკავეს ტონგას სამეფოს დროშის ქვეშ მცურავი სატვირთო გემი "ნანა," რომლის ეკიპაჟის ცხრა წევრიდან ექვსი საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა. ესენი გახლდნენ გემის კაპიტანი ვადაჭკორია, ასევე რევაზ ანთია, ნოდარ სარიშვილი, ზაურ ჯულაყიძე, დავით მიქაძე და სერგო ლაბაჩოვი. როგორც აღმოჩნდა, გემის დაკავება საკმაოდ სერიოზული მიზეზით იყო განპირობებული, კერძოდ, ამ ფაქტს წინ უძღოდა 153, სავარაუდოდ, ინდოეთის მოქალაქის დაკავება, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ სწორედ "ნანათი" შეძლეს საბერძნეთში არალეგალურად შეღწევა. მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა ამოიცნო კიდეც "ნანას" მზარეული დავით მიქაძე. სწორედ არალეგალურ მიგრანტთა ჩვენებების და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე ქართველ მეზღვაურებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს და რამდენიმე დღეში სასამართლო პროცესი ისე ჩაატარეს, რომ საქართველოს საელჩო საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ. სასამართლომ ეკიპაჟის ყველა წევრს 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უკვე აპრილში, ხალკიდის ციხეში, სადაც ქართველი მეზღვაურები სასჯელს იხდიდნენ, ერთ-ერთი ქართველი პატიმარი - რეზო ანთია გარდაიცვალა. როგორც ბერძენი ექსპერტების დასკვნა იუწყება, სიკვდილის მიზეზი მიოკარდიუმის იშემია გახლდათ.

ბერძენი სამართალდამცველების მხრიდან დაგვიანებით საქმის კურსში ჩაყენებულმა საქართველოს საელჩომ მეზღვაურთა განაჩენის სააპელაციო განხილვისთვის თავად შეარჩია ადვოკატი და სასამართლო პროცესზე წარმომადგენლებიც წარგზავნა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქართველ მეზღვაურებს სასჯელის ვადა შეუმცირდათ. ოთხ მათგანს 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო გემის კაპიტანს, შალვა ვადაჭკორიას, რომლის ბრალეულობა კიდევ უფრო დაამძიმა გემის ყალბი საბუთების აღმოჩენამ, სასჯელის უფრო დიდი ვადა - 9 წლითა და 5 თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

უკვე გუშინწინ, 25 იანვარს გამართულ სასამართლო პროცესზე, ეკიპაჟის ოთხ წევრს ეს განაჩენი ქვეყნიდან გაძევებით შეეცვალა, რომლის მიხედვითაც, თუკი მომავალში ამ მეზღვაურებს ბერძნული მხარე იგივე ბრალდებით დაიკავებს, ისინი ზემოთ აღნიშნულ სასჯელს (4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა) მოიხდიან. რაც შეეხება კაპიტანს, დანაშაულზე მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრა და სასამართლომ იგი პატიმრობაში დატოვა. ვადაჭკორიას პატიმრობაში ყოფნის თითოეული დღე სასამართლოს მიერ შეფასებულია 4.40 ევროდ. საბერძნეთის კანონების მიხედვით, თუკი ამ თანხას (დაახლოებით, 15 ათასი ევრო) საქართველოს მხარე გადაიხდის, შალვა ვადაჭკორიას გაათავისუფლებენ.

საბერძნეთიდან გაძევებულმა ოთხივე მეზღვაურმა კი ხალკიდის ციხე უკვე დატოვა, სამშობლოში ისინი დაახლოებით ორ თვის შემდეგ, რიგი პროცედურული საკითხების მოგვარების შემდეგ დაბრუნდებიან.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალაძ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის ხლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

1

იურიდიული ოფისი **„გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მასალის სარედაქციო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩაგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქაღალდები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, აესებს უფასო შეკითხვის ქვითრის ტექსტით გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყველაზე განთავსებული არიან ძალიან თბილისში ზემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური „მრავალნიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „აკაკი წერეთელი II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ავჭალის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიღუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმეტის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

ოთარ კაპანაძე

გთხოვთ, განმიმარტოთ, რვაჯერ ნასამართლევი - პირველად, 110-ე მუხლით ორი წლით თავისუფლების აღკვეთამისჯილი, შვიდჯერ 273-ე მუხლით გასამართლებულის, 6 თვით პატიმრობაში ნამყოფისა და 6 თვე იძულებითი მკურნალობა მისჯილის, პირობითი სასჯელის მოხდის პერიოდში ოთხჯერ 273-ე მუხლით გასამართლებულის, ძებნაში ნამყოფის, 2004 წლის 11 მაისს 8 თვე თავისუფლების აღკეთით და 8 თვე იძულებითი მკურნალობამისჯილს, 7 თვე კასაციაში ყოფნისა და 2004 წლის 14 დეკემბერს საოლქოს მიერ პატიმრობის ორი წლის პირობითი სასჯელით შეცვლილი პიროვნების პოლიციის მიერ მოწმედ გამოყენებისა 05.02.2003 წ. ახმეტაში; 09.03.2003 წ. გურჯაანში; 26.06.2004 წ. ვაკე-საბურთალოში. 26.07.2004 მცხეთა-ზაგესში; 07.09.2004 წ. მთაწმინდა-კრწანისში. 09.09.2004 წ. თელავში.

ბატონო ოთარ,

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ზღუდავს ნასამართლევი პირის მოწმედ მოწვევას გამოძიების პროცესში, უფრო მეტიც, მის მონაწილეობას სასამართლო განხილვის სტადიაზე. აქვე გთხოვთ, თქვენთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე შეკითხვა უფრო დააკონკრეტოთ.

ნელი საკაძე

1941-45 წწ. ომის დროს ტყვედნამყოფი პირები, რომლებმაც მოიხადეს 10 წლიანი პატიმრობა 581 მუხლით, 1955 წლის 17 სექტემბერის სსრკ პრეზიდიუმის უკაზით: პუნქტი 1,6, გათავისუფლებული იქნენ საპატიმროებიდან "ნასამართლეობის მოხსნითა და თავის უფლებებში აღდგენით".

საქართველოს 1997 წლის 12 დეკემბრის კანონის მიხედვით ეს პირები არიან თუ არა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული და ითვლებიან თუ არა რეაბილიტირებულებად?

ქალბატონო ნელი,

"საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს, თუ ვინ ითვლება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

ა) ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია და პროპაგანდა, კონტრრევოლუციური და მმართველობის წესის სანინააღმდეგო სსრ კავშირისათვის საშიში სხვა დანაშაული;

ბ) სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონის დარღვევა;

გ) წინასწარი შეცნობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის სახელის გამტეხი ცრუ მონაჭორის გავრცელება;

დ) შრომა-გასწორების, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილიდან გაქცევა, თუ პირი იქ იმყოფებოდა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად;

ე) რელიგიური წესის აღსრულების მოტივით ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ხელყოფა.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბი ბრალდების საფუძველზე, რაც დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება "UGE-JUGE"-ს, "DXR"-ს, "EYRDL-YRDL"-ს, "VUსაგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი.

ეს კანონი ასევე განსაზღვრავს იმ პირთა წრესაც, რომლებიც, მართალია, გადასახლებულნი იყვნენ, მაგრამ სასჯელს იხდიდნენ შემდეგი დანაშაულებისათვის:

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად არ მიიჩნევა პირი, რომელიც სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებული იყო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

ა) ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, ბოროტი ბანდიტიზმი, რაც დაკავშირებული არ იყო პოლიტიკური მოტივით მის დევნასთან;

ბ) კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული, აგრეთვე სხვაგვარი ძალადობა სამოქალაქო მოსახლეობის ან სამხედრო ტყვეების მიმართ. (მუხლი 5)

ამ მუხლის ჩამონათვალი არ ეხება იმ პირს, რომელიც რეპრესირებული იყო, როგორც დამნაშავის ოჯახის წევრი. ამავდროულად, აქვე ავღნიშნავთ, რომ პირის რეპრესირებულად აღიარება ხდება სასამართლოს წესით.

თამუნა

გთხოვთ მიპასუხოთ, ეკუთვნის თუ არა 50 ლარიანი კუპონი ახალშობილ ბავშვზე დედას, რომელიც რეგისტრირებულია თბილისში გორგასლის ქუჩაზე, მაგრამ იმშობიარა ქობულეთში 2004 წლის აგვისტოში. და თუ ეკუთვნის, სად უნდა მიმართოს აღნიშნული დახმარების მისაღებად?

ქალბატონო თამუნა,

აღნიშნული 50 ლარიანი დახმარება გაიცემა ყველა ახალშობილზე საქართველოში. სამშობიაროში გაცემული ვაუჩერი უნდა წარადგინოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის რაიონის გამგეობაში. ხოლო თანხას გასცემს საკრებულო.

ნინო გამყრელიძე

სურვილი მაქვს, წავიდე საფრანგეთში au-pair-ის პროგრამით, მაგრამ მეშინია, არ გავხდე ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამიტომ, გთხოვთ დამეხმაროთ და მირჩიოთ, როგორ მოვიქცე. თუ შეგიძლიათ მომაწოდოთ ინფორმაცია (მისამართი, e-mail) საფრანგეთის au-pair-თა ბიუროების შესახებ.

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ ჩვენი პროექტი ითვალისწინებს უფასო იურიდიულ კონსულტაციას სამართლებრივ საკითხებზე, ანუ ჩვენ ვპასუხობთ შეკითხვებს, რომლებიც უკავშირდებიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე, გპასუხობთ, რომ საქართველოს სსკ-ის 1431 და 1432 მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა იმ პირთა მიმართ, ვისაც სასამართლოში დაუმტკიცდება ტრეფიკინგში მონაწილეობა. ხოლო, რაც შეეხება თქვენს შეკითხვაში დასმულ საკითხს სიფხთხილესთან დაკავშირებით ალბათ ურიგო არ იქნება მიმართოთ არასამთავრობო სექტორს, კერძოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ტრეფიკინგის პრობლემებზე.

მერი მდივანი

ვარ მარტოხელა პენსიონერი, II ჯგუფის ინვალიდი, აგრეთვე მარტოხელა დედა. მყავს შვილი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში საბიუჯეტო სექტორზე. მას აპრილის თვეში უსრულდება 18 წელი.

შეგვინარჩუნდება თუ არა მე და ჩემს შვილს სოციალური საოჯახო დახმარება, რომელიც ამ ეტაპზე 35 ლარია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

ქალბატონო მერი,

თქვენ შეგინარჩუნდებათ ის პენსია, რომელიც დანიშნული გაქვთ უშუალოდ თქვენ. ხოლო ის შეღავათები, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო როგორც მარტოხელა დედისათვის და გეძლეოდათ შვილის აღსაზრდელად, შვილის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შეგიწყდებათ.

რევაზ ასათიანი

უპირველესად მადლობას მოგახსენებთ კითხვაზე დროულად პასუხის გაცემისათვის. ამავე დროს ბოდიშს გიხდით იმისათვის, რომ როგორც ჩანს, ალბათ სრულყოფილად, გასაგებად ვერ ჩამოვაყალიბე კითხვა.

განვმარტავ, რომ მე უკვე ვარ ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერი, გადამდგარი პოლკოვნიკი და დანიშნული მაქვს პენსია, მათ შორის კანონის 41-ე მუხლისა და 42-ე მუხლის "დ" და "ვ" პუნქტების შესაბამისად დანამატი 14 ლარის ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით მაინტერესებს 14 ლარიანი პენსიის 28 ლარამდე გაზრდა მეკუთვნის თუ არა აღნიშნული მუხლებით მინიმუმი პენსიის გადაანგარიშება და თუ მეკუთვნის, რა მექანიზმით მოხდება მისი მიღება. წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის.

ბატონო რევაზ,

გამომდინარე იქიდან, რომ თქვენ საქართველოს კანონმდებლობით ითვლებით ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერად, თქვენი პენსია ფიქსირებულია. ასე რომ, თქვენზე ჩვეულებრივი პენსიის მატება არ მოქმედებს.

ირაკლი ქართველიშვილი

1972 წლიდან ვცხოვრობთ კოოპერატიულ სახლში, რომელიც აშენდა ჩვენი ძველი სახლის ადგილზე, ბინა მიღებული გვაქვს გარანტიით. ჯერ არ მოგვიხდენია ბინის პრივატიზაცია.

გთხოვთ გვიპასუხოთ, აუცილებელია თუ არა ასეთი ბინის პრივატიზაცია და თუ არ არის იგი პრივატიზირებული, მე როგორც ამ ბინის მეპატრონეს ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ხომ არ შეგვექმნება ჩვენი უფლების რაიმე შეზღუდვა?

ამასთან დღეს რომ მოვახდინოთ პრივატიზება, ამისთვის რა არის საჭირო და ვის უნდა მივმართოთ?

ბატონო ირაკლი,

თუკი ბინა არ არის პრივატიზირებული, იგულისხმება, რომ მისი მეპატრონე არის სახელმწიფო. თუ თქვენ არ მოახდენთ მის პრივატიზირებას, თქვენ საჯარო რეესტრში არ იქნებით დაფიქსირებული მესაკუთრედ. პრივატიზებისათვის აუცილებელია თქვენი ოჯახის ყველა სრულწლოვანმა პირმა, რომელსაც გააჩნია რაიმე უფლება ამ ფართზე, განაცხადოს წერილობითი თანხმობა, რომ ბინა თქვენს სახელზე იქნეს რეგისტრირებული. ამის შემდეგ თქვენ და კოოპერატივის თავმჯდომარე მიბრძანდებით ნოტარიუსთან, სადაც შესაბამის დოკუმენტებს გააფორმებთ.

ელდარ დვალიშვილი

როგორ ამინაზღაურდება და როგორია ხანდაზმულობის ვადა სააქციო საზოგადოებაში დანერგილი რაციონალიზებულ წინადადებებზე:

ა) რომლითაც გაუმჯობესდა სამუშაო პირობები;

ბ) დაინერგა ახალი პროდუქციის წარმოება;

გ) გამარტივდა ან გადაპროექტდა მუშა ნახაზები, რომლითაც ასეული ათასი ლარის ეკონომიური ეფექტი იქნა მიღებული?

ვის შეიძლება მივმართო ამ საკითხების გადასაწყვეტად?

ბატონო ელდარ,

თქვენი შეკითხვის შინაარსი გაუგებარია ჩვენთვის. თანხის ოდენობა და მისი ანაზრაურება ყოველთვის ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. სამოქალაქო კანონმდებლობა პიროვნების თავისუფლების პრინციპზეა აგებული, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი ასეთ საკითხებს არ აწესრიგებს.

სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მუშა ნახაზების გადაპროექტება და გამარტივება სამოქალაქო კანონმდებლობით შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასარგებლო მოდელად. ამისათვის თქვენ თქვენი მკიღწევა უნდა წარადგინოთ საქპატენტში, სადაც შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ თქვენ მოგანიჭებენ პატენტს, რომელიც დაიცავს თქვენს უფლებებს. სხვადასხვა პატენტს სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადა აქვს. სასარგებლო მოდელის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 8 წლით "საქპატენტში" განაცხადის შეტანის დღიდან. (მუხლი 5). დაპატენტებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც თქვენს გამოგონებას გამოიყენებს, ვალდებულია გადაგიხადოთ გარკვეული საფასური. ამავე დროს გაითვალისწინეთ, რომ იმისათვის, რომ რაიმე ჩაითვალოს სასარგებლო მოდელად, იგი ცნობილი არ უნდა იყოს ტექნიკის არსებული დონისათვის. (მუხლი 13).

ვალერი ღვინჯილია.

ვარ რუსეთის ფედერაციას პერსონალური პენსიონერი. საპენსიო წიგნაკი N203607. პენსია დამენიშნა ქ. მოსკოვში მუშაობის დროს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ნახშირის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში - 1988 წელს. პენსიაზე წარმადგინეს საქართველოს მთავრობამ და ყოფილი სსრკ ნახშირის მრეწველობის მინისტრმა ერთობლივად, ვინაიდან მაშინ საქართველო და რუსეთი ერთი ქვეყანა იყო.

პერსონალური პენსია დანიშნული მაქვს რსფსრ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პერსონალური პენსიების დამდგენი კომისიის 1988 წლის 21 სექტემბრის N62 საოქმო გადაწყვეტილებით. პენსიის ოდენობა 145 რუბლია 1988 წლის 16 სექტემბრიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო და საპენსიო ფონდი არ მაძლევენ ამ პენსიას. დამენიშნა მხოლოდ საქართველოს პერსონალური მნიშვნელობის პენსია - 14 ლარი. გთხოვთ მომცეთ განმარტება როგორ მივიღო რუსეთის პერსონალური მნიშვნელობის პენსია, რომელიც გაცილებით მეტია.

ბატონო ვალერი,

როგორც თავად აღნიშნეთ, საქართველო და რუსეთი საბჭოთა პერიოდში ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომ საქართველოს მოქალაქე ამავდროულად ითვლებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქედაც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო და რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, მათი მოქალაქეები პენსიას იღებენ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეებსაც წარმოადგენენ. თუ თქვენ გსურთ, რუსეთის პენსია მიიღოთ, მაშინ რუსეთის მოქალაქეც უნდა გახდეთ.

ვალერი ცატუროვი

თბილისში იყო გამოცხადებული კონკურსი ბაქო-ჯეიჰანის მილსადენზე სამუშაოდ. მე კონკურსში მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე. დამიბარა ამ კონკურსის მონაწილე ფირმამ და დამიდო შრომისა და სწავლის ხელშეკრულება. მე ხელშეკრულების დღიდან შევუდექი მათი მოთხოვნების შესრულებას, ანუ ვსწავლებდი მათ უსაფრთხოების მოთხოვნებს, გავდიოდი პრაქტიკებს მათი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ მძიმე ტექნიკაზე სამი თვის მანძილზე. მათ მიერ დადებულ ხელშერულებაზე მე დღეში უნდა მქონოდა ერთჯერადი უფასო კვება და სწავლის და პრაქტიკის პერიოდში 11 ლარის ოდენობის თანხა უნდა გადაეხადა იმ ფირმას, რომელმაც დამიდო შრომის ხელშეკრულება. ხოლო შემდგომში, ყველა მათი მოთხოვნების შესრულების შემდეგ უნდა დავესაქმებინე სამსახურით. მე დავამთავრე ყველა მათი მოთხოვნა ჩემი ფულით. არცერთი მანეთი მათ ჩემთვის არ გადაუხდიათ და არც სამსახურით დამაკმაყოფილეს. გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა დღემდე მათ მიერ განაცდურის კომპენსაცია?

ბატონო ვალერი,

როგორც თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ ვადის გასვლის დღეს, კომპანია ვადის გასვლამდე ორი დღით ადრე წერილობით აცნობებს თანამშრომელს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. თუკი პირს არ აცნობებენ გათავისუფლების შესახებ, ხელშეკრულება პერიოდულად ავტომატურად გაგრძელებულად ითვლება.

ასე რომ, იმისათვის, რომ თქვენ სასამართლოს მიმართოთ და მოითხოვოთ განაცდურის კომპენსაცია, საჭიროა გათავისუფლების ბრძანება გქონდეთ ხელთ. მოცემული ხელშეკრულება ძალაში შესულია 2003 წლის 2 დეკემბერს. ხოლო დათხოვნის ბრძანება თქვენ არ გაქვთ ხელთ. შრომის კანონთა კოდექსი ადგენს, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ დათხოვნის საქმეთა გამო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში (მუხლი 204. შრომითი დავის გადასაწყვეტად მიმართვის ვადები). ასე რომ, ეს დეტალი აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ნინო ბერბენიშვილი

1. რაიონის პროკურორის თანაშემწის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე, გამოტანილი იქნა სს საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება საქართველოს სსსკ 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტით.მოქმედი კანონმდებლობით ვინ შეიძლება გააუქმოს ხსენებული დადგენილება?

2. სს საქმის გამოძიების პროცესში, მოწმეს - ვის ინტერესებსაც ეხება ხსენებული საქმის გამოძიება, აქვს თუ არა შუამდგომლობის დაყენების უფლება. დადებით შემთხვევაში რამდენ ხანში უნდა იქნეს განხილული ხსენებული შუამდგომლობა?

ქალბატონო ნინო,

1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმების უფლება აქვს პროკურორს, სსსკ-ის 56-ე მუხლის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მუხლის ციტირებას. პროკურორს უფლება აქვს "გააუქმოს მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, საგამოძიებო ორგანოს უფროსის, ქვემდგომი პროკურორის უკანონო დადგენილებანი".

2. სს საქმის გამოძიების პროცესში პროცესის მონაწილე ყველა პირს აქვს შუამდგომლობის დაყენების უფლება.

"შუამდგომლობის განცხადების უფლება აქვს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, აგრეთვე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის ინტერესებსაც ეხება სისხლის სამართლის საქმის წარმოება". (მუხლი 230.1)

ნინო ბერბენიშვილი

პროკურორის თანაშემწის მიმართ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სიტყვიერად ეცნობა, წარდგენილი იქნა წერილობითი საჩივარი, რომელიც არ განხილულა არც პროკურორის მიერ და არც წ/გამოძიების მიერ. გამოძიების პროცესში სს საქმე გამოსაძიებლად დაეწერა სტაჟიორ გამომძიებელს, რომელიც სტაჟირებას გადიოდა იმ პროკურატურის მუშაკის ხელმძღვანელობით, ვის მიმართაც შეტანილი იქნა საჩივარი, რომელიც დღესაც არაა განხილული და მისსავე სამუშაო ოთახში ზის ეს სტაჟიორი გამომძიებელი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია ხსენებული.

ქალბატონო ნინო,

პროკურორის თანაშემწის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სარჩელის განხილვა თუ არ მოხდა კანონის დაცვით უფლებამოსილი პირის მხრიდან და ხდება საქმის გაჭიანურება ან უგულებელყოფა, თქვენ შეგიძლიათ მომართოთ სარჩელით ზემდგომ პროკურორს, რომელიც განიხილავს ხსენებული გამომძიებლის ქმედების კანონიერების საქმეს.

ნინო ბერბენიშვილი

1. საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოხელის მიმართ აღძრულ იქნა სს საქმე, რომელიც კანონთან აშკარად შეუსაბამოა. გთხოვთ, განმიმარტოთ ხსენებულის გასაჩივრების წესი და მიმითითოთ კანონის ნორმები.

2. სს საქმეზე წინასწარი გამოძიება შეჩერებული იქნა, დამნაშავე პირის - ბრალდებულის დაძებნა-დაკავებამდე. მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა. ხსენებული დადგენილება უნდა გადაეცეს თუ არა ბრალდებულს ან მისი ინტერესების დამცველს, ან უნდა ეცნობოს თუ არა ხსენებულის შესახებ წერილობით დაინტერესებულ მხარეს. (ამ შემთხვევაში ბრალდებულსა და მისი ინტერესების დამცველს?)

ქალბატონო ნინო,

1. დადგენილება სს საქმის აღძვრის შესახებ სსსკ-ის 269-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში. თქვენს შემთხვევაში, რადგან გენერალური პროკურორის მიერ იქნა აღძრული ეს საქმე, საჩივრით უნდა მიმართოთ სასამართლოს.

2. სისხლის სამართლის წარმოების შეჩერების დროს, როდესაც გამოცხადდება ბრალდებულის ძებნა, ბუნებრივია, დადგენილება სს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ (მუხლი 390) ვერ ჩაბარდება ბრალდებულს, რადგანაც იგი მიმალვაში იმყოფება, ხოლო მისი მოძებნის შემდეგ, სსსკ-ის 394-ე მუხლის საფუძველზე შეჩერებული საქმის წარმოება განახლდება.

ნინო ბერბენიშვილი

სახელმწიფო მოხელეს - თანამდებობის პირს დაუსწრებლად წარუდგინეს ბრალდება, სასამართლომ მის მიმართ გასცა დაპატიმრების ბრძანება, ხოლო საგამოძიებო ვადის გასვლის შემდგომ წინასწარი გამოძიება შეჩერებულ იქნა დამნაშავე პირის დაძებნამდე.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია პროკურატურის ქმედება?

ქალბატონო ნინო,

სსსკ-ის 282-ე მუხლის თანახმად, ხდება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა. თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია, შეიძლება ბრალის წაყენება მოხდეს მის დაუსწრებლად. ხოლო საგამოძიებო მოქმედებების ამოწურვის შემდეგ, სსსკ-ის 390-ე მუხლის საფუძველზე საქმის წარმოება შეჩერდება ბრალდებულის დაძებნამდე და 393-ე მუხლის საფუძველზე გამოცხადდება მიმალული პირის ძებნა.

ნინო ბერბენიშვილი

სს საქმის გამოძიების პროცესში მოწმემ დააყენა შუამდგომლობა, რათა წინასწარ გამოძიებას გადაემოწმებინა რიგი საკითხება და საქმეზე მტკიცებულებად ეცნო მოწმის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, რაზედაც პროკურატურის გამომძიებლებმა გასცეს პასუხი, რომ "თქვენ ხსენებულ სს საქმეზე ხართ მოწმედ და შუამდგომლობის დაყენების უფლება არ გაქვთ", რამდენად კანონიერია ხსებებული ქმედება და როგორ შეიძლება ის იქნეს გასაჩივრებული?

ქალბატონო ნინო,

შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს პროცესის მონაწილე ნებისმიერ პირს. სსსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად "შუამდგომლობის განცხადების უფლება აქვს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, აგრეთვე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის ინტერესებსაც ეხება სისხლის სამართლის საქმის წარმოება". შუამდგომლობაზე უარის თქმა 231.5 მუხლის თანახმად არ უსპობს მის წარმდგენს შუამდგომლობის ხელმეორედ წარდგენის შესაძლებლობას. შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს 231.6 მუხლის სესაბამისად სამი დღე-ღამის ვადაში. გამომძიებლის უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორთან.

ნინო ბერბენიშვილი

1. 2003 წლის მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის ან განცხადების შემთხვევაში საქართველოს პროკურატურის ორგანოებს დროის რა მონაკვეთში შეიძლება ჩაეტარებინათ შემოწმება-მოკვლევა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. გთხოვთ მიმითითოთ კანონის ნორმა.

2. 2003-2004 წელს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შსს გამომძიებლის მიმართ თუ არსებობდა ეჭვი, რომ მის მიერ ჩადენილია რაიმე დანაშაული, ვის შეეძლო აღეძრა საჯარო დევნა?

ქალბატონო ნინო,

1. მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულის შესახებ შეტყობინებიდან საქართველოს პოკურატურის ორგანოებს მოკვლევისათვის აქვთ კანონით მინიჭებული ოცდღიანი ვადა, რის შემდეგაც გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება სს საქმის აღძვრის ან საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

2. კანონმდებლობის თანახმად, შსს-ის გამომძიებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხზე მოკვლევას ახორციელებს შსს. ხოლო შემდგომ აღძრულ საქმეს ან საქმის მასალებს (საქმის აღუძრავად), გადაუგზავნის პროკურატურის ორგანოებს, რომელიც ახორციელებს სს დევნას.

ნინო ბერბენიშვილი

1. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოტანის შემდეგ თუ პირი, ვის მიმართაც გამოტანილი იქნა ხსენებული დადგენილება, არ გამოცხადდა გამომძიებელთან, რამდენ დღეში უნდა წარედგინოს მას დაუსწრებლად ეს დადგენილება და აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის მიზნით შუმადგომლობით მიემართოს სასამართლოს. გთხოვთ მიმითითოთ კანონის ნორმა.

2. სს საქმის მოქმედი გამომძიებელი არის თუ არა მოხელე?

ქალბატონო ნინო,

1. თუ პირი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, ამ პირს სეიძლება დაუსწრებლად წარედგინოს ბრალი და სასამართლოც პროკურორის შუამდგომლობით იმსჯელებს აღკვეთის ღონისძიების საკითხის შესახებ, ხოლო შემდგომ, როდესაც საგამოძიებო ორგანოს მიერ ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედება ჩატარდება, საქმის წარმოება შეჩერდება სსსკ-ის 393-ე მუხლის შესაბამისად ბრალდებულის დაძებნამდე.

2. გამომძიებელი სსსკ-ის 58.1 მუხლის შესაბამისად, არის სახელმწიფო თანამდებობის პირი.

ნინო ბერბენიშვილი

1. მასალების მოკვლევის პერიოდში მომკვლევი პირის - პროკურორის სახელზე შეტანილ იქნა საჩივარი, სადაც ის მხილებულ იქნა სს დანაშაულის ჩადენაში. მოქმედი კანონმდებლობით როგორ უნდა მოხდეს ხსენებული საჩივრის განხილვა?

2. საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე მოქალაქის მიერ შეტანილი განცხადებიდან აშკარად ჩანს ჩადენილი დანაშაულის ნიშნები. დროის რა პერიოდში უნდა მოხდეს და რა წესით ხსენებული განცხადების გადაგზავნა სათანადო ორგანოებში.

ქალბატონო ნინო,

1. პროკურორი სსსკ-ის 56.1 მუხლის საფუძველზე ახორციელებს წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროკურორო ზედამხედველობას, ხოლო "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ამოწმებს მოკვლევის ორგანოების მიერ სს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედების ჩატარებისა და ამ საქმიანობის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას, ხოლო თუ დადგინდა, რომ მოკვლევის ორგანოების მხრიდან ჩადენილ იქნა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, პროკურორს უფლება აქვს, 56.2 მუხლის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, გააუქმოს მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს ..... უკანონო დადგენილებანი. რაც შეეხება კონკრეტულად მომკვლევის პასუხისმგებლობის საკითხს, თუ მან ჩაიდინა სს კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, იგი პასუხს აგებს ჩვეულებრივ, საერთო წესით.

2. სახალხო დამცველის საქმიანობას აწესრიგებს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი. ამ კანონში არაფერია ნათქვანი მოქალაქეთა მიერ შეტანილი განცხადებების განხილვის ვადებზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ რადგანაც სახალხო დამცველი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, იგი ადმინისტრაციული წესით განიხილავს შემოსულ განცხადებებს და განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

ვაულო ქოელიო
სიტყვის ძალა



B3

ვერის-ბაღელები

B4

ახალი კინო ქაოსიდან

B8

ქეთევან სადღობელაშვილი

მოდური ტენდენციები ქართულ ტელესივრცეში

ქართული ტელეარხების ბოლო დროის ყველაზე მოდურ მიმდინარეობად დოკუმენტური ფილმი და საკუთარი "ძლევამოსილების" დამამტკიცებელი ე.წ. სოციალური რეკლამები იქცა. ერთგვარად "სვეტსკი" გახდა ის არხი და ჟურნალისტი, რომლის დაუსრულებელ რეპორტაჟს, კარგ შემთხვევაში ნარკვევს და ჩანახატს, უარეს შემთხვევაში ოპერატორის ხარჯზე "გაქაჩულ" დეფილესა თუ სამოგზაურო თავგადასავალს უტიფრად აწერია დოკუმენტური ფილმი. სხვათა შორის, დოკუმენტური ფილმის გადაღება ერთგვარი ფუფუნებაა ტელეარხებისათვის, რადგან, იმის გარდა, რომ დიდ ფინანსებს მოითხოვს (ეგ კიდევ არაფერი), ელემენტარულად, იდეის გააზრება, პრობლემის განზოგადება, დრამატურგიისა და კომპოზიციის ცოდნა სჭირდება. ელემენტარულზე მეტად კი ინტელექტი, მხატვრული ნიჭი და ზღვა მასალიდან იმ მთავარის ამოკრეფის უნარი, რომელიც აუცილებელია დოკუმენტური ფილმისათვის. თანაც, დოკუმენტური ფილმები სოლიდური ტელეარხების საერთო პროგრამებში ერთჯერად გადაცემებად კი არა, განსაკუთრებულ მხატვრულ ფაქტორად მოიაზრება. ამიტომაც დიდი პასუხისმგებლობა მართებთ ჩვენს არხებს, როცა გაუგებარი ჟანრის პროდუქციას დოკუმენტურ ფილმებად ასაღებენ.

დეტალი წარსულიდან: 1970-74 წლების კატალოგში, სახელმწიფო ტელეპროდუქციისათვის გამოყოფილი ფირების ასეთი პროპორციაა აღწერილი: 70 -დოკუმენტური, 20 - ტელენოველა, 17 - მუსიკალური ფილმი, 3 - ტელეფილმი-სპექტაკლი. მართალია, დოკუმენტურში საბჭოეთის დიადი მიღწევების ქრონიკაც იგულისხმებოდა (რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ყოველთვის მძაფრ ინტერესს იწვევს), მაგრამ ამის პარალელურად, სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმზე უნიჭიერესი რეჟისორები და სცენარისტები მუშაობდნენ. "პირველი არხის" ხელმძღვანელს რომ გააზრებული ჰქონდეს სატელევიზიო პოლიტიკა, პირველ რიგში იმ პრივილეგიას გამოიყენებდა, რაც ამ არხისგან ორმოცდაათწლიანი ტრადიციის შედეგად ერგო: უნიკალური ტელერადიო ფონდი (რომლის დიდი ნაწილი უპატრონობისგან ნადგურდება), უბერებელი ტელენოველები და, რაღა თქმა უნდა, სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. არ მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე (ალბათ, დიდი ხნის წინათ), მაგრამ დღემდე კადრების ხანგრძლივობაც კი მახსოვს გურამ პატარაიას ფილმებიდან: "შორია გურჯისტანამდე", "ათონის მონასტერი" და "რუსთაველის ნაკვალევზე". ასევე, ცხადად მახსოვს დოკუმენტური ციკლი: "საქართველოს კუთხეები". ამ ციკლიდან გელა კანდელაკის "იმერეთი" - დავით კლდიაშვილისა და დავით კაკაბაძისეული ესკიზებით და, თუ არ ვცდები, დიმა ბათიაშვილის "სვანეთი." თუ ამას ქართულ დოკუმენტურ კინოსაც დავუმატებთ და მხოლოდ რეზო თაბუკაშვილს გავიხსენებთ, დიდი ვერაფერი პერსპექტივა ელოდებათ ახალგამოჩეკილ "ტელედოკუმენტალისტებს". ერთი ფაქტიც ვერ გათვალეს ჩვენმა "ტელემაგნატებმა", რამდენიმე არხმა ერთდროულად (სინქრონული ფანტაზიებისა და წამბაძველობის წყალობით) შეიძინა "ბი ბი სის", "არტ"-ეს და "დისქავერის" პაკეტი. ასე რომ, შედარებისთვის, თუ როგორ მზადდება დოკუმენტური ფილმი, წიგნებში, ფონდებსა და კატალოგებში ქექვა არ მოგიწევთ. განსხვავებას უცხოური და სამამულო არხების დღევანდელ დოკუმენტალისტიკას შორის თავადაც დაინახავთ.

დეტალი თანამედროვეობიდან: როდესაც ლეონიდ პარფიონოვმა ხელისუფლების მიერ შემოქმედებითად გაკოტრებული "ენ ტე ვე" იძულების წესით დატოვა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დროებითი მოქმედების სფეროდ ტელედოკუმენტალისტიკა აირჩია. ქართველი ჟურნალისტებისაგან განსხვავებით, პარფიონოვისათვის დოკუმენტური ფილმი არც თავშესაფარი ყოფილა და არც საკუთარი პერსონის წარმოსაჩენად გადაღებული სარეკლამო რგოლების ერთობლიობა. ხელისუფლების მიერ გაკოტრებული ქართული არხებიდან კი იმის გამო არავინ წასულა, დოკუმენტალისტიკისთვის რომ მოეკიდა ხელი. ნეტა იმ "სოციალურ დოკუმენტალისტიკას" აწოდებდნენ მაყურებელს, რაც წესით ევალებათ.

კონკრეტული დეტალები: ე.წ. დოკუმენტური ფილმების სიმრავლით "რუსთავი 2" და ნინო ქაჯაია გამოირჩევა, რომლის "ფილმების" სარეკორდო მაჩვენებელი უცხოეთში გამგზავრების მსურველებსაც კი არ გამოადგებათ, რადგან სასტუმროებში უფრო მეტ ინფორმაციას შეიტყობთ ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ, ვიდრე მისი ნამუშევრებიდან, რომელთა უმეტესობა თავად ჟურნალისტის სარეკლამო ბუკლეტს უფრო წარმოადგენს, შემაწუხებელი "სტენდ აფ"-ებით და ეგზოტიკური კოსტიუმების ცვლით. არ გამოვრიცხავ, რომ მასკულტურის მაყურებელს მოსწონს თემაც, იდეაც, გმირებიც, მაგრამ საბოლოო ჯამში, მთავრდება ნამუშევარი (გამიჭირდება, ფილმი ვუწოდო) და შთაბეჭდილება არ არის. მიზეზი მარტივია. ავტორთა აზრები მეათეხარისხოვან დეტალებსა და ფრაზებს მოიცავს, დრამატურგია არასრულფასოვანია, რიტმი - "კლიპური", არ არსებობს დასაწყისი, კულმინაცია და დასასრული, აქ ყველაფერი ერთფეროვანია, სუსტი დასაწყისით, დაძაბული მომენტის უქონლობითა და ნეიტრალური ფინალით. ასეთი "მკაცრი განაჩენი" მხოლოდ ქაჯაიას არ ეკუთვნის, იგი თანაბრად ნაწილდება ასევე ნათია აბრამიას "ფილმებზე" (რაც უნდა დალაი ლამასა და ინდოეთის საინტერესო პროვინციების ცხოვრებას ასახავდნენ ისინი), ნატა ამაღლობელის "როლექსის" პრემიის ლაურეატებზე მომზადებულ უფრო მეტად ტელენარკვევზე, ვიდრე დოკუმენტურ ფილმზე და ა. შ. და ასე შემდეგ.

ქართულ ტელესივრცეში ყოველთვის შეინიშნება სწორება "რუსთავი 2"-ზე, დღესაც კი, როცა არხისგან ადრინდელთან შედარებით ბევრი არაფერი დარჩა მისაბაძი. ასე მოხდა ტელეკომპანია "მზის" შემთხვევაში, რომელმაც "დოკუმენტური მარათონი" გააგრძელა. გოდერძი შარაშიამ რამდენი რეპორტაჟიც გადაიღო და მასალა ბევრი გამოვიდა, ყველაფერს დოკუმენტური ფილმი დაარქვა. თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ამ ისტერიულ დოკუმენტალისტიკაში მაინც გამოირჩევა გიორგი კალანდიას ნამუშევრები, რადგან მონაწილეთა რეაქციის საშუალებით მაქსიმალურად ცდილობს მოვლენის გადმოცემას. თემატიკაც ხშირ შემთხვევაში საინტერესოა. ჰო, თემატიკაზე გამახსენდა, ასევე ბუმი ატყდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიმართ (ვითომ, შიგნით არავინ და არაფერია საინტერესო) და სწორედ ამ კუთხით, ერთიდაიგივე რეგიონებისა და ადამიანების გადაღებებით დაკავდა სამამულო ტელედოკუმენტალისტიკა (ჩვენ ხომ კოლექტიური აზროვნების მემკვიდრეები ვართ). ცრემლიანი ეპიზოდების მიღმა ერთი უხერხულობა გვავიწყდება. რადგანაც ჩვენი "დოკუმენტალური ძიებები" ძირითადად საქართველოს გარეთ წარმოებს, იქნებ, ამ საქმეში უზარმაზარი ტრადიციების მქონე "ბი ბი სი"-ს სტანდარტებისთვისაც გადაგვეხედა: "რელიგია, კულტურა, პოლიტიკა და სამართალი სხვადასხვაგვარადაა გადაჯაჭვული მთელ მსოფლიოში. ჟურნალისტებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა ჩაწვდნენ, რა გავლენას ახდენს გენეტიკა ამა თუ იმ ერის ცხოვრების სტილზე, განსაკუთრებული წინდახედულებაა საჭირო, როდესაც ვეხებით რწმენის საკითხს, რაც საზოგადოების კულტურის, მისი პოლიტიკური თუ სამართლებრივი ცხოვრების საზრისს წარმოადგენს." აი, როგორი სერიოზული გააზრება სჭირდება ისლამურ ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეების გადაღებას, რომელთაც შენი ფილმის გამო, შესაძლოა, პრობლემები შეექმნათ. დოკუმენტური ფილმი ნიუსი არაა, ორი დღის შემდეგ რომ აღარავის გაახსენდეს.

და კიდევ ერთი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, რჩება შთაბეჭდილება, რომ სცენარი მასალის გადაღების შემდეგ იწერება და არა გადაღებამდე. სხვათა შორის, ასე გასული საუკუნის 20-იან წლებში ხდებოდა, როცა დოკუმენტური ფილმი სპონტანურად იბადებოდა გადასაღებ ობიექტსა და სამონტაჟო მაგიდასთან. ამ მხრივ, დიდ განსხვავებას ვერც დღეს ვხედავ.

"კამერა არ არის შავი ყუთი, რომელიც გამოსახულებას და ხმას იწერს. კამერა არის ისტორიების მოსათხრობი საშუალება" - *ბოსტონელი ოპერატორის ჯონ პრემაკის აზრი.*

სატელევიზიო და კინოდოკუმენტალისტიკას შორის სულ მცირე განსხვავებას ხედავენ სპეციალისტები. როგორც ამბობენ, ტელევიზიაში, უბრალოდ, უფრო მეტი ახლო ხედი უნდა იყოს.

უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ოპერატორების ნამუშევრები თითქმის ყველა "დოკუმენტურ ფილმში" აშკარად სჯაბნის ავტორსაც და თუ ჰყავთ ასეთი, რეჟისორსაც. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ოპერატორული ნამუშევარი ავტორისეულზე "ასი გაფრენით მეტია". მადლობა მათ იმისათვის, რომ სამამულო წარმოების ტელედოკუმენტალისტიკას ბოლომდე მაყურებინებენ ხოლმე, მაგრამ როდემდე იმუშავებს კამერა ჟურნალისტის მაგივრად?

ახალგაზრდა სახელმწიფოს პოპულარიზაციისთვის: მარტივი და იოლად შესასრულებელი იდეა პრეზიდენტის ამასწინანდელი, საათიანი ბრიფინგის დროს დამებადა. ასეთი ბრიფინგების წინ თუ მივუთითებთ, რომ დოკუმენტურ სერიალს (სათაურით: "რეალობის მიღმა") ვთავაზობთ მაყურებელს შემდგომი გაგრძელებებით და მთელი ბრიფინგის მანძილზე, იქ სადაც "პირდაპირი" აწერია, დავაწერთ NO COMMENT, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობის სიდუხჭირის მაჩვენებელი საგრძნობლად დაიწევს და პატრიოტიზმის გრძნობა გაათმაგდება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ტელეკომპანია "იმედი" ასეთი სოციალური რეკლამით გაჭრის ზემოხსენებულ ფილმს: "რითი ერთობი? ვჩათობ. სხვა? ვკატაობ. რას აპირებ? ვიცხოვრებ, რა. გაგიგებენ? იმედია". და სლოგანი: "ჩვენი პრეზიდენტი, ჩვენი იმედი".

ერთი ამბის მეტაფორა. თურმე, თავის დროზე, ცენტრმა (ანუ მოსკოვმა) ქართველ კინემატოგრაფისტებს ეროვნული სიამაყის, "ვეფხისტყაოსნის" გადაღება შესთავაზა. ცენტრშივე დაიანგარიშეს ფინანსები და ცენტრმავე გადაწყვიტა, რეჟისორიც და მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობებიც უცხოელები ყოფილიყვნენ. უყურა თურმე ნოდარ დუმბაძემ ამ პერიპეტიებს და ბოლოს იკითხა: ქართველებმა მარტო ქაჯები უნდა ითამაშონო? ნეტა, როდის არ ვთამაშობდით ამ როლს?!

მომავალ ხუთშაბათს შევხვდებით.
e-mail:
ksadgobelashvili@24hours.ge

ა ნ კ ე ტ ა

1. ქართულ ტელესივრცეში რომელ არხს გამოარჩევდით და რატომ?

2. როგორი გადაცემების ნახვას ისურვებდით ქართული ტელეეთერით?

3. როგორია ქართული ტელევიზიების სამეტყველო ენა და საზოგადოებაზე ზეგავლენის ხარისხი?

4. ხედავთ თუ არა დილეტანტიზმის მაღალ დონეს ქართულ ტელეჟურნალისტიკაში? (კონკრეტული მაგალითების მოხმობით)

5. გადაცემა და წამყვანი, რომელიც მოგწონთ ან გაღიზიანებთ...

ლაშა ბაძრაძე

1. ქართულ ტელესივრცეში ვერც ერთ არხს ვერ გამოვარჩევ. ყველა ერთმანეთს დაემსგავსა, ყოველ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად სრული პროგრამის მქონე არხები ("რუსთავი 2", "იმედი", "მზე", რეფორმა-განადგურებამდე - "პირველი არხი" და აჭარის ტელევიზია). ოდესღაც ახალი ქართული ეთერის ფლაგმან "რუსთავი 2"-ზე მოხდა სწორება, თვითონ "რუსთავი 2" კი აღარ განვითარდა.

2. გემოვნებიანი და ხარისხიანი გადაცემები მინდა ვნახო - ნებისმიერ თემაზე. კარგი იქნებოდა შემეცნებითი გადაცემები, რომლებიც გააფართოვებდა ჩვენი მაყურებლის ჰორიზონტს, რათა ბოლოს და ბოლოს გამოვიდეთ იმ არანორმალური კარჩაკეტილობიდან, რომელშიც დღემდე ვიმყოფებით. ჩვენ სინამდვილეში არაფერი ვიცით, რა ხდება ჩვენს გარშემო, რაზე და როგორ მიმდინარეობს მსჯელობა მსოფლიოში, რას წარმოადგენს ის სამყარო, რომელშიც გვინდა თუ არა, ჩვენც ვცხოვრობთ. ეს ჩვენი პრობლემების უკეთ დანახვასა და, შესაძლებელია, გადაჭრაშიც შეგვიწყობდა ხელს.

3. ქართული ენა დიდი გამოცდის წინაშე დგას. ასეთი კატასტროფული მდგომარეობა ბოლო ორ - რუსიფიკაციის საუკუნეში არ ყოფილა. წინათ თუ ერთი ენიდან შემოდიოდა ტერმინები და კლიშეები (მაგ.: "სახეზეა", "თავის თავზე აიღო"), დღეს ქართულზე ზეგავლენას ახდენს ფრანგული, გერმანული და უპირველეს ყოვლისა, ინგლისური, ისევ რუსული და საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე შეიძლება თურქულიც (იმისდა მიხედვით, თუ ვინ, სად და რომელ ენაზე "განათლდა"). თუ ასე გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ერთი და იგივე საგანზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ერთმანეთს ლექსიკურ თუ გრამატიკულ დონეზეც ვეღარ გავუგოთ. ამიტომ აუცილებელია, არსებობდეს ქართული ენის ნორმების დამდგენი ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც ცხოვრების აჩქარებულ ტემპს ფეხს აუბამს, დარღვევებზე მიუთითებს, ლექსიკონებს გამოსცემს.

ქართული ტელევიზიები რომ გადაატრიალოთ, ალბათ, ერთ წიგნსაც ვერ ნახავთ, ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებზე რომ არაფერი ვთქვათ. საშუალო ქართველი ჟურნალისტის საერთო გაუნათლებლობას ენის (და არა მარტო ქართულის) უცოდინარობაც ემატება. საინტერესო იქნებოდა, დაგვეთვალა, რამდენი სიტყვით გადის ფონს ქართველი ჟურნალისტი. 1000-1500 სიტყვით?

გერმანიაში იქაური "ენის პალატა" ყოველწლიურად "წლის არასიტყვას" ასახელებს.

ჩვენთან რომ იყოს მსგავსი რამ, ჩვენი მედიების ისეთ საყვარელ სიტყვებს, როგორიცაა "დააფიქსირა" ან "მოიაზრება" უთუოდ "არასიტყვებად" გამოცხადება ელოდათ.

მიუხედავად მდარე დონისა, ჩვენი ელ-მედიები დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე სწორედ მდარე გემოვნების ჩამოყალიბების, პრიმიტიული, დამახინჯებული ენის გავრცელების საქმეში და არა მარტო ამ საქმეში.

მედიამ მართლა დაიჯერა, რომ მეოთხე ხელისუფლებაა. ეს პოლიტიკოსებმაც ირწმუნეს. ჩვენს არარაობა პოლიტიკოსებს ეშინიათ მედიის. ისინი პირდაპირ დამოკიდებული არიან მასზე - რაც უფრო ხშირად გამოჩნდებიან ტელეეკრანებზე, უფრო კარგ მუშაობად ჩაეთვლებათ. რადგან მედიას უკეთესი იდეები არა აქვს - პოლიტიკოსები საახალწლოდ ტყაპუჭებს დაიხურავენ თავზე და რასაც გინდათ, იმას გიმღერებენ. რა აქვთ მაცივარში? - გამოგიღებენ მაცივარს. რას ან სად ჭამენ? - დაწვრილებით შეიტყობთ. თუ ჟურნალისტი ძალიან მოინდომებს, იმასაც მოგიყვებიან, თუ მათ პარტნიორებს რა ნიფხვები აცვიათ. ქართველ პოლიტიკოსთა სამუშაო და საპიარო დრო ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამებზეა აწყობილი (მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის!). ქართული მედიისთვის საინტერესო მოღვაწეები (რომლებიც თავის თავზე ამბობენ ხოლმე - ვმოღვაწეობო) ინტერვიუს ნებისმიერ თემაზე, ნებისმიერ დროს იძლევიან. თუ გავითვალისწინებთ, რას ნიშნავს თანამედროვე ქართულში სიტყვა "მიცემა," შეიძლება ითქვას, რომ ეს მამულიშვილები გამუდმებით ბოზობენ. აქ მეოთხე საკითხზეც ნარნარად (ანუ "პლავნად") შეგვიძლია გადასვლა.

4. როგორც პოლიტიკოსები, ასევე მედიის წარმომადგენელები საკუთარი არაკომპეტენტურობის კომპენსაციას საკუთარი თავის გაფეტიშება-გაპიარებით ცდილობენ. ეს მავნე ჩვევა, ასევე, "რუსთავი 2"-მა შემოიღო: წამყვანი ჟურნალისტების - ქართული მედიის საყვარელი სიტყვა რომ ვიხმაროთ - "სახეების" გავარსკვლავებით. ახლა თითქმის ყველა არხი ქმნის საკუთარ ვარსკვლავებს და ზოგი მათი ბავშვობის სურათებსაც გვიჩვენებს. ასე იქმნება გიგუშებისა და ეკუჩებისგან ახალი ქართული ელიტა. აქ იკვრება მანკიერი ალიანსი პოლიტიკოსებთან და სხვა ვარსკვლავთ-გოგო-ბიჭუნებთან, რომლებთან ერთადაც ქართული მედია ქართული სუფრის ამაგდარი ნიკო ლეკიშვილის თამადობით ჩოხა-ფართებს აწყობს და მერე ორი-სამი დღის განმავლობაში აშუქებს, როგორც მთავარ ეროვნულ მოვლენას. აქ ერთი გუნდი, გინა "სასტავი" არის შეკრული. რომელ კრიტიკულ დამოკიდებულებაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი?

ვითომ პოლიტიკოსები, ვითომ ქვეყანას აშენებენ და ვითომ კრიტიკული ჟურნალისტები, ვითომ აკრიტიკებენ.

ეს თვითმარქვია ელიტა დაკავებულია ავტოეროტიზმით, ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, ანძრევს.

ცოტა უფრო კონკრეტულად: მხოლოდ ჟურნალისტიკადამთავრებულებმა კონკრეტულად არაფერი იციან, გარდა თხოვნისა - "მომიყევით რაიმე კურიოზი". როგორც კი მათგან განსხვავებულ პოლიტიკოსს თუ საქმის მცოდნე ადამიანს ხვდებიან, კითხვასაც ვერ სვამენ. მინისტრი ბენდუქიძის ანტისოციალური აზროვნება არ მომწონს, მაგრამ მომწონს მისი დამოკიდებულება ჟურნალისტებთან, რომელიც ძალიან კარგად გვიჩვენებს მათ სრულ უსუსურობას. ჩვენ არ გვყავს ჟურნალისტები, რომელთაც ესმით იურიდიული, ან ეკონომიკური საკითხები (იქნებ, ერთხელ მაინც ვინმე უცხოელს, მაგალითად, ფრანგ ან ინგლისელ "ექსპერტს" ჰკითხონ, როგორ გაათავისუფლეს თავიანთი კოლონიები პოლიტიკურად, მაგრამ დაიმონეს ეკონომიკურად. ამ ბევრად უფრო მომგებიანი განვითარების საფეხურზე, როგორც ჩანს, რუსეთიც ავიდა საქართველოსთან მიმართებაში.).

მიუხედავად ნიუსების არაბუნებრივი მომრავლებისა, ჩვენ ინფორმირებულნი არა ვართ. ქართულმა არხებმა ნიუსების დახარისხებაც კი ვერ ისწავლეს. ყველანაირი ვითომ ნიუსის ჩაყრა ერთ გაუთავებელ გადაცემაში არ შეიძლება. პარიზის მოდების ჩვენება შეიძლება ლამაზია, მაგრამ ფრანგული არხების საინფორმაციო გამოშვებებშიც კი ვერ ნახავთ ისე გაშუქებულს, როგორც ჩვენთან. სამაგიეროდ, ვერასდროს გაიგებთ ინფორმაციას, თუ რა ხდება დასავლეთის კულტურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იქმნება ყალბი ილუზია, რომ რაღაც ინფორმაცია მივიღეთ, სინამდვილეში კი ისეთივე გოიმები დავრჩით, როგორც მანამდე ვიყავით. პრობლემები ბევრია. საერთოდ, მედიის უპოზიციობა ხშირად მედიის მიუკერძოებლობად არის მონათლული. ძალიან ბევრის თქმა შეიძლება კიდევ, მაგრამ ამის დრო და ადგილი აქ არ გვაქვს.

5. არ მომწონს "ფარული კამერები" და ნაძალადევად სახარხარო გადაცემები.

P.S. მდგომარეობის გაუმჯობესებას შეძლებდა საზოგადოებრივი ტელევიზია, თუ მის სათავეში ისევ კომკავშირელი არ მოვა. მე, როგორც ყოფილი ალკკ-ს წევრი, "კომკავშირელში" გარკვეული ორგანიზაციის წამყვან ამხანაგებს კი არ ვგულისხმობ, არამედ ამ "გაგებას", რადგან ამ გაგების ადამიანები ბევრია დღესაც, მიუხედავად იმისა, მოესწრნენ თუ არა ისინი, ასაკის გამო, შეგნებულად კომუნიზმის ეპოქას.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
პიტერ შაფერი
"ა.ს.ა (ანტი-სულიერების-ამფეთქებლები)"
რეჟისორი: ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ნოდარ დუმბაძე
"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
პრემიერა
"პატარა უფლისწული"
მ. სურმავას სპექტაკლი
დას: 18:00 სთ.

გლობუსი
შალვა დადიანი
"გუშინდელნი"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
დას: 18:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

კინოს სახლი
"სანაპირო დაცვა"
(სამხრეთ კორეა)
ფასი: 1 ლარი
დას: 17:00 სთ.

რუსთაველი
"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 13:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

"განრისხებული"
დას: 15:00 სთ.

ამირანი
"ბრიჯიტ ჯონსი 2"
დას: 15:00; 17:30; 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲔᲑᲘ

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

ჰობი
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

სურათების ეროვნული გალერეა
სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა
ნამუშევრების გამოფენა (გობელენი, თექა, ბატიკა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲘᲓ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲡ ᲔᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲕᲗᲘᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გარდაიცვალა ქართული თეატრის შესანიშნავი მსახიობი, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ედიშერ მაღალაშვილი.

წლეულს, 4 იანვარს, ბატონ ედიშერს 80 წელი შეუსრულდა. ასაკის მიუხედავად, არავინ ელოდა მის ასეთ უეცარ გაუჩინარებას.

ედიშერ მაღალაშვილმა სრულიად გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ თეატრსა თუ კინოში. დიდოსტატ მსახიობთა თანავარსკვლავედში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, პირველივე სპექტაკლში, "რომეო და ჯულიეტა", მერკუციოს როლით უმალვე მიიპყრო მაყურებლისა და კრიტიკის ყურადღება. მერკუციოს მოჰყვა მთავარი როლები მარჯანიშვილელთა სპექტაკლებში: "რაიკომის მდივანი", "გაზაფხულის დილა", "სასტუმროს დიასახლისი", "ხეები ზეზეურად კვდებიან", "აურზაური არაფრის გამო" და მრავალი სხვა.

1964 წელს ბატონი ედიშერი რუსთაველის თეატრში გადავიდა და სიცოცხლის ბოლომდე დასის წამყვანი მსახიობი გახლდათ. მაყურებელმა შეიყვარა მისი როლები სპექტაკლებში "სეილემის პროცესი", "ანტიგონე", "ფედრა", "სამიდან ექვსამდე", "დაკრძალვა კალიფორნიაში", "ღია შუშაბანდი", "სიყვარული თელებქვეშ", "ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი", "სისხლიანი ქორწილი", "საბრალდებო დასკვნა", "ვთამაშობთ ჯინს" და სხვა.

ბოლო წლებში მარჯანიშვილის თეატრშიც თამაშობდა სპექტაკლებში: "ძე-ცდომილი", "ურიელ აკოსტა", "ნატაძრალზე" (ეს სპექტაკლი უკანასკნელი აღმოჩნდა ედიშერ მაღალაშვილისთვის). იგი ვეღარ მოესწრო, განახლებული რუსთაველის თეატრის სცენაზე კვლავ შეედგა ფეხი, კვლავ აღეფრთოვანებინა მაყურებელი, რომელიც ყოველთვის ელოდა მისგან ახალ და ახალ ნამუშევრებს.

სრულიად ახალგაზრდა, გარეგნობითა და ნიჭით გამორჩეული, ჯერ კიდევ ორმოციან წლებში მოვიდა კინოში... ფილმს ფილმი მოჰყვა, წარმატებას წარმატება... "აკაკის აკვანი", "ქეთო და კოტე", "ჩრდილი გზაზე", "ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", "მამლუქი", "მაიაკოვსკი იწყებოდა ასე", "გაზაფხული საკენში", "ნეილონის ნაძვის ხე"... ეს არასრული სიაა იმ ფილმებისა, რომლებიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ასე შეიყვარა მაყურებელმა. "არმენფილმში" მოღვაწეობისთვის მას სომხეთის სახალხო არტისტის წოდებაც მიანიჭეს.

როდესაც ამ სტრიქონებს ვწერდი, გონებაში ამოტივტივდა ბატონი ეროსი მანჯგალაძის დაკრძალვის დღე. მაშინ სწორედ ბატონმა ედიშერმა მოუწოდა ეროსის მაყურებლებს, რომლითაც გადაჭედილი იყო რუსთაველის თეატრი, ტაშით გაეცილებინათ საყვარელი მსახიობი. ეს ჟესტი შემდეგ არაერთგზის გაიმეორეს მადლიერების გამოსახატავად.

კვირას, ორ საათზე, რუსთაველის თეატრი და მთელი საქართველო უკანასკნელ გზაზე გააცილებს საყვარელ მსახიობს. ცრემლი და ტაში მას სასუფევლის კარამდე მიაცილებს.

P.S. ეროსი მანჯგალაძეც 26 იანვარს გარდაიცვალა, ბატონო ედიშერ! იქ დიდი სამეგობრო გელოდებათ! ღმერთმა გაანათლოს თქვენი სული.

ᲧᲣᲠᲗᲑᲐᲚᲘᲨᲘ ᲐᲜᲣ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ - ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲗᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

"თუ საქართველოში მოხვედრილი უცხოელი შეგვეკითხება, რა დაგვემართა ქართველებს, უნდა წავაკითხოთ ეს რომანი და მიმხვედრი მიხვდება, ცეცხლის კვერი როგორ დატრიალდა (და ახლაც ტრიალებს) ჩვენს თავზე." - ვკითხულობთ ირაკლი სამსონაძის ახლად გამოცემული რომანის "ყურთბალიშის" ბოლოსიტყვაობაში და ვხვდებით, რომ ის, რაც ბოლო გვერდის ტექსტს წინ უძღვის, იმ ეპოქაზეა დაწერილი, რომელშიც ვცხოვრობთ და რომლის გადახედვაც არა მხოლოდ უცხოელისთვის, ჩვენთვისაც მეტად სასარგებლო და საინტერესო იქნება.

"დღეს გვაქვს ძალიან კარგი და ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნის პრეზენტაცია, რაც ამ ბოლო წლებში საქართველოში დაიწერა... დიდი ნაწარმოები, ტექსტი ქომაგი, ტექსტი ბევრის მასწავლებელი და ბევრ რამეზე დამაფიქრებელი, წიგნი, რომელიც გაუძლებს დროს, რომელიც ერთგვარი ანარეკლია იმ ყველაფრისა, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა ამ ბოლო წლების განმავლობაში," - ბესო ხვედელიძის ამ სიტყვებით დაიწყო გუშინ საღამოს "პარნასში" ირაკლი სამსონაძის, მრავალი მოთხრობისა და პიესის ავტორის პირველი რომანის პრეზენტაცია. "ყურთბალიში" ორი წლის წინ დაიბეჭდა ჟურნალ "არილში". ამ ჟურნალის ერთგული მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რის შესახებ საუბრობდა პრეზენტაციაზე მოსული საზოგადოება აღტაცებითა და სიამაყით.

ᲑᲝᲒᲘᲢᲐ ᲑᲣᲬᲐᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

"ირაკლი ეძებს საყრდენ წერტილს ჩვენს მორყეულ და ატორტმანებულ სინამდვილეში... როგორც მას, ისე მის გმირს აქვთ პასუხისმგებლობა იმ სინამდვილის წინაშე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, იმ ადამიანების მიმართ, რომელთა გვერდითაც უხდებათ ცხოვრება. ეს არის ღრმა შეგნება იმისა, რომ, რაც არ უნდა საშინელი და აუტანელი იყოს სინამდვილე, მისი ავტორები თავად ჩვენ ვართ, მისი შეცვლაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია..." - აღნიშნა თამაზ ვასაძემ.

ნუგზარ შატაიძემ, რომელსაც პირველს, თანაც ხელნაწერში წაიკითხავს გუშინ საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი წიგნი, სამსონაძის "ყურთბალიში" კეტს შეადარა. "ჩვენ, ადამიანები, ხშირად თიხისგან გამომწვარ ჭურში ვზივართ და არ გვინდა იქიდან თავი ამოვყოთ, რათა არ დავინახოთ ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება. ირაკლი სამსონაძის ამ რომანმა პირადად ჩემთვის კეტის როლი ითამაშა. ამ კეტმა დაამტვრია თიხა ჩემ გარშემო. ეს უსიამოვნოც უნდა იყოს, თუმცა, ვფიქრობ, მწერლობის როლი ესეც არის. მან უნდა დაგვანახოს საკუთარი თავი და ის ყოფა, რომლითაც ვცხოვრობთ... ჩვენ ყველანი ხომ ამ რომანის გმირები ვართ."

გმირი, რომელიც შეუფერადებლად ხედავს რეალობას და განიცდის უმძიმეს ცხოვრებისეულ დარტყმებს, ხელმოსაჭიდს, საყრდენს ეძებს, რათა გადალახოს იმ ეპოქისა და იმ "გაურკვევლობის" ყველა სირთულე, დაბრკოლება, რომელშიც უწევს სიცოცხლე. ყურთბალიში, ანუ ამ შემთხვევაში - მოგონებები ბავშვობიდან კი, თავად ავტორის თქმით, მისი რომანის მთავარი პერსონაჟისთვის ერთადერთი ნუგეშია.

"ყურთბალიშის" თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს და თუ წინასიტყვაობის ავტორს, ანდრო ბუაჩიძეს დავესესხებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი თავისი არსების სიღრმეში აფიქსირებს გარე და შიდა მოვლენებს. სიმბოლოებით, რეფლექსებით სავსე ამ მცირე რომანში თითქმის ყველა პერსონაჟი ერთგვარი ფონია, რომლის წინაც მთავარი გმირის სახე და კონტურები იკვეთება. ხოლო ყველა სხვა წვრილმანი, საგანი თუ უბრალო ნივთი ახლო ხედითაა დახატული.

"გაციებისწინა ჟრუანტელი ფერდებში. თუკი შარდვისას გაციებისწინა ჟრუანტელი გივლის, გეჩვენება, რომ გრიპის ბაცილა გამოდევნე სხეულიდან და შენდაუნებურად ოპტიმისტი ხდები..." - სწორედ ასე იწყებს ავტორი თხრობას, ხოლო მთავარი გმირი - ცივ და სასტიკ ყოფიერებაში მოძრაობასა და "ბრძოლას."

გამომცემლობა "არეტეს" მიერ გამოცემული, მალხაზ ხარბედიას მიერ რედაქტირებული და ლევან ხერხეულიძის ფოტოთი (გარეკანზე) დამშვენებული ირაკლი სამსონაძის მცირე რომანი, XX საუკუნის მიწურულიდან დღევანდელობამდე პერიოდის ადამიანური განცდების მთელი ანთოლოგიაა, რომელშიც წინასიტყვაობის ავტორის, ანდრო ბუაჩიძის აზრით, მხოლოდ ერთი წერტილია, ერთი წითელი წერტილი "არა გამოგონილი, არა ფანტომური, არამედ ნამდვილი, ნაღდი, ეჭვშეუვალი. ეს არის ყურთბალიში, რომელიც წუნკალი ზამთრის "დვიჟოკების" ადადღანებულ ღამეებშიც ინარჩუნებს სიცოცხლის მომნიჭებელ ძალას."

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲡ ᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲑᲓᲜᲔᲜ

ბოდბეში რესტავრაცია დასრულდა და მუზეუმის მშენებლობა დაიწყო

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ბოდბეში ორწლიანი სარესტავრაციო სამუშაოები დასრულდა. ხანგრძლივი და ეტაპობრივი პროცესის უკანასკნელი ფაზა გუშინ მონასტერში თბილისელმა სტუმრებმა შეამოწმეს. "შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეს ტაძარი რესტავრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია", - ამბობდა როგორც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ისე სარესტავრაციო ჯგუფის ხელმძღვანელი.

2000 წელს, როდესაც ბოდბის ტაძარი წარადგინეს "მსოფლიო ძეგლთა ფონდის" პროგრამაზე ("მსოფლიო ძეგლთა ზედამხედველობა"), უცხოელებმა განაჩენი გამოიტანეს და საეკლესიო ნაგებობა მსოფლიოში ას უმნიშვნელოვანეს და საფრთხეში მყოფ ძეგლთა შორის 2002-2004 წლის ნუსხაში შეიტანეს. როგორც ამბობენ, სწორედ უცხოელთა ეს დასკვნა გახდა "სტიმული" ადგილობრივი საქმოსნებისთვის, რომ ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები დაწყებულიყო.

ბოდბის ტაძარს სხვადასხვა დროს ფრაგმენტულად უტარდებოდა რესტავრაცია: 70-იან წლებში გამოიცვალა იატაკი, მოგვიანებით - სახურავი და ა.შ. 90-იან წლებში აქ მიმდინარე მუშაობა "ქართული ეკლესიის კვლევის ფონდმაც" დააფინანსა. 2002 წლის ბოლოს კი (რაც ზემოხსენებულ განგაშის ზარის შემოკვრას მოჰყვა), დაიწყო ფართო სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ, ტაძარს ჩამოშორდა გვიანდელი უსახური ფენები და აღდგა ნაგებობის მხატვრულ-ისტორიული ფორმა, რაც ტაძარს მრავალი წლის განმავლობაში დაკარგული ჰქონდა. ამის მიზეზი კი ქვეყანაში მომხდარი ის კატაკლიზმები იყო, პირდაპირ რომ აისახებოდა ბოდბის მონასტერზე.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲔᲡᲘᲚᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ბოდბის მონასტერი ასე გამოიკურება დღეს რესტავრაციის შემდეგ.

ტაძრის ისტორიიდან: პირველი ტაძარი წმინდა ნინოს საფლავზე მეფე მირიანმა ააგო (მეოთხე საუკუნეში) და ვახტანგ გორგასალმა განაახლა; სამნავიან ბაზილიკად ტაძარი მერვე-მეცხრე საუკუნეებში ჩამოყალიბდა, როდესაც წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი აშენდა. შუა საუკუნეებში აქ აკურთხებდნენ კახეთის მეფეებს; თეიმურაზ პირველის კურთხევას შაჰ-აბასიც დასწრებია, თუმცა, არ გასჭირვებია, რამდენიმე წლის შემდეგ შეელახა ქართველთა სიწმინდე.

ბოდბის მონასტერი კიდევ ერთხელ მოიხატა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროისთვის აქ არსებობდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა. იყო სასწავლებელი, რომელშიც განათლებას იღებდნენ მომავალი საეკლესიო მოღვაწენი. არსებობს გადმოცემა, რომ მოქმედებდა მამათა მონასტერი (თუმცა, როგორც ამბობენ, ამის შესახებ ისტორიული წყაროები დუმს) და სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც საერო ლიტერატურასაც ასწავლიდნენ.

ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის ძალისხმევით 1832 წელს შეიმკო სავანე, მოიხატა ტაძარი და გაკეთდა კანკელი. გამორჩეული მხატვრობა - ტრადიციულისა და ევროპულის სინთეზი და კანკელი დღემდე შემორჩენილია. არქიმანდრიტმა (მე-19 საუკუნეში ბოდბეს არქიმანდრიტები განაგებდნენ) მაკარმა აქ გალობის სკოლა გახსნა; მის დროს დაიწყო სამსართულიანი სამრეკლოს მშენებლობა, რაც მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზ მიქელაძის წინამძღვრობისას დასრულდა. მე-19 საუკუნეში ცნობილმა მოღვაწემ მიხეილ საბინინმა წმინდანის საფლავის ქვა მარმარილოს ლუსკუმით შეცვალა; საბინინი იყო ბოდბეში დედათა მონასტრის გახსნის ინიციატორიც. მისი იდეა საუკუნის მიწურულს განხორციელდა, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ აქ დედათა მონასტრის გახსნა ბრძანა. ამჟამად მონასტერში 40-მდე მონაზონი, სამონაზვნე და მორჩილი ცხოვრობს; აქვთ საკუთარი მეურნეობა, ხატწერისა და ხელსაქმის სახელოსნოები, სანთლის საამქრო. უძველესი ხელნაწერების მიხედვით მზადდება და გამოიცემა საღვთისმსახურო წიგნები.

ბოდბის მონასტერში მიმდინარე უკანასკნელი სარესტავრაციო სამუშაოების დროს საეპისკოპოსო სასახლე აღმოაჩინეს. უფრო სწორად, აქამდე არსებობდა მხოლოდ იოანე მაყაშვილის წერილობითი წყაროები, რომლებშიც სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტი დაწვრილებით აღწერდა მის მიერ აშენებულ სასახლეს; ახლად გამოვლენილი სასახლე (მე-19 საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება) XIX-XX საუკუნეების მიჯნის ერთ-ერთ სამსართულიან სამონასტრო შენობაში იყო ჩაფლული. სპეციალისტების თქმით, ეს სასახლე საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი მაგალითია. საბჭოთა პერიოდში ამ ნაგებობაში ჯერ საავადმყოფო იყო გახსნილი, შემდეგ კი - მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამჟამად მონასტერში დაწყებულია მუშაობა (ბოდბის მონასტერს კერძო პირები და კომერციული ფირმები ეხმარებიან) და ყოფილ საეპისკოპოსო სასახლეს აქ სამუზეუმო სივრცედ გამოიყენებენ.

"ეს პროექტი შეიძლება ჩაითვალოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის პრეცედენტად", - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებს ამ განცხადების საფუძველს აძლევს პროექტზე საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოსთან თანამშრომლობა. ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, ბოდბის ტაძარზე მუშაობისას სამინისტრომ კოორდინაცია და რესტავრაციის მთავარი პრინციპების დადგენა აიღო საკუთარ თავზე. მინისტრის მოადგილე ამაყობს, რომ ერთობლივ პროექტში წონასწორობა დაცული და ყველა მხარის ინტერესი გათვალისწინებული იყო. პროექტის შედგენასა და სარესტავრაციო სამუშაოებში პროფესიონალთა მრავალდისციპლინარული ჯგუფი (ხელმძღვანელი არქიტექტორ-რესტავრატორი - ნიკო ზაზუნიშვილი) მონაწილეობდა.

ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲥᲝᲚᲒᲔᲑᲘ

ᲐᲒᲜᲘ ᲤᲝᲠᲩᲮᲣᲐ-ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

გალერეა "ჰობიში" გაიხსნა მხატვარ ელდარ ქავშბაიას ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით "დახურული ქოლგები", რომელიც 12 თებერვლამდე გასტანს.

ელდარ ქავშბაია 90-იანელთა წარმომადგენელია, მხატვართა იმ თაობისა, რომლის შემოქმედება თავის თავში იტევს თვითშემეცნების, საკუთარი ხმის დამკვიდრებისკენ სწრაფვას. მხატვრის ბოლო წლების ნამუშევრებში ნათლად ჩანს შემოქმედებითი თუ პიროვნული მეობა, მკაფიოდაა გამოკვეთილი დასრულებული, ჩამოყალიბებული მხატვრული სახეები, რომლებიც ლირიკულობით გამოირჩევიან.

მხატვარი აქტიურად და ინტენსიურად მონაწილეობს ჯგუფურ თუ პერსონალურ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

დახურული ქოლგები აფხაზეთის ლურჯი ზღვის ნოსტალგიაა. არცაა გასაკვირი - ხელოვანი აფხაზეთიდანაა და მის შემოქმედებაში მთელი სიმძაფრით არის არეკლილი მშობლიური სოხუმის, ზღვის ტალღებისა და აფხაზეთის ლაჟვარდოვანი ცის მონატრება. ამ მხრივ საინტერესოა ბოლო წლებში შექმნილი ტილოები: "სოხუმის ზღვა", "აკრძალული ქალაქი", "დახურული ქოლგები", "ცარიელი ქალაქი", "მიტოვებული პორტი", "სოხუმი", "მიტოვებული სანაპირო", "ჩაძირული გემი" და სხვა, რომლის დათვალიერებისას გულგრილი ვერ დარჩები, გიმძაფრადება სურვილი, კვლავ მიუბრუნდე ტილოებს, კიდევ ერთხელ დატკბე იმ ნაცნობი თუ ახლობელი ადგილების ხილვით, რაც მხატვარმა ოსტატურად და ემოციურად გადაიტანა ტილოზე. გამოფენილი ნამუშევრები მეტწილად მხატვრის პირადი ტკივილის, განცდისა და ემოციის თავისუფლების შედეგია.

ელდარ ქავშბაიას გამოფენა ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. შეამჩნევდით უამრავ ცნობილ სახეს, სოხუმელ ინტელიგენციას თუ ხელოვნების რიგით მოყვარულებს, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. იყო გულთბილი გამოსვლები, მილოცვები...

რეზო ადამია, მხატვარი: "ქავშბაია ძალინ ნიჭიერი მხატვარია. აქ წარმოდგენილი ნამუშევრები დაამშვენებდა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო გალერეებს. რაც დრო გადის, ელდარი თავის მეობას პოულობს. მის შემოქმედებაში კოსმიური სევდაცაა. გარეგნულად ტილოს მხიარული სახე თვალშისაცემია, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, ფიქრიცაა, სევდაცაა, ადამინური ტრაგედიაც. ღმერთმა ქნას, ელდარის მომავალი გამოფენები სოხუმში გვენახოს. მე დიდად მეიმედება ეს ახალგაზრდა მხატვარი".

რადიშ თორდია, მხატვარი: "ქავშბაია უაღრესად საინტერსო მხატვარია, რომელიც დახვეწილი ფერწერული ენით აზროვნებს. მე ძალიან მომწონს მისი შემოქმედება. აქ არ არის სიყალბე, ტილოებში აშკარად იგრძნობა, რომ ავტორი ფლობს სახვითი ხელოვნების ტექნიკას. მისი სახით ნიჭიერი მხატვარი გვყავს".

დიმა ჯაიანი, მსახიობი: "დღეს ნამდვილი დღესასწაულია ჩვენ თვალწინ. ეს გამოფენა ყოფილოყოს აფხაზეთში დაბრუნების საწინდარი"...

გურამ ოდიშარია, მწერალი: "თავისუფლება ზღვის საჩუქარია. ასეა ელდარის ნამუშევრებში. მხატვარმა მოკლე დროში მიაღწია დიდ წარმატებებს. რა თქმა უნდა, დიდი შრომის ფასად. ყველაზე მთავარი ქავშბაიას შემოქმედებაში აფხაზეთის სულის არდაკარგვაა".

დათო ანდრიაძე, ხელოვნებათმცოდნე: "ძალიან კარგი გამოფენაა. მხატვარს კარგი ხელწერა აქვს, საერთო კულტურა. მას კარგად აქვს ათვისებული ფერწერის ენა. ჩანს, კონცენტრირება შეუძლია. თავისუფლად მუშაობს. ვისურვებდი, ფერწერის ხარისხი კიდევ უფრო ამაღლებულიყოს".

ნოსტალგიური პათოსის მიუხედავად, დახურულ ქოლგებს მიღმა რომ იკითხება, მნახველს არ უჩნდება განცდა, რომ ელდარ ქავშბაიას ოცნების ქალაქისკენ გზა სამუდამოდ მოჭრილია და არასოდეს გაიხსნება. მისი ნამუშევრები შეიცავს იმედის გარკვეულ ინტონაციას, რაც ფერწერულ გადაწყვეტაშია საძიებელი. ეს გამოფენაც მრავალი ჩვენგანის ნანატრი ოცნების გაგრძელებაა, ოცნებისა, რომელიც აფხაზეთში დაგვაბრუნებს, ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრებას განაახლებს.

ᲕᲐᲣᲚᲝ ᲙᲝᲔᲚᲘᲝᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ



როგორ ანგრევ სიტყვით სხვის ცხოვრებას

მალბა ტაანი გვიამბობს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც გაუაზრებლად ნათქვამ სიტყვას მოაქვს:

ერთი ქალი დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ მისი მეზობელი ქურდია. ბოლოს ახალგაზრდა კაცი დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ გაირკვა, რომ ის უდანაშაულო იყო და გამოუშვეს, ქალი კი სასამართლოს წინაშე გაიყვანეს.

"სიტყვებით ვერავის მიაყენებ ზიანს", - უთხრა ბრალდებულმა მოსამართლეს.

"გასაგებია", - მიუგო მოსამართლემ, - "დღეს, როცა სახლში წახვალ, ფურცელზე ჩამოწერე ყველაფერი, რაც ამ კაცის შესახებ გითქვამს. მერე დახიე ქაღალდი, ქუჩაში გადი და გზაზე მიმოაბნიე. ხვალ მოდი და განაჩენს წაგიკითხავთ".

ქალმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მოსამართლემ დაავალა, მეორე დღეს კი სასამართლოში გამოცხადდა.

"მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიწყალებთ, თუ ფურცლის იმ ნაკუწების მოტანას შეძლებ, გუშინ რომ ქუჩაში დაფანტე. თუ არადა, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გელის", - ასეთი იყო განაჩენი.

"ეს ხომ შეუძლებელია! დახეული ფურცელი ქარმა გაფანტა სხვადასხვა მხარეს!" - სასოწარკვეთა დაეტყო ხმაში ქალს.

მაგრამ მოსამართლეს პასუხი ამ სიტყვებზეც მზად ჰქონდა:

"მართალი ხარ! ახლა ხომ მიხვდი, რომ, ამ ფურცლის ნაკუწების მსგავსად, ქარი შენს მიერ წარმოთქმულ თითოეულ სიტყვას ავრცელებს ყველგან, რომ ადამიანის რეპუტაციის განადგურება უიოლესი საქმეა. აქედან გამომდინარე, არც იმ ზიანის გამოსწორება შეიძლება, შენ რომ მიაყენე მეზობელს - ქარმა უკვე მოასწრო, შენი სიტყვები ყველა მიმართულებით წაელო".

ქალი ციხეში ჩასვეს.

ლეგენდა ჩრდილოეთ პოლუსიდან

ესკიმოსების ლეგენდის თანახმად, დედამიწის შექმნის პირველ დღეებში განსხვავება კაცსა და ცხოველს შორის თითქმის არ არსებობდა; დედამიწის ზურგზე ყველა ცოცხალი არსება ერთმანეთთან ჰარმონიულად ცხოვრობდა. მეტიც, თითოეულ მათგანს შეეძლო, სხვა ფორმა მიეღო, რათა უკეთ გაეგო მოყვასისთვის. მაგალითად, ადამიანი იქცეოდა თევზად, თევზი იქცეოდა ადამიანად და ყველანი ლაპარაკობდნენ საერთო ენაზე.

ლეგენდა ასე გრძელდება: "იმ დროში სიტყვებს ჯადოსნური ძალა ჰქონდათ, სულიერი სამყარო მიწას წყალობას არ აკლებდა. თითოეული სიტყვა საქმედ გარდაიქმნებოდა. საკმარისი იყო, გამოგეთქვა სურვილი, რომ მაშინვე აგისრულდებოდა.

შემდეგ ადამიანებმა სიტყვის ეს ძალა გაცვითეს. გამეფდა გაურკვევლობა, სიბრძნე კი მცდარი ინტერპრეტაციების ქაოსში დაიკარგა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამყაროს შექმნისდროინდელი ჭეშმარიტება მოისპო. ის კვლავაც არსებობს იმ ადამიანებისთვის, ვინც სიტყვას ძველებურად პატივს სცემს. მათთვის სიტყვები კვლავაც ჯადოსნურ ძალას ინარჩუნებენ და ოცნებებსაც რეალობად აქცევენ.

რთული დროება

კაცი ქუჩაში ფორთოხალს ყიდდა. მან კითხვა არ იცოდა და ამიტომ პრესასაც ვერასდროს ეცნობოდა. თუმცა, რა პრესა, ტრაფარეტებისთვის პატარა ნიშნებსაც ძლივს წერდა. ის მთელ დღეებს ქუჩაში ატარებდა და ფორთოხლის ქებაში გაჰყავდა დრო.

ხალხი გემრიელ ხილს ყიდულობდა. კაცი მალე გამდიდრდა. მოგებული ფულით კიდევ უფრო მეტი ტრაფარეტი დაამზადა და კიდევ უფრო მეტი ხილის გაყიდვა დაიწყო. საქმე უკვე ფეხზე ჰქონდა დაყენებული, როცა სტუმრად შვილი ჩამოუვიდა - დიდ ქალაქში განათლებამიღებული.

"ბრაზილია საშინელ დღეშია, მამა. ეკონომიკაში კრიზისმა დაისადგურა", - წუხდა ის.

შვილის სიტყვებმა ფორთოხლის გამყიდველიც შეაშფოთა. თან ისე, რომ წელში გამართულ, აყვავებულ ბიზნესს თავი ანება და წვრილმანი ნივთების გაყიდვა დაიწყო. გაყიდვის მაჩვენებელმა უმალ იკლო. მოგება შემცირდა.

და კაცმაც დაასკვნა: "ჩემი შვილი მართალია. ნამდვილად ცუდი დროებაა".

ინსტრუქციების სახელმძღვანელო

ქალმა ბოსტნეულის გასაფცქვნელი ახალი მოწყობილობა იყიდა, მაშინვე ინსტრუქცია გადაიკითხა, მაგრამ დანადგარი მაინც ვერ აამუშავა. ბოლოს ისე დაიღალა, რომ მაგიდაზე მიმოფანტული ნაწილები იქვე მიატოვა და მოწყობილობას თავი დაანება. ბაზარში წავიდა. შინ დაბრუნებულმა ნახა, რომ მოახლეს მანქანა აემუშავებინა.

"როგორ მოახერხე?" - ჰკითხა გაკვირვებულმა.

"რადგან კითხვა არ ვიცი, იძულებული გავხდი, საკუთარ გონებას მივნდობოდი", - იყო პასუხი.

ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.

ინფორმაცია

"არსენალის" მეკარეებს დაძაბული ურთიერთობა აქვთ

ინგლისური კლუბის "არსენალის" მეკარე მანუელ ალმუნია გუნდში თავის პარტნიორსა და ასევე კონკურენტთან, "მეთოფეთა" მეკარე ლემანთან დალაპარაკებას აპირებს. როგორც ცნობილია, ამჟამად გუნდის ნომერ პირველი ალმუნია გახლავთ, თუმცა, ლემანი დაჟინებით აცხადებს, რომ ის გაცილებით უკეთესია და თამაშსაც იმსახურებს. როგორც ხედავთ, ლემანმა ამ განცხადებით ეჭვქვეშ დააყენა ალმუნიას პროფესიონალიზმი. "დაზარალებულმა" მეკარემ "ბრალმდებელს" ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

"ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ და გვესმის ის, რასაც ვამბობთ ხოლმე. არ შეიძლება, სიტყვები უბრალოდ ქარს გაატანო. მე არასოდეს ვიტყოდი, რომ ლემანზე უკეთესი ვარ და ამიტომ უნდა მათამაშოთ-მეთქი. ვფიქრობ, სწორედ ასეთი კომენტარები მიუთითებს არაპროფესიონალიზმზე," - განაცხადა შეუარცხყოფილმა მეკარემ.

მორიენტესი ინგლისში გადასვლით კმაყოფილია

ინგლისური კლუბის "ლივერპულის" თავდამსხმელმა ფერნანდო მორიენტესმა განაცხადა, რომ, ბოლოს და ბოლოს, შეეგუა ახალ გუნდს და მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილია.

დღესდღეობით მას "ლივერპულის" შემადგენლობაში ორი მატჩი აქვს ჩატარებული.

"ახალ გუნდთან შეგუება ცოტათი გამიჭირდა, მაგრამ ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ახალ ქვეყანაში ბევრ სიახლეს გავიგებ. ჩემი მეუღლე სახლს და ბავშვებისთვის სკოლას ეძებს. გარდა ამისა, კმაყოფილი ვარ "ლივერპულის" ორგანიზებულობით. ენობრივი ბარიერი საერთოდ არაა ჩემთვის პრობლემა. გამიმართლა, რომ მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ესპანელია, რომელიც კარგად ლაპარაკობს ინგლისურად. თავიდან ზოგიერთმა რამემ ძალიან გამაოცა. მაგალითად, ვარჯიშს მაყურებელი და პრესა არ ესწრება. ამიტომ სავარჯიშო მოედნის დატოვება პრობლემა არ არის," - განაცხადა მორიენტესმა.

კანტონა დარტყმას არ ნანობს

ინგლისური კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდამ ფრანგმა ერიკ კანტონამ აღიარა, რომ არ ინანიებს ათი წლის წინათ ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს მომხდარ ინციდენტს. შეგახსენებთ: "კრისტალ პალასის" გულშემატკივრების მიერ შეურაცხყოფილი ფორვარდი ტრიბუნაზე ავიდა და აღმოსავლური ორთაბრძოლის ილეთი გამოიყენა - ერთერთს ფეხი ჩაარტყა.

"არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ თუ იგივე კიდევ ერთხელ დამემართება, უკან არ დავიხევ და საქციელს გავიმეორებ. ჩვენი ცხოვრების ყოველი ეპიზოდი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე - ადამიანებზე, რომელთაც ვხვდებით, იმაზე, რასაც ისინი მოცემულ მომენტში აკეთებენ. ერთ დღეს შეურაცხყოფას გადაყლაპავ, თუმცა, ძნელია, მეორედაც იგივე გააკეთო. აი, იმ დღეს უკვე გავბოროტდი," - განაცხადა კანტონამ.

კაკა "მილანს" ვერ თმობს

იტალიური კლუბის "მილანის" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა, ახლახან 2004 წლის იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად და ასევე საუკეთესო ლეგიონერად აღიარებულმა კაკამ განაცხადა, რომ სურვილი არა აქვს, გადავიდეს ლონდონის "ჩელსიში", კლუბში, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიანაა მისით დაინტერესებული.

"ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ყიდვა "ჩელსის" უნდა. სასიამოვნოა, როცა ასეთი პოპულარული ხარ, როცა შენზე ასეთი მოთხოვნაა საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა, დღეს "მილანში" ვთამაშობ და, შესაბამისად, ეს კლუბი ჩემი სახლიცაა. რა მოხდება, "ჩელსიმ" რომ წარმოუდგენელი რამ შემომთავაზოს? ამ შემთხვევაში არჩევანის უფლებას მივცემ ჩემს ახლანდელ გუნდს. პირადად მე "მილანში" თამაში მირჩევნია, რადგან იტალიაში დიდი პატივისცემით ვსარგებლობ," - განაცხადა ფეხბურთელმა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

ვერისბაღელები

ორი თაობა

"ჩვენ კაცებად ვერის ბაღში ჩამოვყალიბდით"

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

რუბრიკის დღევანდელი სტუმრები - ელგუჯა ბერძენიშვილი და ვალერი კობახიძე გვიამბობენ, თუ როგორ ეზიარებოდნენ ვერისბაღელები თავის დროზე, ინფორმაციული სიმწირის წლებში უცხოურ ფეხბურთს; როგორ იზრდებოდა ვერის ბაღში ახალგაზრდა ფეხბურთელებისა და გულშამატკივრების თაობა; და რატომ იყო ვერისბაღელების უმრავლესობა სამხრეთამერიკული ფეხბურთის თაყვანისმცემელი.

ვალერი კობახიძე: "იმ წლებში საერთაშორისო თამაშებს ან საერთოდ არ გადმოსცემდნენ, ან - ძალიან შეზღუდული რაოდენობით. არადა, ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებდა; უცხოური ჟურნალი ჩაგვივარდებოდა ხელში, თუ უცხოურ რადიოარხზე წავაწყდებოდით რაიმე ახალ ინფორმაციას, ბაღში ერთმანეთს ვუამბობდით და ვცდილობდით, ყველაფრის საქმის კურსში ვყოფილიყავით.

ერთხელაც ნაცნობმა ფიზიკოსებმა გვითხრეს, - პანტიანის მიდამოებში საზღვარგარეთულ არხებს აუცილებლად დაიჭერსო; და მერე უნდა გენახათ პანტიანის მიმდებარე მინდვრები - რამდენიმე სხვადასხვა ადგილას აკუმულატორებზე მიერთებული პატარა ტელევიზორები - "იუნოსტი" რომ იყო; თითო ტელევიზორთან მანქანის "სიდენიებზე" მოკალათებული 50-50 კაცი... და მერე, რა თქმა უნდა, განხილვები ვერის ბაღში".

ელგუჯა ბერძენიშვილი: "მოსკოვშიც ჩავდიოდით ნაკრებების თამაშებზე. მახსოვს, ბრაზილიის ნაკრებს ამხანაგური შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან და ცოცხალი პელე პირველად იქ ვნახეთ. მანამდე რადიორეპორტაჟებს ვისმენდით და ვიცოდით, რომ ძალიან მაგარი იყო. წინა დღეს ბრაზილიის ნაკრები "ლუჟნიკის" სტადიონზე ვარჯიშობდა. ვარჯიშზე დასწრების იმედი არ გვქონდა, სულ გისოსებით იყო შემოღობილი იქაურობა, მაგრამ მაინც მივედით. ერთი კუდაშვილი გვყავდა - მეგობარი, იმ გისოსებს იმდენი უკირკიტა, გააღო და შევცვივდით ქართველები, ერთი ასი კაცი; თან ყველას ერთნაირი იტალიური საწვიმარები გვაცვია. ვიღაც რუსმა თქვა, - ალბათ, იტალიელების დელეგაციაააო. "Ты что, это же кацошки"! - გვიცნო უცბად მეორე რუსმა და იხუვლა სტადიონისკენ უამრავმა რუსმა. ატყდა ერთი ამბავი. ბოლოს თვითონ ბრაზილიელებმა გვიშველეს, - რატომ აწვალებთ ამ ხალხს, შემოუშვით, დაესწრონ ვარჯიშსო. და მთელი აღმოსავლეთის ტრიბუნა გაშავდა. რაც მე იმ დღეს იქ ვნახე, არასოდეს დამავიწყდება - ბრაზილიელები მოთეღვას აკეთებდნენ და ეს ყველაფერი ნამდვილ კარნავალს ჰგავდა. აი, ძველ ბერძნულ ღარნაკებზე რომ გინახავთ ცეკვაში გამწკრივებული ფიგურები... უცბად ტაში ატყდა და ვხედავ, მოედანზე შავი კენტავრივით გამოვიდა პელე. სტადიონი აყვირდა, დაყვირდა, ის კიდევ წყნარად მიუახლოვდა მოედნის ერთ ბოლოში მდგომ მწვრთნელს და ლაპარაკი გაუბა. ამ დროს ჯალმა სანტოსმა, - პელე, პელეო, - დაუძახა და ბურთი მოედნის ერთი ბოლოდან, ლამის მეორე ბოლოში მისკენ გაგზავნა. პელეს ბურთი უკნიდან კეფაზე მოხვდა; საუბარი არც კი შეუწყვეტია, ბურთი ისე მიიღო, უზუსტესი პასი მიაწოდა რომელიღაც თანაგუნდელს და ისევ ლაპარაკი განაგრძო...

ბარქაიამ უყურა, უყურა და, - ამათთან თამაში არ შეიძლებაო, - თქვა(სხვათა შორის, იმის მერე მალე მართლა თავი დაანება ფეხბურთს).

პელეს წინაშე, ბუნებრივია, ყველა ძალიან ღელავდა. მარტო სიჭინავა იყო არხეინად. ჰოდა, დაავალეს კიდეც, - პელე შენ უნდა დაიჭიროო. მერე ყვებოდა ჟორა:" მაგას რა დამაჭერინებდა, მატარებელი რომ ბოძებს ჩაუქროლებს, ისე დარბოდა; ავდექი და, პელეს დაჭერის მაგივრად, მე ჩემი თამაში შევუბერეო". სხვათა შორის, ბრაზილიელებმა შეაქეს, - რა გვარია, ძალიან კარგად ითამაშაო...

იმ თამაშზე მაყურებელმა გარინჩას გამოყვანაც მოითხოვა და ბოლო ხუთი წუთი მართლა გამოიყვანეს"...

ვალერი კობახიძე: "მერე ბექა ყაზაიშვილმა ავტოგრაფები ჩამოართვა მთელ ბრაზილიის ნაკრებს. გარინჩასთან რომ მივიდა, პელეს და მთელ ვარსკვლავებს უკვე მოწერილი ჰქონდათ ხელი და ხელმოსაწერი ადგილი სადღაც ქვემოთ იყო დარჩენილი. გარინჩას ფურცლის სულ ზედა ნაწილში ძალიან პატარა ადგილი ამოურჩევია და ხელი იქ მოუწერია"...

ელგუჯა ბერძენიშვილი: "ბაღის წარმომადგენლობიდან გიგლა ფირცხალავა გვყავდა, რომელიც ასეთი თამაშების მერე ბანკეტებსაც ესწრებოდა და იმ თამაშის შემდეგ რესტორან "პეკინშიც" მოხვდა. გიგლასგან გავიგეთ, პელეს უთქვამს, - ჩემი ერთადერთი სასმელი რძეა, სხვა სასმელი ჩემთვის არ არსებობსო".

ვალერი კობახიძე: "ამათ თაობას პელეც კარგად ახსოვს და მარადონაც. ჩვენ თაობას მარადონა უფრო მეტად ახსოვს. შეიძლება, ამიტომაც იყო, რომ ზოგიერთ ჩვენგანს მარადონა უფრო მოსწონდა".

" არა, მარადონა ჩვენი თაობის ბევრ გულშემატკივარსაც ერჩივნა", - ჩაურთო **ელგუჯა ბერძენიშვილმა**.

ვალერი კობახიძე: "მარადონისტებს არგუმენტად ის გვქონდა, რომ პელეს, თითქმის, ყველა თანაგუნდელი თავისი რანგის ჰყავდა - უძლიერეს პარტნიორებთან ერთად უწევდა თამაში. მარადონას ასე არ გაუმართლა - მსოფლიო ჩემპიონატები მარტოს აქვს მოგებული; რომ აღარაფერი ვთქვათ "ნაპოლიზე", რომელიც ჩემპიონი გახადა; არც მანამდე და არც იმის მერე "ნაპოლის" ისეთი თამაშები არ უჩვენებია".

ელგუჯა ბერძენიშვილი:"საერთოდ, ბაღელების დიდ ნაწილს სამხრეთამერიკული ფეხბურთი გვხიბლავდა თავისი დინამიური, შემოქმედებითი ხასიათით. ჩვენს წარმოსახვაში ქართველებს მხოლოდ ამ ტიპის ფეხბურთი შეიძლებოდა ეთამაშათ - ქართულ ხასიათს ასეთი ფეხბურთი უფრო შეესაბამებოდა. თუმცა, გერმანული და ინგლისური ფეხბურთის თაყვანისმცემლებიც გვყავდა"...

ვალერი კობახიძე:" და იყო ერთი ამბავი, კამათი - იცით, რა ყაყანი იდგა? ერთი კაცი მეორეს კი არ ეკამათებოდა, ორმოცდაათკაციანი თანამოაზრეთა ჯგუფები იყო. არა, უმეტესად ერთმანეთს ვუსმენდით კიდეც, მაგრამ ღირსშესანიშნავ მომენტებში ეს ორივე ჯგუფი ერთად რომ ახმაურდებოდა, ვერის მოსახლეობას ძილი უფრთხებოდა..

ერთხელ ერთმა ბაღელმა გულშემატკივარმა აიჩემა, - "ფიორენტინაში" დევიდ პლატი რომ თამაშობს, ძალიან მაგარიაო. ლევან ჭაჭიაშვილი ეკითხება, - ამიხსენი, რითია მაგარი ეგ შენი პლატიო. აი, სანამ ბურთს მიიღებს, სულ პირჯვარს იწერსო. ბოშო, - უთხრა ლევანმა, - პირჯვრის წერაზე თუა ფეხბურთელობა, დედაჩემი შუშიკო, სულ ცოტა, შუმახერი (გერმანიის ნაკრების მეკარე იყო) გამოდისო".

ელგუჯა ბერძენიშვილი: "ევროპელი ფეხბურთელებიდან კრუიფის ეპოქაც ხომ გვქონდა"...

ვალერი კობახიძე: "უჰ, კრუიფის სანახავად კარპატებში წავედით ორი მანქანით - უჟგოროდში. იქ იჭერდა იუგოსლავიას და ჩეხეთს. ერთ მანქანაში ვისხედით მე, "ბელადი" და დათო ყიფიანი (მსოფლიო ჩემპიონატის გამო, ჩვენს გუნდებს არდადეგები ჰქონდათ). მე და ყიფო საჭესთან ერთმანეთს ვცვლიდით, "ბელადი" თვალ-ყურს გვადევნებდა, რომ სიჩქარისთვის არ გადაგვეჭარბებინა; ხანდახან მაინც ავაჩქარებდით ხოლმე და ძალიან გვტუქსავდა, ვერაფერს ვერ ვაპარებდით".

"არ გაგიჟდნენ უკრაინელები, ამსიშორეს ფეხბურთის გამო რამ ჩამოგიყვანათო?" - სიცილით ჩაერთო **ელგუჯა ბერძენიშვილი.**

ვალერი კობახიძე: "უკრაინელები რას იფიქრებდნენ, ვის ადარდებდა - "ბელადი" მთელი გზა "ამუშავებდა" ყიფიანს, ჩვენ ახლა საგანგებოდ კრუიფის სანახავად მივდივართ, კარგად დააკვირდი მის თამაშს და დაიმახსოვრე, შენც ამ ამპლუის და კატეგორიის ფეხბურთი უნდა ითამაშოო (დათო მაშინ მკვეთრად გამოხატული ფორვარდის ადგილას თამაშობდა). მაშინ მართლაც ძალიან ბევრი თამაშის ნახვა მოვახერხეთ კრუიფის მონაწილეობით - იუგოსლავია და ჩეხეთი სხვადასხვა დროს გადმოსცემდნენ თამაშებს და ზოგიერთ მატჩს ორ-ორჯერაც ვნახულობდით.

იქიდან ჩამოსულებმა "დინამოს" ლესელიძეში ჩავკითხეთ შეკრებაზე და კარგად მახსოვს, როგორ დასეირნობდნენ სტადიონის მიდამოებში ხელიხელგაყრილი ნოდარ ახალკაცი და ჩვენი "ბელადი". დარწმუნებული ვარ, იმ დროს ქართლოსი თავის იდეას, ყიფიანის ცენტრში გადასვლასთან დაკავშირებით, ახალკაცს უზიარებდა. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ხანში და, ვერის მოსახლეობას ძილი უფრთხებოდა..

ელგუჯა ბერძენიშვილი: "ახალკაცი ძალიან ნიჭიერი კაცი იყო - სხვის აზრსაც პატივს სცემდა. თუმცა, უთანხმოებებიც გვქონია"...

"ალბათ, ეს ბედი ყველა კარგმა მწვრთნელმა გაიზიარა, - ჩაერთო **ვალერი კობახიძე**,- მენოტი მოხსნეს, ფეოლას სახლი დაუწვეს, ანდრო ჟორდანია ორჯერ მოხსნეს...

ისე, ჩვენს თაობას უფროს-უმცროსობის და ყურის გდების კულტურაც ბაღში ჩამოგვიყალიბდა. თავიდან ბაღში სიარული რომ დავიწყეთ, რამდენიმე წელი მარტო ამათ ვუსმენდით; მერე ნელ-ნელა ჩვენც დავიწყეთ ჩვენი აზრების გამოთქმა და გვისმენდნენ. ერთხელ ერთი ახალგაზრდა ბიჭი შემოგვეჩვია - მეგრული აქცენტი ჰქონდა და უფროსებს თამამად ეკამათებოდა. მახსოვს, ერთმა უფროსმა ბაღელმა უთხრა, - შვილო, სადგურიდან რომ გამოხვედი, ჯერ ხომ მუშტაედის ბაღი შეგხვდა, იქ რატომ არ შეჩერდიო."

ელგუჯა ბერძენიშვილი: "მუშტაედის ბაღსაც ჰყავდა თავისი გულშემატკივრების გუნდი, მაგრამ ვერისბაღელებს უფრო მაღალ დონეზე გვქონდა პრეტენზია.

ერთხელ ჩვენი მეგობარი, ბაღელი - "გერსიკა" ოდესაში მოხვდა და თურმე დერებასოვსკაიაზე იქაურ გულშემატკივრებს ედავებოდა რაღაც საკითხზე; მერე გვიამბობდა: "არგუმენტები რომ გამომელია, მოვიტყუე, - я точно знаю, я вождь грузинских болельщиков - მეთქი. უცბად ჯგუფს ერთი ოდესელი გამოეყო და შემომიტია, - врешь сука, я его видел, он усатый и черный - ო".

ვალერი კობახიძე: ჩვენი "ბელადი" ძალიან ავტორიტეტული იყო; თან -გამოუსწორებელი რომანტიკოსი. ზოგჯერ ისეთ რაღაცებს გვიმტკიცებდა, ახლა სიცილად არ გვყოფნის. მაგრამ, მაშინ ისე გვარწმუნებდა, ისეთ ურყევ არგუმენტებს მოიხმობდა, ვუჯერებდით. მახსოვს, ერთხელ 35-ე სკოლის ეზოში გასართობად ვთამაშობდით. "ბელადი" მსაჯად დავნიშნეთ; ქართლოსი ლამაზ გადაცემებს და ჭკვიანურ კომბინაციებს ეთაყვანებოდა. ჰოდა, იმ დღეს ერთი ასეთი დიდებული კომბინაციის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა - მოკლედ, გოლი არ გავიდა, მაგრამ ქართლოსმა მაინც ჩათვალა, - ფეხბურთი ეს არის, რამდენიმე სანტიმეტრს რა მნიშვნელობა აქვსო.

ეს ხუმრობით. ისე კი, ჩვენი თაობა ამ უფროსი ვერისბაღელების მადლიერნი ვართ, იმიტომ, რომ მათ მაგალითებზე გავიზარდეთ. ჩვენს ბაღში მართლაც საუკეთესო პიროვნებები იყრიდნენ თავს. ჩვენ კაცებად ვერის ბაღში ჩამოვყალიბდით - უფროსების წყალობით, ბევრი კარგი რამ ვისწავლეთ და ბევრ ცუდს ავცდით."

"დინამოს" პირველი კვიპროსული "ქულა"

მიხეილ აბაიშვილი

უკვე ერთი კვირაა, კვიპროსის ქალაქ აიანაპაში გრძელდება თბილისის "დინამოს" საწვრთნელი შეკრება. გუშინ "დინამომ" მორიგი ამხანაგური სპარინგმატჩი გამართა და, როგორც იქნა, დადებით შედეგსაც უწია. მართალია, ნულოვანი ფრე მაინცდამაინც თვამოსაწონებელი არ არის, მაგრამ დამარცხებას ნამდვილად სჯობს (წინა ორ მატჩში "დინამო" დამარცხდა. ჯერ სერბიის ჩემპიონატის ლიდერთან "ცრვენა ზვეზდასთან" - 1:5, შემდეგ კი რუსეთის ქვედა დივიზიონის გუნდთან, ვლადივოსტოკის "ლუჩ ენერგიასთან" - 2:3).

გუშინ "დინამოს" რანგითაც და კლასითაც გაცილებით უკეთესი მეტოქე ჰყავდა, ვიდრე "ლუჩ ენერგიაა". იუგოსლავიის "სარტიდი" ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. მას ევროტურნირებში თამაშის გამოცდილებაც აქვს. ასე რომ, მასთან მიღწეული ფრე წარმატებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

დინამო - სარტიდი 0:0

დინამო: ზოიძე, კაშია, ჭელიძე, სილაგაძე, ხმალაძე, ნოზაძე, გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი (მახარაძე, 50`), ქუცურუა, დვალიშვილი, დვალი.

ფრე კიდევ იმიტომაა კარგი შედეგი, რომ გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა უმეტესობა დაასვენა და ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის შანსი. ჭიჭვეიშვილი, სილაგაძე, კანდელაკი, კანკავა, ნემსაძე, კვირკველია, რომერო, კაკალაძე და მელქაძე შეცვლაზეც კი არ გამოჩენილან. ამის მიუხედავად, უახლოეს რეზერვად შეგულებულმა ფეხბურთელებმა თავი არ შეირცხვინეს. მართალია, რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი ვერ გამოიყენეს, მაგრამ საკუთარი კარი "მშრალად" შეინახეს. მატჩის შედეგით არც გეგუჩაძე დარჩენილა უკმაყოფილო, რაც მისი კომენტარიდანაც ჩანს.

"დაძაბული ბრძოლა იყო. ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მეტოქეს არაფერში დაუდეს ტოლი. არაერთხელ მითქვამს, რომ ასეთი სპარინგმატჩი, პირველ რიგში, გამოცდილების შეძენის თვალსაზრისითაა სასარგებლო. მით უმეტეს, რომ დღეს "დინამოს" შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელები გავამწესე, რომლებსაც საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის დიდი პრაქტიკა არა აქვთ. მართალია, გოლი ვერ გავიტანეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: საწვრთნელ შეკრებაზე შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ", - განაცხადა თამაშის შემდეგ გეგუჩაძემ.

დღეს "დინამო" კიდევ ერთ ტესტმატჩს გამართავს. ამჯერად მისი მეტოქე იქნება კვიპროსის უმაღლესი დივიზიონის წარმომადგენელი, ლიმასოლის "აელი". დასკვნითი თამაში კი გაიმართება 29 იანვარს, რომელშიც "დინამო" რუმინეთის "არჯეშ რომანიას" შეხვდება. "დინამო" 30 იანვარს დაბრუნდება თბილისში.

"24 საათი" მადლობას უხდის "დინამოს" პრესატაშეს ლევან საღუქვაძეს, რომელიც კვიპროსიდან ინფორმაციის მიღებაში დაგვეხმარა.

ინფორმაცია

ხუანფრანი მადრიდში რჩება

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა ხუანფრანმა კონტრაქტის ვადა კლუბთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა. იგი "სანტიაგო ბერნაბეუზე" 2008 წლამდე დარჩება.

სამხრეთაფრიკული რეკორდული დუბლი

სამხრეთაფრიკელმა მოცურავემ რიკ ნიტლინგმა მოსკოვში მიმდინარე მსოფლიო თასზე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე მსოფლიოს რეკორდი - 52,01 დაამყარა.

ნიტლინგმა მოსკოვში მის მიერვე ბერლინის მსოფლიო თასზე შაბათს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი - 51,11 გააუმჯობესა.

"რენოში" კარგი წინათგრძნობაა

ფრანგული საჯინობოს პირმშოს "რენოს" ახალი ბოლიდის R25 ტესტირებისას, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულმა ტექნიკურმა პრობლემებმა იჩინა თავი, არანაირი გავლენა არ უქონია სამეფო რბოლების ბინადართა ტექნიკური პერსონალის გუნებაგანწყობის გაფუჭებაზე. როგორც "რენოს" მთავარი ინჟინერი პეტ სიმონდსი ირწმუნება, მანქანას უდიდესი პოტენციალი აქვს.

"ყოველთვის ოპტიმისტი უნდა იყო, მაგრამ უმჯობესია თუ ოპტიმიზმს საფუძველიც აქვს", - ვითარებაში გვარკვევს სიმონდსი. კარგი წინათგრძნობა მაქვს. დარწმუნებული ვარ ნებისმიერ პრობლემას გავუმკლავდებით.

სიმონდსი დარწმუნებულია, რომ R25 წინამორბედზე უკეთესი იქნება, თუმცა: "ჯერჯერობით ლაპარაკი იმისა, რომ სხვაზე უკეთესები ანაც სუსტები ვართ ნაადრევია. მაგრამ ყველანაირი მიზეზი მაქვს იმისა, რომ ვიყო დარწმუნებული: ჩვენ ადრეულთან სედარებით ძლიერები ვიქნებით. კმაყოფილი ვარ მრბოლელებითაც და იმითაც რომ გუნდი სტაბილურია".

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 27 იანვარი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნიცა" - "ლილი"
14:00 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "რეალი" - "დინამო" (უკრაინა)
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 "2:1" - ტოქშოუ
17:10 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ასტონ ვილა"
19:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "იუვენტუსი" - "ბავარია"
22:45 თავისუფალი დარტყმა
23:00 "FUTBOL MUNDIAL"
23:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. "პალმეირასი" - "ინტერნასიონალი"
01:15 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

НТВ+ПЛЮС
10:00, 13:00, 16:15 პრესცენტრი
10:20, 20:50 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 "ჰოკეი-პლუს"
11:00 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. რუსეთი - ჩეხეთი
12:15 "სპორტისიმო"
13:15 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი მოსკოვში
16:30 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი
17:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ერთეულთა ნახევარფინალები. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 "მოტოვებული კვირა"
21:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:15 "ჰოკეი-პლუს"
22:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ერთეულთა ნახევარფინალი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

EUROSPORT
07:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
09:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი
11:15 მულტისპორტი
11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი
15:00 სკელეტონი. მსოფლიო თასი შვეიცარიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:30 სკელეტონი. მსოფლიო თასი შვეიცარიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ახალი ამბები
02:15 თავისუფალი ბრძოლა

ჩოგბურთი

უკანასკნელი იმედი

ჰიუიტმა და ნალბანდიანმა ერთმანეთს სიქა გააცალეს.

ალისია მოლიკის დამარცხების შემდეგ, ჩოგბურთის ავსტრალიელ ქომაგებს ერთადერთ იმედად ტურნირის მესამე ნომერი ლეიტონ ჰიუიტი რჩებათ. ჰიუიტი აშკარად კარგ ფორმაშია და, შეიძლება ითქვას, ნახევარფინალურ ეტაპამდე ყველა მეტოქეს მთელი თავით აღემატებოდა. ყოველ შემთხვევაში, ავსტრალიელს მელბურნის კორტებზე გადაულახავი დაბრკოლება ჯერ არ შეხვედრია.

ჰიუიტი არგენტინელ დავიდ ნალბანდიანთანაც დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მისი უპირატესობა დებიუტშივე გამოიკვეთა და მატჩიც ისე წარიმართა, რომ ეს უპირატესობა ავსტრალიელს ხელიდან არ გაუშვია. პირველი სეტი ჰიუიტმა - 6:3 მოიგო. მან სეტის შუაგულში მეტოქეს მოწოდება აართვა და პარტიაც გამარჯვებით დააგვირგვინა. მეორე სეტი კი ტურნირის მესამე ნომერმა კიდევ უფრო დიდი უპირატესობით მოიგო. მან არგენტინელს ორი მოწოდება აართვა და საბოლოოდ - 6:2 გაიმარჯვა. ამგვარი უპირატესობის მიუხედავად, მათმა დაპირისპირებამ ხუთ სეტს გასტანა, რადგან მომდევნო ორში ნალბანდიანმა გამოიღო ხელი - 6:1, 6:3. აშკარა იყო, რომ არგენტინელი იოლად არაფერს დათმობდა, რადგან გადამწყვეტ სეტში მასპინძელს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს - 8:10. ერთი სიტყვით, ავსტრალიელისა და არგენტინელის მატჩი ოთხ საათსა და ხუთ წუთს გაგრძელდა.

ჰიუიტს განსაკუთრებული პრობლემა არც შემდგომში შეჰქმნია და მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. ნახევარფინალში ავსტრალიელი შეხვდება ამერიკელ ენდი როდიკს, რომელმაც იოლად დაძლია რუსი ნიკოლაი დავიდენკოს წინააღმდეგობა. დავიდენკოსა და როდიკის მატჩის თაობაზე სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ რუს ჩოგბურთელს ფიზიკურმა მდგომარეობამ უმტყუნა, რის გამოც მატჩი დროზე ადრე შეწყდა. დავიდენკომ მესამე სეტში (რომელსაც - 1:4 აგებდა) გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა თამაში.

დავიდენკო ავსტრალიის ღია ჩემპიონატისთვის კარგ ფორმაში იყო. ტურნირის 26-ე ნომერმა ამის დასტურად რამდენიმე გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ მერვედფინალში, არგენტინელ გილიერმო კანიასსთან, მუცელში აუტანელი ტკივილი იგრძნო. მატჩის შემდეგ განაცხადა კიდეც, სამ სეტში რომ არ მომეგო, ალბათ თამაშს შევწყვეტდიო. რუსისთვის სამწუხაროდ, ეს ტკივილი დროებითი მოვლენა არ აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ მეოთხედფინალში ენდი როდიკის წინააღმდეგ ბრძოლა არ გამოვიდა.

მეორე სეტის დასაწყისში როდიკმა მეტოქის მოწოდება მოიგო. ამ დროს დავიდენკომ კორტზე ექიმს უხმო. ჩოგბურთელი თავის ტკივილსა და სუნთქვის პრობლემებს უჩიოდა. ექიმებმა ივარაუდეს, რომ დავიდენკოს შეიძლება მზის დარტყმა მიეღო. ამიტომ ურჩიეს, სპეციალური ჟილეტი მოერგო. ამან, როგორც ჩანს, დროებით უშველა - კორტზე დაბრუნებულმა დავიდენკომ მყისვე აიღო როდიკის მოწოდება. შემდეგ მას საკუთარიც მიაყოლა და მდგომარეობა გამოასწორა.

ანგარიში 5:4 იყო როდიკის მოწოდებაზე, როცა დავიდენკოს სეტ-ბოლი ჰქონდა, მაგრამ ამერიკელმა მოახერხა ამ საფრთხის მოგერიება და გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა. შემდგომში დავიდენკოს მოწოდებაც აიღო და მეორე სეტიც როდიკის გამარჯვებით დასრულდა - 7:5. მესამე სეტში დავიდენკომ კვლავ იგრძნო ტკივილი. მას შემდეგ, რაც კიდევ ერთი საკუთარი მოწოდება დათმო, გადაწყვიტა, თამაში შეეწყვიტა. ენდი როდიკმა ვადამდე მოიგო მატჩი - 6:3, 7:5, 4:1 და ნახევარფინალში გავიდა.

ქალთა ნაწილში ტურნირს გამოეთიშა უკანასკნელი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ალისია მოლიკი. მან მსოფლიოს პირველ ჩოგანს ამერიკელ ლინდსი დევენპორტს დაუთმო ნახევარფინალის გზა. მოლიკმა ისედაც გმირობის ტოლფასი საქმე ჩაიდინა, როცა მეოთხედფინალში გავიდა და გზად ვინუს უილიამსი დაამარცხა, - ემადლიერებიან ავსტრალიელ ჩოგბურთელს თანამემამულეები.

თავის მხრივ, დევენპორტმაც აღიარა, რომ მას ფორტუნამ გაუღიმა და სწორედ ამიტომ გავიდა მომდევნო წრეში. ამის შესახებ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მოლიკთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომელშიც ძლივს დაძლია ტურნირის მასპინძლის წინააღმდეგობა - 6:4, 4:6, 9:7.

"მატჩის დროს ვგრძნობდი, რომ ფორტუნა ჩემს მხარეზე იყო, - განაცხადა დევენპორტმა, - მეტოქე ძალიან კარგად თამაშობდა, ერთხანს არც კი ვიცოდი, რა უნდა მეღონა იმისთვის, რომ მოლიკი დამემარცხებინა".

მესამე, გადამწყვეტ და მომქანცველ სეტში, დევენპორტს - 5:4-ზე მატჩ-ბოლი ჰქონდა, მაგრამ მოლიკმა მოახერხა მისი მოგერიება და შემდეგ მდგომარეობაც გამოასწორა. თუმცა, საბოლოოდ ამერიკელი ჩოგბურთელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

"მატჩის მსვლელობა საქანელას მაგონებდა. ხან მე ვიგებდი, ხან ალისია, - განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, - თან, დროდადრო ეჭვი მეპარებოდა, რომ მატჩს მოვიგებდი".

ფინალის საგზურისთვის დევენპორტი გაეჯიბრება ფრანგ ნატალი დეშის, რომელმაც მეორე მეოთხედფინალში შვეიცარიელი პეტი შნაიდერი სამსეტიან ბრძოლაში - 5:7, 6:1, 7:5 დაამარცხა. მეორე ნახევარფინალს კი ამერიკელი სერენა უილიამსი და რუსი მარია შარაპოვა გაითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ ეს ჩოგბურთელები შარშან უიმბლდონის ფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. მაშინ შარაპოვამ დაამარცხა ძლიერი მეტოქე.

ვაჟები:

ენდი როდიკი (აშშ, 2) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 26) 6:3, 7:5, 4:1 დავიდენკომ თამაში შეწყვიტა.

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3) - დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 9) 6:3, 6:2, 1:3, 3:6, 10:8

ქალები:

ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - ალისია მოლიკი (ავსტრალია, 10) 6:4, 4:6, 9:7

ნატალი დეში (საფრანგეთი, 19) - პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 12) 5:7, 6:1, 7:5

სათხილამურო სპორტი

წამმზომმა სლალომისტებს ვერ გაუძლო

გიგა გურასაშვილი

მოთხილამურეთა წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება - ბორმიოს მსოფლიო ჩემპიონატი შაბათს იღებს სტარტს. მანამდე კი მსოფლიო თასის ეტაპები იყო გახურებული. იყო, რადგან სამშაბათს მსოფლიო თასმა ტაიმაუტი აიღო. მანამდე კი ავსტრიის შლადმინგმა სლალომისტთა მე-7 ეტაპს უმასპინძლა, რომელიც მანფრედ პრანგერის გამარჯვებით დასრულდა. საუკეთესო სამეულის გამოვლენამდე კი წამმზომს დავთრები აერია და კინაღამ მე-7 ეტაპი იმსხვერპლა.

მანფრედ პრანგერმა, რომელმაც კვირას კიცბიუელში სლალომშიც გაიმარჯვა, 26 წლის იყო, სამშაბათს კი, როდესაც ასევე სლალომში საუკეთესო აღმოჩნდა, - 27 წლის. ერთი სიტყვით, მსოფლიო თასის მე-7 ეტაპზე სრიალი და გამარჯვება 27 წლის იუბილეს დაემთხვა.

ამაზე კარგ საჩუქარს საკუთარი თავისთვის ვერც მოვიფიქრებდიო, გახარებული ამბობდა პრანგერი. არადა, თანამემამულეს დაბადების დღე კინაღამ ჩაუშხამა ბენიამინ რაიხმა. მას და გამარჯვებულს შორის სხვაობა სულ რაღაც 0.04 წამი იყო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი იმასთან შედარებით, რაც მანამდე, პირველი ცდისას მოხდა.

საქმე ისაა, რომ პირველ ცდაზე საუკეთესო დრო - 51,11 იტალიელ ჯორჯო როკას ჰქონდა, მაგრამ ოფიციალური აღმრიცხველის დაზიანების გამო მოგვიანებით კონვერტირებულ იქნა - 51,61. თუმცა, მარტო როკა არ აღმოჩენილა ასეთ დღეში. მოგვიანებით იგივე ბედი გაიზიარა ეტაპის გამარჯვებულმაც.

წამმზომთან დაკავშირებული პრობლემა კი მას შემდეგ გამოაშკარავდა, რაც როკასა და პრანგერის შემდეგ ტრასაზე მესამე მოთხილამურედ გამწესებული რაინერ შონფელდერი გამოვიდა.

ბუნებრივია, როკას გაუარესებულმა შედეგმა იტალიელთა გუნდში უკმაყოფილება გამოიწვია: "თუ მსოფლიო თასის ეტაპებზე წამმზომს ვერ ენდობი, ესე იგი, ვერაფერს ენდობი", - გაცხარდა იტალიელთა გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი ადრიან ილივი. - პირველი ცდის შემდეგ პროტესტის ფურცელი ვაფრინეთ, რის შემდეგაც, წესითა და რიგით, ეტაპის შედეგები უნდა გაუქმებულიყო. მაგრამ ჟიურის წევრებმა ჩვენი პროტესტი ყურად არ იღეს. იძულებული გავხდით, მეორე ცდაზე გავსულიყავით. თუმცა, იმისთვის, რომ ხელმეორედ გავაპროტესტოთ, 48 საათი გვაქვს".

ამასობაში ავსტრიის მოთხილამურეთა ფედერაცია გერმანულ გიგანტ "სიმენსს" შეუთანხმდა, რათა ეს უკანასკნელი ავსტრიაში გასამართ ეტაპებს მოემსახუროს (კიცბიუელში გასამართი ეტაპების გარდა).

ყველაფერ ამაში ჩაერთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ფედერაცია. როგორც კომუნიკაციისა და მარკეტინგის დირექტორი კრისტიან კნაუტი აცხადებს, შლადმინგში არსებული სისტემა ოფიციალური პარტნიორი არ არის. ასე რომ, პრობლემა პრობლემად რჩება. საკითხზე მსჯელობას კი სეზონის ბოლომდე მაინც ვერ მოვახერხებთო.

რაც შეეხება ჯორჯო როკას საბოლოო შედეგს, მან 21-ე შედეგით დაასრულა ასპარეზობა. მესამე ადგილზე კი შვედი ანდრე მირერი გავიდა. მსოფლიო თასის საერთო ჩათვლის ლიდერმა ამერიკელმა ბოდე მილერმა სლალომში კვლავ წაიფორხილა - მეორე ცდაზე ჭიშკარს გადაუარა და რბოლას გამოეთიშა. ერთი სიტყვით, მიმდინარე სეზონში ამერიკელმა მხოლოდ ერთხელ ივარგა სლალომში - დეკემბერში სესტრიერში (იტალია) გაიმარჯვა.

ინფორმაცია

ჩინეთში ჩემპიონს "სამაგალითოდ" სჯიან

იმის გამო, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ჩინელმა ტიან ლიანგმა ჰონგ კონგში ბაზირებულ კერძო კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება, მაღალჩინოსანმა ჩინელმა სპორტის მოხელეებმა გადაწყვიტეს, წყალში ხტომაში ათენური "ოქროს" მფლობელი ეროვნული ნაკრებიდან გაერიცხათ.

25 წლის ჩემპიონი, "წყალში ხტომის პრინცი", როგორც მას შინ ეძახიან, ჩინეთის საწყლოსნო სახეობათა ასოციაციამ იმის გამო დასაჯა, რომ ჩემპიონის ასეთი ნაბიჯი ჩირქს სცხებს მის მსგავს სპორტსმენებს!

"ტიან ლიანგი საზოგადოებას ეკუთვნის და იგი ვალდებულია, ბევრად გააზრებულად იმოქმედოს", - ვიგებთ ჩინეთის საწყლოსნო სახეობათა ასოციაციის განცხადებიდან.

ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილეს საიტზე სპორტსმენის მიერ განთავსებული წერილით კი ვიტყობთ, რომ ასოციაციის ამგვარი ნაბიჯით შოკირებულია. თუმცა, იმედი აქვს, რომ ეროვნულ ნაკრებში მაინც დაბრუნდება და საკუთარ სიტყვას იტყვის პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

ვენის ქუჩებს, შესაძლოა, ბოლიდები შეესიოს

ფორმულა 1-ის "დიდ პრიზებს" ჩამოშორებული ავსტრია იმედს არ კარგავს, რომ მალე სამეფო რბოლებს დაუბრუნდება. მანამდე კი A1 რინგის მოდერნიზებული პროექტის გამო დიდი სჯა-ბაასი მიმდინარეობს. "რედ ბულის" შეფის დიტრიხ მატეშიცის მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შეთავაზებულმა პროექტმა კი მოწონება ვერ დაიმსახურა და უგულებელყოფილ იქნა. მატეშიცის დაწუნებულმა პროექტმა კი კვლავ წამოატივტივა ვენაში "ავსტრიის დიდი პრიზის" გამართვის იდეა.

სხვათა შორის, ავსტრიის დედაქალაქში ფორმულა 1-ის ბოლიდების გამოჩენის იდეას მხარს უჭერენ სამეფო რბოლების იმპრესარიო ბერნი ეკლსტოუნი და ავსტრიელი პოლიტიკოსები.

არადა, ჯერ კიდევ 2003 წელს ვენის ქუჩებში რბოლათა გამართვის იდეით ფორმულა 1-ის სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა გამოდიოდა.

"რატომ არ უნდა შეიძლებოდეს რბოლების ვენაში გამართვა, როდესაც სარბოლო ეტაპებს მონტე კარლო, ლონგ ბიჩი ან დეტროიტი მასპინძლობს? - რიტორიკულ კითხვას სვამს ავსტრიელი პოლიტიკოსი ჰაინც-კრისტიან შტრახე და მას კვერს უკრავს ეკლსტოუნიც: "რატომაც არა?"

დიდი არაფერი, მოგებით კი მოვიგებთო

ნახევრად საშუალო წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის მოცილე ზაბ ჯუდასა და მოქმედი ჩემპიონის კორი სპინკსისა და მატჩის ორგანიზატრითა მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე რაიმე განსაკუთრებული არ თქმულა. მაგალითად, მოკრივეები მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ, თუ როგორ ემზადებიან სატიტულო ორთაბრძოლისთვის, გაიხსენეს ადრეული შეხვედრა... თითოეულმა კი პირობა დადო, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს. ერთი სიტყვით, ჩვეული სურათი იყო.

მოსლის ბატონობა უნდა

მორიგი ორთაბრძოლის გაუქმების მიუხედავად, "შუგარ" შეინ მოსლი (39-4-0, აქედან 35 ნოკაუტით) საკუთარი თავის რწმენისა თუ შესაძლებლობების იმედს არ კარგავს. ნავარაუდევი იყო, რომ მოსლის ნახევრად საშუალო წონის (66.7) დივიზიონში დაბრუნების მოწმენი გახდებოდნენ კრივის მოყვარულები 19 თებერვალს ბერნარდ ჰოპკინსსა და ჰოვარდ ისტმანს საანდერკარტო მატჩში.

რაც შეეხება გაუქმებულ მატჩს, ამ შემთხვევაში მოსლი სუპერმსუბუქი წონის ყოფილ ჩემპიონ კუბელ დიობელიუს ურტადოს (38-3-1, აქედან 25 ნოკაუტით) უნდა შეხვედროდა, მაგრამ ნაღვლის ბუშტის ანთების გამო მოსლისა და კუბელის დაპირისპირება გაუქმდა. აქედან გამომდინარე მოსლის ხუთ კვირიანი ოფლის ღვრა ამაო გამოდგა. boxingtalk.com-თვის მიცემულ ინტერვიუში მოსლიმ განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ საუკეთესო მეტოქეს დაეჭიდოს და რომ ნახევრადსაშუალო წონაში ბატონობა მოიპოვოს.

2005 NORTH AMERICAN INTERNATIONAL AUTO SHOW

დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები

მესამე ნაწილი

მერაბ ლორთქიფანიძე

იყო დრო, როცა დეტროიტის ჩრდილოამერიკულ საერთაშორისო ავტოშოუზე წარმოდგენილ ახალ ავტომობილებს თითზე ჩამოთვლიდა დამთვალიერებელი. არცთუ დიდი ხნის წინ, დეტროიტში 50 ახალ ავტომობილს თუ გამოფენდნენ ხოლმე, ეს დიდ ამბად ითვლებოდა, მაგრამ დღეს ბაზარს სულ სხვა სპეციფიკა აქვს - ფრაგმენტაციას განიცდის და ძნელად თუ მოიძებნება სპეციალისტი, ვინც თანამედროვე ავტობაზრის ყველა სეგმენტს ჩამოგითვლით. იმიტომ, რომ თითქმის ყოველწლიურად, კონსტრუქტორები ახალ ასეთ სეგმენტს სთავაზობენ მყიდველს, ყველაფერი კი მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კეთდება.

პრინციპი მარტივია - რაც უფრო მრავალფეროვანია წარმოებული პროდუქცია, მით მეტი გაიყიდება. ამიტომ, თითქმის აღარავინ ცდილობს ერთი ან ორი, თუნდაც შესანიშნავი მოდელის ხარჯზე მილიარდების შოვნას, როგორც ადრე იყო - გამოუშვებდა "ფორდი" ახალ "ტაურასს" და მომდევნო თაობის გამოშვებამდე, ასეულობით ათასს ჰყიდდა. ახლა კი, დეტროიტში წლეულს წარმოდგენილი ახალი ავტომობილების საშუალო წლიური ტირაჟი სულ რაღაც 60 ათასია. ოღონდ, მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათი საერთო ტირაჟი გაცილებით სჭარბობს წინა წლების, თუნდაც მასობრივი მოდელების საერთო რაოდენობას.

ბაზრის სეგმენტაციას შედეგად მოსდევს ერთ პლატფორმაზე დამზადებული ავტომობილების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. მაგალითისთვის "ფორდს" მოგიყვანთ, რომელმაც წარსულს ჩააბარა პოპულარული მოდელი "ტაურასი" (იგივე "მერკური სეიბლი"), მაგრამ მის ნაცვლად, მყიდველს შესთავაზა ერთ პლატფორმაზე (ანუ არქიტექტურაზე, როგორც ამას ავტოკონსტრუქტორები ხშირად ამბობენ) წარმოებული სამი სხვადასხვა სეგმენტის შესაბამისი ავტომობილი - სედანი "ფაივ ჰანდრიდ" (ანუ 500), ქროსოვერი (გაზრდილი გამავლობის ვნივერსალი) "ფრისტაილი" და კიდევ ერთი, სრულიად ახალი სედანი "ფიუჟნ", რომლის მსოფლიო დებიუტი დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე შედგა. სამივეს საერთო ტირაჟი კი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ერთი "ტაურასისას".

ამ ტენდენციების მიუხედავად, ბაზარს ჯერაც შემორჩა ერთი-ორი ისეთი მოდელი, რომლებზეც ძველებურად, დიდი მოთხოვნაა და მწარმოებლები არ აპირებენ მათი წარმოების შეჩერებას, ან დაქუცმაცებას. ესენია სედანი "ტოიოტა ქამრი" და F-სერიის "ფორდის" პიკაპი.

მოკლედ, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, ყველა მწარმოებლის მიზანი ერთია - ნაკლები დანახარჯით, რაც შეიძლება მრავალფეროვანი პროდუქცია მიაწოდოს მყიდველს და ასე გაზარდოს გაყიდული ავტომობილების საერთო რაოდენობა.

ერთ პლატფორმაზე შექმნილი სამი, სრულიად სხვადასხვა კლასის ავტომობილის შესანიშნავი მაგალითია "კრაისლერის" სამი ავტომობილი - "კრაისლერ 300", "დოჯ მაგნუმი" და "დოჯ ჩარჯერი", რომელთაგან მეორეს ბაზაზე შექმნილი სპორტული უნივერსალის დებიუტი დეტროიტის ავტოსალონზე შედგა, მესამე კი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კვლავ გამოჩნდა ბაზარზე. სამივე ავტომობილი "კრაისლერის" კონსტრუქტორთა მიერ შექმნილ ერთსადაიმავე, LX პლატფორმაზეა აგებული. ამასთან, "კრაისლერ 300-მა" უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა ამერიკელ და, ასე განსაჯეთ, ევროპელ მყიდველთა შორის და შედეგად, აშშ-ის წლის საუკეთესო ავტომობილის წოდებაც კი დაიმსახურა.

რაც მთავარია, როგორც "კრაისლერის" ჯგუფის მთავარი აღმასრულებელი დიტერ ცეტშე აცხადებს, ახალი ავტომობილების შემუშავებაზე გაწეული კაპიტალური დანახარჯი, 2000 წლის 42 მილიარდი დოლარიდან 2004 წლის 29 მილიარდამდე შემცირდა.

დეტროიტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გახდა ცნობილი - პირველად, აშშ-ის ბაზრის ისტორიაში, დიდი ამერიკული სამეულის (ჯენერალ მოტორსი, ფორდი, კრაისლერი) საერთო წილმა აშშ-ის ბაზრის 60 პროცენტზე დაბლა დაიწია. სამაგიეროდ, იაპონელებისა პირველად ასცდა მანამდე გადაულახავ, 30-პროცენტიან ზღვარს. და კიდევ, სულ უფრო იზრდება კორეული კომპანიების მიერ რეალიზებული ავტომობილების რაოდენობა. თანაც, ისევე როგორც ერთ დროს იაპონელები, კორეელებიც უკვე უფრო მაღალი კლასის ავტომობილების სეგმენტში შეღწევას ცდილობენ.

ამ ფონზე, ამერიკელთათვის მართლაც მრავლისმეტყველი იყო ის ფაქტი, რომ წლის ავტომობილებად ორი ამერიკული მოდელი გამოცხადდა. ჩვენი მკითხველისთვის მათი სახელები უკვე ცნობილია - სედანების კლასში ესაა "კრაისლერ 300", უგზოობის მოდელებსა და პიკაპებში კი - "ფორდის" უგზოობის ჰიბრიდული მოდელი "ისკეიპ ჰიბრიდი".

ახლა კი გავაგრძელოთ დეტროიტის ავტოსალონის ექსპონატების გაცნობა.

დოჯ მაგნუმი და ჩარჯერი

მესამე თაობის კუპე "ვაიპერის" გარდა (ამ ავტომობილზე ჩვენ რეპორტაჟის მეორე ნანილში მოგითხრეთ), "კრაისლერის" შტო "დოჯმა" დეტროიტში კიდევ ორი ახალი ავტომობილი უჩვენა დამთვალიერებელს - სპორტული უნივერსალი "მაგნუმ SRT8" და სპორტული სედანი "ჩარჯერი".

ჯერ "ჩარჯერით" დავიწყებთ, რადგან ამ ავტომობილმა ავტოსალონზე სპორტული ავტომობილების და კერძოდ, ამ სახელის თაყვანისმცემელთა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. "დოჯმა" ეს სახელი ბაზარზე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დააბრუნა, მაგრამ თუ ადრე "ჩარჯერი" ორკარიანი კუპე იყო და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა, ახლა მნახველის წინაშე ოთხკარიანი სპორტული სედანი წარდგა. "ამ ოთხი კარით მათ ეს ავტომობილი მოკლეს", - ასეთი იყო ერთ-ერთი რიგითი ავტომოყვარულის ვერდიქტი. თუმცა, "კრაისლერმა" დებიუტამდე რამდენიმე თვით ადრე გაავრცელა ახალი ავტომობილის ესკიზები, რასაც სპეციალისტთა დიდი დაინტერესება მოჰყვა.

"ისინი ძველ მოდელს მისტირიან, და ჰგონიათ, რომ რაღაც შეიცვალა, მაგრამ კრიტიკოსთა გასაგონად ვიტყვი - ეს ისევ ის ავტომობილია, ოღონდ ოთხი კარით", - ასე შეაფასა კონსტრუქტორთა ნამუშევარი "კრაისლერის" დიზაინის განყოფილების შეფმა ტრევორ ქრიდმა.

სხვათა შორის, პირველ ესკიზებზე ავტომობილს ორი კარი ჰქონია და ეს, ფაქტობრივად, დიზაინერ რიკ ანიეროსის მიერ გასართობად შესრულებული ნამუშევარი ყოფილა, რომელმაც ხელმძღვანელობის მოწონება დაიმსახურა და ავტომობილმაც თანდათან მიიღო ის ფორმები, რომლებიც უფრო შეეფერებოდა "დოჯის" თანამედროვე იმიჯს.

ამ ავტომობილის პირველი კონცეპტუალური პროტოტიპი კომპანიამ ჯერ კიდევ დეტროიტის შარშანდელ ავტოშოუზე წარადგინა და იქ მიღებულ გამოხმაურებათა გათვალისწინებით, მისი წარმოებაც გადაწყდა. მით უმეტეს, რომ "დოჯ ჩარჯერი" 60-იან წლებში, ეგრეთ წოდებული "მუსქლ კარების" ეპოქაში, აშშ-ში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ახალი "ჩარჯერი" (საბრძოლო ცხენი) იმავე პლატფორმაზეა აგებული, რომელზეც "კრაისლერ 300" და, ფაქტობრივად, ამ ავტომობილის ვერსიას წარმოადგენს. სამაგიეროდ, დიზაინი უფრო დაკუთხილი და "მკაცრი" აქვს, როგორც "დოჯს" შეეფერება. ავტომობილი აღიჭურვება ან 3.5-ლიტრიანი V6-ით, რომლის სიმძლავრე 250 ცხენის ძალაა და 5.7-ლიტრიანი, "ჰემის" სერიის V8 აგრეგატით, რომელიც 340 ცხენის ძალას ავითარებს.

V8 ძრავით ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე აჩქარებას 6 წამში ახერხებს. ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მალე მოამზადებენ "ჩარჯერის" ტოპ-ვერსიას, რომელსაც "კრაისლერის" სპეციალური დივიზიონი SRT შექმნის. ეს ავტომობილი აღიჭურვება "ჰემის" სერიის 6.1-ლიტრიანი ძრავით, რომელიც 425 ცხენის ძალას იძლევა. ამ მოდიფიკაციით, "დოჯი" ნასქარ-ის რბოლებში თავისი ძველი პოზიციების დაბრუნებას ეცდება. სხვათა შორის, ბოლო წლებში ნასქარ-ში კუპეების ნაცვლად სწორედ ოთხკარიანი სედანებით ასპარეზობენ.

ძრავის სიმძლავრეს 5-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი "გადაამუშავებს" და მაბრუნი მომენტის კონტროლის სპეციალური სისტემის გავლით, წამყვან უკანა თვლებს მიანვდის. ძრავის სიმძლავრის შესაბამისად, ავტომობილი დგას 17 ან 18-დუიმიან ბორბლებზე.

ინტერიერში აშკარად იგრძნობა, რომ ის მთლიანად მძღოლისთვის კარგი სამუშაო პირობების შექმნაზეა ორიენტირებული. "ჩარჯერის" სალონი ძლიერ ჰგავს "ვაიპერისას".

მწარმოებელი აცხადებს, რომ ეს ავტომობილი კონკურენციას გაუწევს აშშ-ის ავტობაზრის სედანების სეგმენტის ისეთ ლიდერებს, როგორებიცაა "ტოიოტა ქამრი", "ჰონდა აკორდი", "ნისან ალტიმა", "შევროლე იმპალა". "დოჯის" ხელმძღვანელობის განცხადებით, "ჩარჯერი" განკუთვნილია ახალგაზრდა მყიდველისთვის, რომლის წლიური შემოსავალი 60-95 ათას დოლარს შეადგენს. "კრაისლერი" იმედოვნებს, რომ წარმოების პირველ წელს 120-150 ათას "დოჯ ჩარჯერის" რეალიზაციას შეძლებს, რომლის საბაზო ფასიც 26 ათასი დოლარი იქნება.

"დოჯ მაგნუმი სტეროიდებზე" - ასე ლაკონურად წარუდგინა "კრაისლერის" პრეს-ატაშემ დეტროიტის ავტოსალონის პრესის დღეს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას უნივერსალ "მაგნუმის" ტოპ-ვერსია, სახელად "მაგნუმ SRT8". სტეროიდული ამ ავტომობილში არის "ჰემის" სისტემის 6.1-ლიტრიანი V8, რომლის სიმძლავრე 425 ცხენის ძალაა და რომლის მეშვეობითაც, "კრაისლერ 300-ის" პლატფორმაზე ბაზირებული სპორტული უნივერსალი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს 5 წამზე ნაკლებში ავითარებს.

არანაკლებ შთამბეჭდავია ავტომობილის შენელების დინამიკა - 100 კმ/სთ სიჩქარიდან სრულ გაჩერებამდე ის 36 მეტრს გადის, რითაც ბევრი სპორტული ავტომობილიც ვერ დაიტრაბახებს. ეს სულაც არაა გასაკვირი, რადგან "კრაისლერის" დივიზიონ SRT-ს კონსტრუქტორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სამუხრუჭე სისტემას, რომელიც სპეციალურად ამ მოდელისთვის დაამზადა იტალიურმა კომპანია "ბრემბომ".

სიმბოლურია, რომ SRT-ს ინჟინრების მიერ მოდერნიზებული ძრავის სიმძლავრე ზუსტად იმდენია, რამდენიც ჰქონდა 60-იანი წლების ლეგენდარულ აგრეგატ "ჰემი სტრიტს". ოღონდ, ამჯერად ამისათვის ძრავის ნაკლები მუშა მოცულობაა საჭირო. აგრეგატის ლიტრულმა სიმძლავრემ 69.8 ცხენის ძალა შეადგინა, რაც პირველ რიგში, ახალი პროგრამული უზრუნველყოფისა და ოპტიმიზებული ფორმის წვის კამერით, ასევე შემშვები და გამომშვები მილების და სარქველების ფილიგრანულად დამუშავებული ზედაპირების წყალობით გახდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორი ავტომობილებით "დოჯი" თავისი ძველი იმიჯის დაბრუნებას ეცდება. ადრე თუ ამ მარკით უმეტესად სედანისძარიანი ავტომობილები იწარმოებოდა, დღეს სახელი "დოჯი" პიკაპებთან ასოცირდება. ეს არცაა გასაკვირი - შარშან გაყიდული "დოჯების" 78 პროცენტი სწორედ პიკაპი და უგზოობის ავტომობილი იყო.

სატურნ აურა და სკაი

თავის დროზე, დაახლოებით 20 წლის წინ, როცა "ჯენერალ მოტორსმა" ახალი დივიზიონი ჩამოაყალიბა და მას სახელად "სატურნი" შეარქვა, იმედოვნებდა, რომ ამ მარკით ბაზრის იმ სეგმენტში იგდებდა ხელთ ლიდერობას, რომელშიც იაპონელი კონკურენტები მძლავრობდნენ.

გავიდა დრო და აშკარა გახდა, რომ "სატურნის" ავტომობილები კორპორაციის ორი ევროპული შტოს, "ოპელისა" და "ვოქსოლის" გაამერიკულებული ვარიანტები იყო. თუმცა, თავიდან ყველაფერი კარგად იყო - პირველივე წელს "სატურნის" მარკით ნახევარი მილიონი ავტომობილი გაიყიდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, სატურნელებმა თანდათან დათმეს პოზიციები და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შარშან ამ მარკით მხოლოდ 212 017 ავტომობილი გაიყიდა. წინა წელთან შედარებით, გაყიდვების მოცულობამ 21.8 პროცენტით იკლო. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება და "გენერლებიც" სწორედ ასე მოიქცნენ. პირველ რიგში, შეწყდა L-სერიის სედანების წარმოება, რომელიც, 1999 წლიდან მოყოლებული, რაც ბაზარზე გამოჩნდა, მხოლოდ 406 ათასი ცალი გაიყიდა.

უახლოეს მომავალში "სატურნი" თავისი სამოდელო გამის გაფართოებაზე იზრუნებს და ამისათვის კვლავ "გენერლების" ევროპული შტოს საკონსტრუქტორო შესაძლებლობები იქნება გამოყენებული. ოღონდ, ამჯერად ყველაფერი ისე გაკეთდება, რომ გამოირიცხოს შიდა კონკურენცია, რამაც ბოლო წლებში "სატურნი" კრახის პირას მიიყვანა. ასეთი სტრატეგია აისახება "ჯენერალ მოტორსის" სხვადასხვა მარკების მიერ ერთსადაიმავე პლატფორმაზე წარმოებული ერთი კლასის ავტომობილების ფასებს შორის საგრძნობი სხვაობით. დაახლოებით იგივე გზა არცთუ დიდი ხნის წინ უკვე გაიარა "ფოლკსვაგენის" ჯგუფმა, რომელმაც მოახერხა თავის მფლობელობაში მყოფი რამდენიმე სხვადასხვა კომპანიის პროდუქციის ფასების შესაბამისობაში მოყვანა.

"ჩვენ გვჯერა, "სატურნს" აქვს იმის პოტენციალი, რომ გადაიბიროს "ჰონდა აკორდისა" და "ფოლკსვაგენ პასატის" მყიდველი", - განაცხადა დეტროიტში "გენერლების" ვიცე აღმასრულებელმა რობერტ ლუცმა, როცა საზოგადოებას წარუდგინა გერმანიის ქალაქ რუსელჰაიმის (ოპელის შტაბ-ბინა სწორედ იქ მდებარეობს) კონსტრუქტორების მიერ მომზადებული სედანი "სატურნ აურა".

"სატურნ აურა" არის ერთ-ერთი პირველი პროდუქტი, რომელიც "ჯენერალ მოტორსის" საწარმოო პროგრამა "ზეტას" მიხედვით შეიქმნა. ამ პროგრამით გათვალისწინებულია უკანა წამყვანთვლიან პლატფორმაზე ბაზირებული სედანების წარმოება, რომლებიც "გენერლების" კუთვნილებაში არსებული სხვადასხვა მარკით (ოპელი, შევროლე, დეუ, სატურნი, პონტიაკი) გაიყიდება.

დეტროიტში წარმოდგენილი "სატურნ აურას" საბაზო მოდელის კაპოტქვეშ განთავსებულია V6 კონფიგურაციის, 3.6-ლიტრიანი ძრავი, რომლის სიმძლავრე 250 ცხენის ძალაა. ძრავთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი. ამასთან, პროგრამა "ზეტას" აღმასრულებლის, ჟენ სტეპანიშინის თქმით, ვინც ადრე პროგრამა "იპსილონს" (ამ პროგრამით მზადდებოდა წინა წამყვანთვლიანი ავტომობილები) ედგა სათავეში, ახლო მომავალში, "სატურნ აურა" მიიღებს 300-ცხენისძალიან ძრავს.

"აურას" ინტერიერი მაღალი კლასის ავტომობილისას შეესაბამება. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სწორედ ეს მიანიშნებს იმაზე, თუ რომელ კლასში გადაინაცვლებს არცთუ შორეულ მომავალში "სატურნი". "აურა" იქნება საშუალო კლასის სედანი მაღალი კლასის ავტომობილებისთვის დამახასიათებელი კომფორტით და აღჭურვის დონით. მისი წარმოება ზაფხულიდან დაიწყება და საბოლოო ფასიც მაშინ გამოცხადდება.

"სატურნის" მეორე ახალი ავტომობილია ორადგილიანი როდსტერი "სკაი", რომელიც "ჯენერალ მოტორსის" პლატფორმა "კაპაზეა" აგებული, დიზაინში კი ჩაეზიარა კონცერნის ევროპული შტოს კონცეპტუალურ როდსტერ "ვოქსოლ VX ლაითნინგს". ეს ავტომობილი ინგლისის ქალაქ ბირმინგემში მდებარე "ჯენერალ მოტორსის" მოწინავე დიზაინის სტუდიის მიერაა შექმნილი.

როდსტერს მოსახსნელი სახურავი აქვს, რომელიც ავტომატურად იკეცება და თავსდება მძღოლისა და ერთადერთი მგზავრის სავარძლის უკან მოთავსებულ სპეციალურ ნიშაში. ავტომობილი მეტად დაბალი და განიერია. მისი წონა თანაბრადაა განაწილებული წინა და უკანა თვლებს შორის, რაც, 18-დუიმიან თვლებთან ერთად, ავტომობილის საუცხოო მართვადობას და მდგრადობას უზრუნველყოფს. პროექტის აღმასრულებლის, ლორი ქვინის თქმით, "სკაის" ისეთივე კარგი დინამიკური მახასიათებლები აქვს, როგორიც გარეგნობა.

როდსტერი აღჭურვილია "ეკოტექის" სერიის 4-ცილინდრიანი ძრავით, რომლის მუშა მოცულობა 2.4 ლიტრი, სიმძლავრე კი 170 ცხენის ძალაა.

ძრავთან შეწყვილებულია 5-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფი, რომელსაც "დამოკლებული" გადაცემები აქვს და ამის წყალობით, ავტომობილს შესანიშნავ აჩქარებას ანიჭებს. ამერიკის ბაზრისთვის მალე შესაძლებელი იქნება 5-საფეხურიანი, ავტომატური კოლოფის დაყენებაც, თუმცა ასეთ "სკაის" ნაკლებად თავბრუდამხვევი დინამიკა ექნება.

"სატურნ სკაის" წარმოება შტატ დელავერის ქალაქ უილმინგტონის ქარხანაში მოხდება, მისი საბაზო ვარიანტის ფასი კი 25 ათას დოლარზე ნაკლები იქნება. მისი გაყიდვები კი ამ წლის ბოლოს ან 2006 წლის დასაწყისში დაიწყება.

დოჯ ჩარჯერი

დოჯ მაგნუმ SRT8

სატურნ აურა

სატურნ სკაი

სახელი _____ მისამართი

გვარი _____

ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაცრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიილება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიილება !

გადაცემა სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეზიარებათ კროსფორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებგამახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გძონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მონგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლოკი შუასა

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ შემდეგ ან მოიტანეთ მისამართზე:

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიუწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოგეგზავნება უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

TV პროგრამა

27 იანვარი

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ვერცხლის მგელი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ლონდონის კანალიზაცია" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "კაფკა" (18) (ჯერემი აირონსი) **02.00** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები.**07.05** არაბული მუსიკის ფრანგი მეტრი. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურნუმი. 12.15სამოთხე ორისთვის. მხ.ფილმი. რეჟისორი პიერ სისერი. 2002. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **22.05** მზა ტანსაცმელი. 2005 ზაფხულის კოლექცია. **23.00** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. I ლიგა. **24.25** სამოთხისაკენ. მხ ფილმი. რეჟისორი ემანუელ ბურდიე. **04.20** ქვრივის ცოლი. ტელესერიალი.

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - მაიკლ ჯეკსონი, დები უილიამსები. **16.30** დოკ. ფილმი "ჰიპოების სანაპირო" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -დრო, ფული, განზომილება **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ჯონსონის მხარის ომი" მე-3ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ნადირობა შიდსის ვაქცინაზე" **23.00** მედიატორი **23.30** მხ. ფილმი "მზე შემოდგომისა" **02.00** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** კრიმ. დრამა "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "მოთამაშე" (15) (ფრენკ სინატრა)

მეორე არხი

19.00 სერიალი "ზღვის რაჯა" მე-3ს. **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **20.30** სერიალი "უშიშარნი" **20.55** დოკ. ფილმი "მუტანტი ფუტკრები" **21.40** ექსცენტრიკოსები **22.05** კინოსეანსი "ცეცხლთან თამაში" მე-2ს.

იმედი

07.00 სერიალი "რლიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-5" **12.20, 17.10, 02.50** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.20** ტკ-მარკეტი **13.15** სპ. პროგრამა "ასი" **13.50** "არ იდარდო" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-5" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** მხ. ფილმი "კონდორის სამი დღე" (გ) (რ. რედფორდი) **01.15** სერიალი "ნეშმ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "გამოუსწორებელი თაღლითები" **11.10** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფანტასტიკა "ბალისტიკა" **13.15** დოკუმენტური ფილმი **14.45** თრილერი "ქარაფშუტობა" **16.25** მულტფილმი **17.45** კომედია "როგორ მოვიცილოთ მამაკაცი 10 დღეში" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** თრილერი "სასოწარკვეთის საათები" **22.45** "ექსკლუზივი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** დრამა "ტკბილმწარე სიყვარული"

გაჯახა

11.00 მხ. ფილმი "დედამიწა-ჰაერი" (გ) **13.00** ტუნ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუნ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "უტოპიის ზღვარს მიღმა" (გ) **00.30** ტუნ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განმ.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (განმ.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Встань и иди". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА-2". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** Документальный детектив. "Тюремная метка". Дело 2004 года. **19.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА-2". 21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** Ударная сила. "Оружие спецназа". **00.20** "Гении и злодеи". Владимир Гиляровский. **00.50** "Властелин колец": история продолжается". **01.20** Ким Бейсингер в детективной комедии **"НАДИН"**. Остин, Техас, 1954 год. Молодая красивая женщина Надин Хайтауэр приходит в фотостудию Раймонда Эскобара. Тот сделал для нее "художественные этюды" в весьма фривольном стиле и обещал карьеру фотомодели. Но очень скоро Надин пожалела о легкомысленном поступке и решила забрать фотографии. К своему ужасу она становится свидетельницей убийства фотографа. Схватив конверт с надписью "Надин", она мчится прочь. Но в пакете, вместо злополучных снимков оказываются секретные материалы Департамента дорожного строительства. Теперь бедняжке предстоит уносить ноги и от полиции, и от бандитов. Ее единственная надежда - муж Вернон, с которым она так некстати собралась уже разводиться. **02.50** Сериал **"ПРОТИВОСТОЯНИЕ". 04.30** Джереми Систо в историческом боевике **"ЮЛИЙ ЦЕЗАРЬ"**.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Анатомия преступлений. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 13.35** Сериал **"НА ВИРАЖЕ". 14.30** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** Сегодня 22.00. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **00.15** Валерий Приемыхов в фильме **"ВРЕМЯ ПЕЧАЛИ ЕЩЕ НЕ ПРИШЛО"**. Иванов хорошо рисовал тысячные купюры. Руки художника пригодились, когда Иванов решил угнать самолет в Париж и сделал копию пистолета из пластилина. А пока он летел, то вспоминал прошлое, когда подростком жил в деревне. В деревне мирно поживали татарин, еврей, русский, цыган и немец. Однажды в деревне появился геодезист Мефодий, наделенный выдающимися способностями. Неожиданно он исчез из деревни вместе с "чокнутой" Лялькой... Иванов нашел ее под именем Соня через много лет в самолете, который ради нее и угнал в Париж. Все герои встретились через 20 лет в той самой деревне, а Мефодий незримо присутствовал в виде дерева... **02.25** Анатомия преступлений. **03.05** Комедийный сериал **"ВРЕМЯ - ДЕНЬГИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Остросюжетный сериал **"ОПЕРАТИВНИК"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

სკანვორდი



ახალი კინო ჭაობიდან



კადრი ფილმიდან "გაიცანით ფოკერები"

დუგლასი ინდოეთში

გუშინ ლონდონში დასტინ ჰოფმანი პასუხობდა ჟურნალისტების კითხვებს. მსახიობი ბრიტანეთში ახალი ფილმის "გაიცანით ფოკერების" პრემიერისთვის ჩავიდა.

ვარსკვლავი ახალ კინოპროდუქციას აკრიტიკებდა. აცხადებდა, რომ თანამედროვე კინოკულტურა საშინელ მდგომარეობაშია.

"მიდიხარ კინოში, უცქერ ფილმს და ხვდები, რომ პირდაპირ მესამე აქტზე გადასულან, პირველი და მეორე კი არც ყოფილა... მთელი კულტურა ჭაობშია ჩაფლული. ვგულისხმობ არა მხოლოდ კინოს, თეატრსაც. იგივე პრობლემა დგას ბროდვეიზე და ლონდონშიც. ყველაზე დიდი მოთხოვნა სპეცეფექტებზეა".

დასტინ ჰოფმანმა პრესას ისიც მოახსენა, რომ მსახიობობას რამდენიმე წლის წინ დაანება თავი, რადგან ის ხიბლი და სურვილი დაკარგა, რაც გადასაღებ მოედანზე გასვლაში ეხმარებოდა ხოლმე. "რამდენიმე წლის წინ მივხვდი, რომ სულაც არ მთავაზობდნენ ჩემთვის მოსაწონ როლებს. კინოსტუდიებს არ აინტერესებდათ ისეთი ფილმები, რომელთაც ჩემი თაობის ხალხი სიამოვნებით ნახავდა. ამიტომაც გადავწყვიტე, მოედნიდან გავსულიყავი და რეჟისურასა და სცენარზე გადავრთულიყავი".

მიუხედავად ამისა, ჰოფმანი კინოს მაინც დაუბრუნდა. ბოლო დროს მაყურებელმა ის რამდენიმე ფილმში იხილა: "ოსკარზე" წარდგენილ "იპოვო ნევერლენდში" და კომედიაში I Heart Huckabees. ახლა კი ჰოფმანი კიდევ ერთ კომედიაში გამოჩნდება. "გაიცანით ფოკერები" გაგრძელებაა ფილმისა "გაიცანით მშობლები".

ბრიტანული პრემიერა პარასკევს გაიმართება. ჰოფმანს პარტნიორობას უწევენ რობერტ დე ნირო, ბარბრა სტრეიზანდი და ბენ სტილერი.

მაიკლ დუგლასი ახალ პროექტში ჩაერთო. ის ერთდროულად პროდიუსერიც იქნება და მთავარი როლის შემსრულებელიც ახალი სათავგადასავლო ფილმისა, რომელსაც ინდოეთში გადაიღებენ.

წინასწარი ვარაუდით, სურათი იგივე სულისკვეთებით იქნება გაჯერებული, როგორიც იყო დუგლასის 80-იანური სათავგადასავლო ფილმები "ქვის რომანი" და "ნილოსის განძი". ახალ ფილმშიც ხომ ძვირფას ბრილიანტზე გამართავენ ნადირობას.

როგორც ცნობილია, დუგლასს პარტნიორობას გაუწევს ერთადერთი ჰოლივუდელი, დანარჩენი მსახიობები კი ინდოელები იქნებიან.

სურათს "მუსონის დევნაში" დუგლასი ინდურ კინოსტუდიასთან თანამშრომლობით იღებს. ცხადია, მეორე მხარეს დგას დუგლასის კომპანია Further Films-ი.

მსახიობი და პროდიუსერი აცხადებს, რომ ფილმის გადაღების იდეა "უოლ სტრიტ ჯორნალის" პუბლიკაციიდან წამოვიდა. წერილში საუბარი იყო ინდოელ "ანგადიებზე", ადამიანებზე, რომელთაც ინდოეთში ვალუტა და ბრილიანტები გადააქვთ ერთი პუნქტიდან მეორემდე. ამიტომ ფილმში დიდ როლს შეასრულებს მატარებლი. "დევნა და მთელი სპეცეფექტები მატარებელთან იქნება დაკავშირებული", - აცხადებს ინდური კინოსტუდიის წარმომადგენელი.

რაც შეეხება დუგლასისა და ძვირფასი ქვების დევნას, შეგახსენებთ, რომ "ქვის რომანში" შესრულებული როლისთვის ქეთლინ ტერნერმა 1985 წელს "ოქროს გლობუსი" მოიპოვა.

ლეგენდარული სცენა ახალი ლეგენდით

ინგლისურ ზაფხულს, როგორც წესი, როკ-ფესტივალები აფორმებენ ხოლმე მუსიკალურად. Isle of Wight-ის ტრადიციული ფესტივალის ყველაზე დიდი სახელი კი წელს REM-ი იქნება.

სამდღიანი ღონისძიება 10 ივნისს დაიწყება, 11 ივნისს, შაბათს კი სცენას REM-ი დაიპყრობს. ჯგუფის წევრი პიტერ ბაკი აცხადებს: "ამერიკაში დაბადებული და აღზრდილი მუსიკოსისთვის სახელი Isle of Wight-ი შორეულ ოცნებას ჰგავდა, ნამდვილ ლეგენდას". ახლა ბაკი დანარჩენ REM-ელებთან ერთად სწორედ ამ ოცნებას აიხდენს.

1960-იან წლებში კუნძული მართლაც ლეგენდარული ადგილი იყო. 30-წლიანი შესვენების შემდეგ იქ ტრადიციად ქცეული ფესტივალი 2002 წელს აღადგინეს. შარშანდელ მუსიკალურ ღონისძიებაზე კი დევიდ ბოუი და ჯგუფი The Who გამოვიდნენ და 30 ათას მსმენელს უზარმაზარი სიამოვნება მიანიჭეს.

პიტერ ბაკი კი დასძენს: "ძალიან გვიხარია, რომ იმავე სცენაზე მოგვიწევს გამოსვლა, სადაც წარსულში ბობ დილანი, The Who და ჯიმი ჰენდრიქსი გამოდიოდნენ. საინტერესოა, წელს თუ შეიკრიბებიან შიშველი ანარქისტები?"

ეს წინასწარ არავინ იცის. ფესტივალი კი 1970 წელს დაიხურა, როცა ჯიმი ჰენდრიქსის ერთ-ერთი ბოლო კონცერტის სანახავად კუნძულს 600 ათასამდე ჰიპი მიაწყდა. მათ დამცავი ღობე დაანგრიეს და დიდი ქაოსი გამოიწვიეს.

მსგავსი ინციდენტები განახლებულ ფესტივალზე აღარ მომხდარა. იმედია, ანარქისტები არც წელს გამოჩნდებიან.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების TACIS-ის პროექტი "საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის ტექნიკური დახმარება"

ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს ნილობრივი მონაწილეობით დაგიფინანსებთ:

- ექსპორტთან დაკავშირებულ მარკეტინგულ საქმიანობას
- საგაჭრო მისიებს
- საგაჭრო პარტნიორების მოწვევას საქართველოში
- მიზნობრივ ბაზარზე ექსპერტის დაქირაებას, ბაზრის კვლევისა და პარტნიორის მოძიებისათვის

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- კონსულტაციები ექსპორტის საკითხებზე, რომელსაც გაგიწევთ პროექტის უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტები
- ტრეინინგები ცალკეული კომპანიებისათვის, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით
- ინფორმაციით უზრუნველყოფა თქვენი მიზნობრივი ბაზრების შესახებ

დამატებით ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 37-95-00, 37-94-00

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის 42 ა
e-mail: gepinfo@gepa.org.ge

Sheraton Metechi Palace HOTEL TBILISI, GEORGIA

Tsunami Relief Committee

ცუნამით დაზარალებულთა დახმარების გალა-აქცია

მასპინძელია

სასტუმრო «შერატონ-მეტეხი-პალასი» და
«ცუნამით დაზარალებულთა დახმარების კომიტეტი»
შემოსავალი გადაირიცხება ორგანიზაცია «წითელი ჯვრის» ანგარიშზე

შაბათს, 29 იანვარს
შამპანიურის კოქტეილი: 19.00 სთ.
სადილი: 20.00 სთ.
პროგრამაშია: თბილისის ბიგ ბენდი, ჩუმი აუქციონი და ლატარეა
ჩაცმის კოდი: ნახევრად ოფიციალური

ინდივიდუალური ბილეთი: 50 აშშ. დოლარი
კორპორატიული ბილეთი (10 ადგილიანი მაგიდა): 700 აშშ. დოლარი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით კომიტეტის წევრებს:

საბინ მო: 899 14 02 24
ბეტსი ჰასკელი: 899 75 09 99
ქრისტინა ჰეიერი: 877 79 44 64
სარა უილიამსონი: 877 42 50 85
ემი დენმანი: 877 43 38 60
რიჩარდ დოითლი: 877 56 50 06

გიორგი გამცემლიძე ოჯახით მწუხარებით იუწყება ფრიდონ შურღაიას გარდაცვალებას

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.